



ლიბეჩანი

№ 145 / ოქტომბერი / 2013

მთავარი თემა:

სუდონკისი: 35-წლიანი დილემა

გვ. 26-39

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

საღმრთო ზეხანბიჭვილი:
**მე ვაჩ თქვენი
ჩამოხითბეანი
ახიკვანი**

გვ. 22



იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველგან!

იპითხე კომპიუტერულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოტანვად, თქვენი მონეტარილიზაცია iTunes-ზე მოქმედებით „JOTA READER“





ლიბერალი

№ 145 / ოქტომბერი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანაძე

წარმომადგენელი:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია
ხალიანი, გიორგი გოგუა, გიორგი
ჭყეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა
მაღალაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრაგენტი:

ვასო კუჭუხიძე, მანანა
ვარდიაშვილი, გიორგი
შაიშველაშვილი, ნინო ზამბახიძე,
ქეთევან სადღობელაშვილი, დემის
პოლანდოვი, ვალერი ტუცევი,
კარინა ასატრიანი,
გურამ კაპანაძე, კახა ჯამბურია,
ანა გაბელია

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

შპს „ლიბერალი“

დირექტორი

შორენა შავერდაშვილი

გიზნასის განვითარების

მიწვევები:

რუსულად ბარათაშვილი

პარტნიორებთან

შრომითობის მიწვევები:

ირმა მოსულაშვილი

დისტრიბუტორი:

გაგი გელაშვილი

წარმომადგენელი მსურველები

დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



შარშან, ზამთარში, მივიღე პრინციპული გადაწყვეტილება, დამესრულებინა ჩემი აქტივისტური საქმიანობა, გამოვსულიყავი სხვადასხვა სამოქალაქო კოალიციებიდან, შემემცირებინა საჯარო გამოსვლები, თუ ისინი უშუალოდ ჩვენს საქმიანობას არ შეეხებოდა და მიმეხედა ჩვენი საქმისათვის, ანუ „ლიბერალის“ გამოცემისა და მისი რედაქტორობისათვის. სხვა რამდენიმე პროექტის იდეაც მქონდა, მედიის მიღმა.

ეს გადაწყვეტილება მივიღე არა იმიტომ, რომ ჩავთვალე, რომ ქვეყანაში დემოკრატია იზივია, დამყარდა სამართალსა და სამართლიანობაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემა, პერსონალიებიდან გადავედით ინსტიტუციების გაძლიერებაზე და სხვაც ბევრი სიკეთეები, რომელიც, მარად ჩვენს წარმოსახვით რეალობაში რჩება. არა, უბრალოდ, ერთის მხრივ, დავივალე და ჩავთვალე, რომ დალილს ხეირიანად არაფერი გამომივიდოდა; მეორეს მხრივ, დრო მჭირდებოდა ახალ პოლიტიკურ რეალობაში გამორკვევისათვის დაბოლოს, რადგან დაგვიბრუნდა პოლიტიკური წინხისაგან თავისუფალი სარეკლამო ბაზარი, ვფიქრობდი, რომ ჩემი დრო უფრო მეტად „ლიბერალის“ ბიზნესად ქცევისათვის დამეთმო.

მაღალ ყურნალისტურ სტანდარტებზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი გამოცემისათვის, ამ პატარა ბაზარზე, ეს არც თუ ისე იოლი ამოცანაა. თუმცა, დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით შევეუდექით ამ მიზნის განხორციელებას.

მაგრამ ამასობაში და სულ რამდენიმე თვეში, წამოგვეწია ზოგადი ეკონომიკური კრიზისი, კლებადი სარეკლამო ბაზარი, ჩვენი პარტნიორი დონორი-ფონდების ზურგშექცევა და მორიგი ფინანსური პრობლემები. დამოუკიდებელი და კეთილსინდისიერი მედიისათვის ფინანსური კრიზისი არასოდეს არის მოულოდნელი, პირიქით, მეოთხე წელია ჩვენი არსებობა უფრო მაკვირვებს, ვიდრე სრულიად არასტაბილური გარემო... და მარადიული კითხვა, როდის და რით გახდება „ლიბერალი“ სტაბილური? ეს კითხვა დაახლოებით ამ კითხვას ჰგავს: „როდის გაბრწყინდება იბერია“? არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. ხშირად ვფიქრობ, რამდენად საჭიროა „ლიბერალის“ არსებობა და მისთვის ამდენი გარჯა, გარჯა კი არაა, დაუსრულებელი ბრძოლა არსებობისათვის.

თუმცა, ვიცი ის, რომ დამოუკიდებელი და კარგი მედია საჭიროა ყველგან, მით უფრო ამ ძალიან მძიმე გარემოში, სადაც კვლავ მიდის ბრძოლა მედიის კონტროლისათვის, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების მიჯნაზე, ისევ უმძიმესი არჩევანის წინაშე ვდგავართ, სადაც ისევ დიდი კითხვის ქვეშ დგას ის სამოქალაქო ღირებულებები (და არა სტერეოტიპები), რომელიც ჩემთვის პრინციპულია.

ამიტომ, ჩემი არჩევანი უცვლელია. ისევ უნდა გადმოვიღო ხმალი, რომელიც თაროზე შემოვდე და ისევ მოვიქნოთ, უკომპრომისოდ, იმისათვის, რომ ვიყოთ მოქალაქეები და გავაგრძელოთ „ლიბერალის“ გამოცემა.

p.s. „ლიბერალის“ ბექედური გამოცემა ამიერიდან ყოველთვიურად გამოვა, ყოველი თვის 1 რიცხვში. „ლიბერალის“ რედაქცია კი ყოველდღიურად www.liberali.ge-ზე აგრძელებს მუშაობას.

დიდი მადლობა გულშემმატიკერებს,

შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი



მთავარი თემა
საქონლური: 35-ნიანი დიქა

ჰიდროელექტროსადგური, რომლის აშენებაც უკვე 35 წელია თითქმის ყველა მთავრობისთვის დილემა იყო, ამჟამად ინდური კომპანია „ტრანსელექტრიკასა“ და საქართველოს ახალი ხელისუფლების ინტერესის საგანი გახდა. სახელმწიფოს სარგებელს ეკონომისტების ნაწილი და გარემოსდამცველები ეჭვქვეშ აყენებენ. ხაიშის თემის მოსახლეობის უმეტესობა კი ჰესის არსებული პარამეტრებით მშენებლობისა და გადასახლების წინააღმდეგია. მათ დაიფიცეს, რომ არავის მისცემენ ჰესის მშენებლობის უფლებას. პრემიერ-მინისტრისა და ენერჯეტიკის მინისტრის აზრით კი, პროექტი ქვეყნისთვის „სტრატეგიულად მნიშვნელოვანია“.



ეკა მაღალაძე
33.28

ინტერვიუ
სალომე ზუხაბიშვილი: მე ვაჩ თქვენი ჩამოხთმეანი ახრევანი

დამოუკიდებელი კანდიდატურა კარგი აზრი იქნებოდა. ადრე მითქვამს ხოლმე – რატომაც არა?! ჩავთვალე, რომ „ოცნებას“ საკუთარი კანდიდატი ეყოლებოდა, მაგრამ არ იქნებოდა აქტიური წინააღმდეგობა ჩემი კანდიდატურის მიმართ.

ჩვენი დემოკრატიულობისთვის წამალია, მივეჩვიოთ, რომ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც არ



წარმოადგენს რაღაც მთლიან 70 თუ 80 პროცენტს. ეს არის დემოკრატია, როცა იცი, რომ გირჩევს 40 პროცენტი და მერე შენ ხარ ვალდებული და პასუხისმგებელი ყველას წინაშე. და არ შეიძლება, რომ ნაწილს უთხრა – თქვენ ხართ თქვენ და ჩვენ ვართ ჩვენ.


ირაკლი აბსანძე
33.24

ჯომანსაძე

ჩიბა უღახოში

1956 წლიდან იწყება ამ ტელევიზიის ისტორია და რომ წარმოიდგინო, რა ფორმაციები გაიარა, ვისი ინტერესის საგანი აღარ იყო, რამდენი პოლიტიკური ძალის აინონა-დაინონა ითამაშა, ვის და რას გაუძლო, უძლებს და უნდა გაუძლოს მომავალში, რაღა დიაგნოზი უნდა – მანიაკალური პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლია, აშკარად.

პოლიტიკური კულტურა კი არა, პოლიტიკური ანბანი არ იციან ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ამიტომაც ქვეყანა მათთვის ნივთია, რომელსაც ადგილს და ფუნქციას შეუცვლიან და იქ დადგამენ, სადაც მოუნდებათ.


 ქეთი სადღობელაშვილი 83.20

აქცია

განახლებული ბრძოლა ევლინისთვის



ილუსტრაცია რუსულენოვან პერიოდში


 მანანა ვარდიაშვილი 83.64



ჯომანსაძე

ეკლესიური ხაზში: პოლიტიკური ანბანი და სიბრძნე

დღეისათვის საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა „ასოციირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ევროკავშირთან“ გახლავთ, რომელიც ამჟამინდელ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ ჩანაცვლებს და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანს. ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი შეთანხმებულია და 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე განიხილება. ამ პროცესის შემაფერხებელი ერთადერთი საფრთხე საქართველოსთვის საგარეო ორიენტაციის შეცვლა გახლავთ.

 გიორგი შაიშველაშვილი 83.16

ნომერი:



ფოტო: ლეონი სარაშვილი

- 12 მოკლედ
- 14 ციტატები
კომენტარი
- 16 ევრაზიული კავშირი:
პოლიტიკური ალტერნატივა თუ
სიმულაცია
- 18 გვჭიდება სოფლის მეურნეობის
განვითარების სტრატეგია!
- 20 კიბე უდაბნოში
ინტერვიუ
- 24 სალომე ზურაბიშვილი: მე ვარ
თქვენი ჩამორთმეული არჩევანი
მთავარი თემა
- 28 ხუდონჰესი: 35-წლიანი დილემა
პოლიტიკა
- 40 2012 წელი – ლოპოტას ხეობა
მსოფლიო
- 46 სირია: ცხელი მიწა
სამხრეთ კავკასიის ხმები
- 52 პრეზიდენტი, რომელიც არ
უყვართ
- 56 ცხინვალის საბრძოლო
შემართება მისი პოზიციების
შესუსტებითაა გამოწვეული
- 58 მცირე სასაზღვრო პრობლემის
დიდი ეფექტი
- 61 გენდერულ თანასწორობას
სოდომისა და გომორისკენ
მივყავართ?
მედია
- 64 განახლებული ბრძოლა
მედიისთვის
კულტურა
- 72 „იპოვე შენი ფიროსმანი“
- 74 ხელოვნება ომის წინააღმდეგ
- 76 კულინარიული მოგზაურობა
- 78 Popiashvili Gvaberidze Window
Project



სამხეთ ავხასიის სეზი

ჰაინრიხ ბიოლის სახელობის ფონდისა და „ლიბერალის“ ერთობლივი, ორენოვანი პროექტის ფარგლებში კავკასიელი ავტორები, მათ შორის აფხაზი და ოსი ჟურნალისტები, ყოველკვირეულად წერენ ჩვენი ჟურნალისათვის. „ლიბერალის“ სტატიები კი რეგიონის რუსულენოვანი აუდიტორიისათვის რუსულ ენაზე ითარგმნება. ორენოვანი სტატიების არქივი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, www.liberali.ge




სომეხთაში

ბჭილება სოფლის მეურნეობის ბანკითაჩების სხახებია!



დასაწერია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 წლამდე, რომელიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული. არ შეიძლება, გეგმა მინისტრებზე იყოს მორგებული. მოვა ერთი მონისტრი, ცვლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. მოდის ახალი მინისტრი, ახალი ხედვით. ასე სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია. უნდა არსებობდეს სამაგიდო დოკუმენტი, რომელსაც მე სოფლის მეურნეობის კონსტიტუციას ვუნოდებ და რომელიც ასე მარტივად არ შეიცვლება.



გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, აბაშიძის ქ. 65/67. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაჭვვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 1 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

Part of the
ProCredit Group



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

Georgia



ბადრიჯილი
ძლიერ ბანკთან ერთად!



*22 22



220 22 22



procreditbank.ge



არაკონდიციონირებული რთველი საქართველოში



შალვა ფიფია

სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს რეალური პრიორიტეტია, რომლის განვითარებასაც მთავრობა სისტემურად ახორციელებს. 2013 წლის რთველი ქართული მეღვინეობა-მევენახეობის ინდუსტრიისათვის გარდამტეხი ეტაპია. სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა რეალური ნაბიჯები დარგის სწრაფი და სწორი განვითარებისთვის. სახელმწიფოს მიზანია, ბაზარმა თავად განსაზღვროს ყურძნის ფასი, რაც დაარეგულირებს ურთიერთობას მწარმოებლებსა და გლეხებს/ფრემერებს შორის. ამავდროულად, სახელმწიფო მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ღვინის პოპულარიზაციას.

„რთველი 2013-ის“ დასრულებამდე რამდენიმე კვირა დარჩა. ჩვენთან საუბრისას მიმდინარე პროცესი სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ შეაფასა. მისი განცხადებით, სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 2013 წლის შემოდგომა შემოსავლიანი იყოს როგორც კახელი გლეხისთვის, ისე მეწარმისათვის.

შალვა ფიფიამ აქცენტები იმ საკითხებზე გაამახვილა, რაც „რთველი 2013-ს“ გასული წლების ამ სეზონისგან განასხვავებს. მან მეწარმის დასახმარებლად ამოქმედებულ „შელავათიან აგროკრედიტის პროექტზე“ და სუბსიდიის შეცვლილ მექანიზმზე ისაუბრა. კახეთის ყველა რაიონში აქტიურად მიმდინარეობს რთველი. წელს პრინციპულად შეიცვალა მიდგომები. რამდენიმე ძირითადი განსხვავებაა: ერთი ის, რომ შევქმენით სპეციალური საკრედიტო პროდუქტი ღვინის კომპანიებისთვის – ყურძნის საყიდლად შეღავათიანი კრედიტი ხელმისაწვდომი გახდა. ასევე შეიცვალა სუბსიდირების სქემა. წელს სუბსიდია პირდაპირი წესით და არა ვაუჩერების გზით ხდება – რქაწითელზე, საფერავსა და მწვანე კახურზე.

რთველის პროცესში სახელმწიფოს ჩართულობის მინიმუმამდე დაყვანას მინისტრი კიდევ ერთ მიღწევად მიიჩნევს. „წინა წლებში სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ უხეში ჩარევის მაგალითები გვქონდა. ყურძნის ძირითადი შემსყიდველი სახელმწიფო ქარხნები იყვნენ. ინდუსტრიული მოსავლის დაახლოებით 64% სახელმწიფო კომპანიებმა ჩაიბარეს, უხეშად ჩაერვივნენ და ბაზარზე დააწესეს ფასები. წელს კი, ძირითადი მოთამაშე კერძო სექტორია. დღეის მონაცემებით, კერძო სექტორის მიერ გადამუშავებული ყურძენი მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 89%-ს მოიცავს“, – ამბობს მინისტრი.

შალვა ფიფია აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში კომპანიები ყურძნის მიღებას არაკონდიციურ ფაზაში იწყებდნენ. საშუალოდ, წინა წლებში გვქონდა პრაქტიკა, რომ რთველი ყურძნის ტექნიკური სიმწიფის მიღწევამდე იწყებოდა. საბოლოო პროდუქტი კი არ იყო ხარისხიანი. წელს ჩაბარება კონდიციური სიმწიფის შემდეგ ხდება.

სოფლის-მეურნეობის მინისტრი აცხადებს, რომ ამ დროისთვის კახეთში 70-ზე მეტი საწარმო იბარებს ყურძენს. ბოლო ექვსი დღის განმავლობაში, კახეთის მასშტაბით, დღე-ღამეში ქარხნები 4 000 ტონამდე ყურძენს ამუშავებენ. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. შემიძლია გითხრათ, რომ გასული 15-20 წლის მანძილზე ჩაბარების ასეთი მაჩვენებელი არ ყოფილა. ქართულ ღვინოზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ექსპორტი 43%-ით არის გაზრდილი, აქედან ნახევარი რუსეთის ბაზრის გახსნის შედეგია.

მინისტრის თქმით, წელს შეიცვალა მიდგომა და აღარ ხდება მცირე და დიდი მევენახეების დიფერენცირება. წინა ხელისუფლების დროს ყურძნის მიღება მსხვილი მევენახეებისგან, ხშირ შემთხვევაში, არ ხდებოდა. წელს ასე აღარ არის. არანაირი პრინციპული განსხვავება არაა 7, 5, თუ 10 ჰექტრის მფლობელ მევენახეს შორის. ყველა მათგანს ქარხანაში ყურძნის ჩაბარების შესაძლებლობა ერთნაირად აქვს.

შალვა ფიფია ამბობს, რომ წლებგანდელი მოსავლის მაღალი ხარისხი პირდაპირ კავშირშია სამინისტროს მიერ განხორციელებულ იმ პროგრამასთან, რომელიც გააფხულებს დაიწყო.



ლევან დავითაშვილი

წელს უპრეცედენტო მასშტაბის საგაზაფხულო პროგრამა ჩატარდა. ფერმერებს/მევენახეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ მცენარეთა დაცვის საშუალებები. წელს სამ მილიონზე მეტი ნერგია გაყიდული. ეს ნიშნავს დამატებით ათასი ჰექტარის გაშენებას. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ინდუსტრია ფეხზე დადგეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი პირობას დებს, რომ ქართული ღვინო გახდება საინტერესო პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე, მევენახეს კი ექნება საშუალება მიიღოს ღირსეული შემოსავალი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, **ლევან დავითაშვილი** ამბობს, რომ წელს ბევრი დახურული ღვინის ქარხანა გაიხსნა და ყურძნის ჩაბარება ისევ დაიწყო. **ქარხნების ტექნიკური მდგომარეობა სხვადასხვაა, არსებობენ მოწინავე ქარხნები და ისეთებიც, რომლებიც ტექნოლოგიურად უფრო ნაკლებად აღჭურვილები არიან. ზოგი საწარმო აღარ ფუნქციონირებდა და ახლა დაიწყო ყურძნის ჩაბარება. მათ დრო სჭირდებათ, მოწინავე ქარხნებს რომ დაეწიონ; რამდენიმეწლიან პერსპექტივაში, ვფიქრობ, ასე იქნება.** ლევან დავითაშვილის განცხადებით, საწარმოების ტექნიკური გადაიარაღებისთვის გამოიყო 7-წლიანი სესხი და, ფაქტობრივად, ყველა ღვინის კომპანიას ჰქონდა მასზე წვდომა. „რაც შეეხება რთველისთვის სესხს, კომპანიას 10 მილიონამდე მოცულობის სესხის აღება შეუძლია. უკვე გაცემულია 3, 4 და 5 მილიონამდე ლარის მოცულობის სესხები. სესხები სუფთა საბანკო პროდუქტია, სახელმწიფო არ ერევა მის გაცემაში. სახელმწიფო მხოლოდ მიზნობრიობას აკონტროლებს და შესაბამისობის შემთხვევაში სესხის სუბსიდირებას ახდენს“, - აღნიშნავს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი. ლევან დავითაშვილი წელს.

წლებიანი უხვმოსავლიანობის გამო, ბუნებრივია, საწარმოებთან რიგებია. ყურძნის ჩაბარების პროცედურისთვის 20-დან 30 წუთამდეა საჭირო. მაღალი ხარისხის ღვინის მისაღებად, საწარმოები წელს მხოლოდ კონდიციაში მყოფ ყურძენს იბარებენ, შესაბამისად, ჩაბარების პროცესში ყურძნის ხარისხიც მოწმდება. 24 საათიან რეჟიმში მუშაობს საკოორდინაციო შტაბიც, რადგან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ყურძნის ჩაბარების პროცესში რაიმე შეფერხება.

შელავათიანი აგროსესხების მნიშვნელობაზე „შუმის“, „წინანდლის ძველი მარნისა“ და „თელავის ღვინის მარნის“ საწარმოების წარმომადგენლებმა ისაუბრეს. აღნიშნულმა კომპანიებმა შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში საწარმოების გაფართოება-გადაიარაღება და წარმოების გაზრდა განახორციელეს.

კომპანია „შუმი“ წელს 1200 ტ ყურძნის (800 ტ საფერავი და 400 ტ რქაწითელი და მწვანე) გადაამუშავებს გვემავს. დღეისათვის კომპანიამ, საერთო ჯამში, უკვე გადაამუშავა 670 ტ ყურძენი. „შუმის“ პროდუქცია ექსპორტზე რუსულ ბაზარზეც გადის. უკვე ექსპორტირებულია 32 000 ბოთლი ღვინო. აკაკი ცოფურაშვილი, კომპანია „შუმის“ გენერალური დირექტორი. „ორგანიზებულად მიდის ყველაფერი. სუბსიდისთვის ჩავაბარებთ გაცემის დამა-

დასტურებელ დოკუმენტებს და შემდეგ ჩავვერცივება შესაბამისი ანაზღაურება. რაც შეეხება ექსპორტს, მსოფლიოს 17 ქვეყანაში გავაქვს ღვინო. უკრაინა ჩვენი ძირითადი გასაღების ბაზარია. ეს სესხები ძალიან დაგვეხმარება, რადგან რთველი ის პროცესია, როდესაც მობილიზებულად, ძალიან მოკლე ხანში ხდება დიდი რაოდენობით თანხების გაცემა. თითოეულ თეთრს აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა. ქარხანა მარტო წინანდალში გვაქვს. ვენახები კი სხვადასხვა რაიონში. ეს ქარხანა მოიცავს ყველაფერს: ყურძნის მიღებას, გადაამუშავებას და ჩამოსხმას“.

რაც შეეხება მოსახლეობას, ისინი მიმდინარე რთველს არაპოლიტიზირებულად აფასებენ და კმაყოფილებას გამოთქვამენ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული დახმარებების გამო.

სოლომონ ნონიაშვილი (გლეხი, ყვარელი): რთველი, რომ იტყვიან - უმაღლესად მიდის. მახარებს ხარისხის შემოწმება - რომ კარგი ღვინო გავა საზღვარგარეთ და ასევე ყურძნის მეტი მოთხოვნილებაა. ყურძენს ფასიც მეტი დაედო - ადრე თუ 40 თეთრად ვაბარებდით, დღეს ლარზე ნაკლები არ არის. ყურძნის მიღების დროს რიგები მუდამ იქნება - როცა დიდი მოსავალია და ქარხნები იბარებენ. ხალხს მართლაც იმედი მიეცა.

მომავალი წლიდან, სახელმწიფო აქტიურად გვემავს შემდეგი პროგრამების განხორციელებას:

- **ვენახების ფართობის დადგენა, აღწერა ყურძნის ჯიშების მიხედვით და ვენახების აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა;**

- **ყურძნის რაოდენობისა და წარმოების პოტენციალის განსაზღვრა რაიონების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს ღვინის წარმოების მოცულობისა და ასორტიმენტის პროგნოზირებას, საექსპორტო მიწოდების პოტენციალის განსაზღვრას და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას;**

- **ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა** - რომლის მიზანია დანაწევრებული ფართობების გამსხვილება, რაც ხელს შეუწყობს ვენახების ფართობების ზრდას, აგროტექნიკური ღონისძიებების აგროვადებში განხორციელებას, დანახარჯების შემცირებას, მოსავლიანობის ზრდას, წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბებას.

- **ფერმერთა კოოპერატივები** - ფერმერთა გაერთიანება უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გაიოლდება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, განვითარდება პარტნიორული და საკონტრაქტო ურთიერთობები მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის და აღარ იქნებიან დამოკიდებული სახელმწიფო სუბსიდიებზე.

- **ღვინის მწარმოებელი კოოპერატივების ჩამოყალიბება** - საშუალებას მისცემს კოოპერატივის წევრ ფერმერებს აწარმოონ ღვინოები და აღარ იყვნენ დამოკიდებული მსხვილ მეწარმეებზე და ფასებით მანიპულაციაზე.



სოლომონ ნონიაშვილი



როცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებპორტალის შესახებ (www.csogeorgia.org) სტატიის დაწერა მთხოვეს, ცოტა არ იყოს დავიბენი, თითქოსდა დასაფიქრებელი არაფერი მეონდა, რადგან მისი შექმნის იდეის დაბადებიდან დღემდე პრაქტიკულად ყველაფრის მონაწილე ვარ, რაც კი ამ პორტალზე ხდება, მაგრამ რაც მეტია სათქმელი მით უფრო რთულია არჩევანი, ამიტომ გადავწყვიტე შურნალისტებისთვის კარგად ნაცნობ მთავარ კითხვებს გავცე პასუხი, ანუ მოვიყვებით თუ „ვინ“, „რა“, „სად“, „როდის“, „როგორ“ და „რატომ“ შექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებპორტალი და კიდევ ერთი, და მთავარი, თუ რატომ უნდა გაცნოთ მის რესურსებს. მამ ასე:

რა?

www.csogeorgia.org – სანამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პორტალის რესურსებს გავაცნობდეთ, მის მისამართში არსებულ ერთ აბრევიატურაზე გავამახვილებ ყურადღებას. „CSO“ – სა-მოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას ნიშნავს, რომელსაც საქართველოში ხშირად „NGO“-ს ან არასამთავრობო ორგანიზაციას უწოდებენ. საქართველოში ადრეც მოიხსენიებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, თუმცა ახლა მიმართვის ეს ფორმა თანდათან უფრო ხშირად გამოიყენება.

www.csogeorgia.org – სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებპორტალია, იგი შექმნილია დაგვარად აშუქებს ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობას, განცხადებებს, მათ პოზიციას, მონიტორინგის შედეგებს, ადვოკატირებას, ანგარიშებს, პუბლიკაციებს, კვლევებს, საქველმოქმედო აქციებს... ასევე, მათი საქმიანობის ამსახველ ანალიტიკურ მასალებს. ვცდილობთ განვათავსოთ ყველა ის რესურსი, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დღემდე გავლილ გზას და ყოველდღიურ საქმიანობას.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალურ სივრცეში განთავსებული რესურსებიდან ეს ვებგვერდი პირველია, სადაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დონორების, მათი პროგრამების ასეთი მოცულობითი ბაზებია განთავსებული. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს მოქმედი ორგანიზაცია, გაეცნოს მის პროფაილს, საკონტაქტო ინფორმაციას და, უფრო მეტიც, google-ის სატელიტურ რუკაზე მოძებნოს ორგანიზაციის ოფისი. დაიხ, google-ის სატელიტური რუკის საშუალებით, ჩვენ შევქმენით საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დონორების რუკა.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს და დონორებს, ვცდილობთ ყოველდღე განვაახლოთ ინფორმაცია მათ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების, ვაკანსიების, სასწავლო პროგრამების შესახებ. ყოველდღე თუ ვერ შეძლებთ ვებგვერდის სტუმრობას, შეგიძლიათ ინფორმაცია სოციალური ქსელში საზოგადოებრივი ორგანიზაციების გვერდის საშუალებით (www.facebook.com/csogeorgia.org) მიიღოთ. არის სხვა საშუალება – ელ-ბიულეტენი, გამოიწერეთ და კვირაში ერთხელ მიიღებთ ინფორმაციას ელ-ფოსტით. ეს ყველაფერი ქართულ და ინგლისურ ენებზეა.

პორტალის ერთ-ერთ პრეზენტაციაზე, რომელიც ერთ-ერთ რეგიონში გაიმართა ერთმა ქალბატონმა, რომელიც გვერდის

ხშირი სტუმარი აღმოჩნდა, მითხრა, რომ მისთვისაც აღმოჩენა იყო ის შესაძლებლობები, რომელსაც გვერდი მომხმარებელს ინფორმაციის, რესურსების დახარისხების ანუ გავილტვრის კუთხით სთავაზობს. შესაბამისად, დეტალებზე საუბარი შორს წავვიყვანს, გირჩევთ რომ თავად ნახოთ იგი და დარწმუნდეთ. არჩევანი თქვენზეა.

მხოლოდ ერთს დავამატებ, ინფორმაციული მრავალფეროვნება + მარტივი ნავიგაცია = www.csogeorgia.org

ვინ? სად? როდის?

სექტორში დაგროვილი რესურსების, ინფორმაციის, გამოცდილების გაზიარებისა და საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოსთან“ პარტნიორობით, ევროკავშირისა და ფონდ Brot fur die Welt-ის მხარდაჭერით დაახლოებით 2 წლის წინათ დაიწყო პორტალის შექმნაზე მუშაობა. გვერდის კონტენტის, არქიტექტურისა და დიზაინის დასრულების შემდეგ თვალნათელი გახდა, რომ პორტალი ერთდროულად არის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და უშუალოდ ორგანიზაციებისთვისაც. ფართო საზოგადოებას შეუძლია იხილოს რას საქმიანობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იმავე ვებგვერდზე მოიძიონ მისამართი და დაუკავშირდნენ მათ, შეუძლიათ თავადვე შექმნან ორგანიზაციები, გაიარონ იურისტებთან არასამეწარმეო სამართალში კონსულტაციები, იხილონ სამუშაო სამაგიდო დოკუმენტები და სხვა მრავალი რესურსი, ნახონ საკონკურსო, საგრანტო, სასწავლო სტიპენდიების შესახებ განაცხადები... ნახონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ინდექსები და ა.შ.

რატომ?

რატომ უნდა ესტუმროთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პორტალს? ზემოთთქმულის შემდეგ გამიჭირდება დამატებითი არგუმენტები მოვიყვანო ამ კითხვის საპასუხოდ. შემიძლია მხოლოდ გავცე პასუხი შემდეგ, დარჩენილ ბოლო კითხვას:

როგორ ესტუმროთ?

გლობალური ქსელი, ნებისმიერი ბრაუზერი, აკრიფეთ: www.csogeorgia.org... თქვენ უკვე ვებგვერდს სტუმრობთ...




ყველაფერი საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ

● საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრული ბაზა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

- უვლევები
- ჰენდლუცაქები
- წიგნები



● საგრანტო კონკურსები

ბანათლების მიღების შესაძლებლობა

- სასციპენდიო პროგრამები
- ცრეინიზები

● უახლესი ინფორმაცია არასამთავრობო სექტორში მიმდინარე მოვლენებზე

დასაქმების შესაძლებლობა

- ინფორმაცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ვაკანსიების შესახებ
- სცაფირების პროგრამები



ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეშენის მსურველთათვის

- გზამკვლევი
- იურიდიული დოკუმენტები
- უიხსულუცაქები სამართლებრივ საყიხებზე



www.csogeorgia.org

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვებპორტალი


www.csogeorgia.org



გია გოგოლაძე: „აქტიურად ვმუშაობთ წარმოებისა და კორტფელიოს გაფართოებაზე და მომხმარებელს ბევრ სიახლეს ვპირდებით!“

წყალი მარგებელი დაარსდა 1997 წელს და მომხმარებლისთვის საყვარელი და წარმატებული ბრენდის სახელი საკმაოდ სწრაფად დაიმკვიდრა. ამ მნიშვნელოვანი წარმატების შემდგომ კომპანიის დამფუძნებლებმა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ფიქრი დაიწყეს და აქცენტი მასზე გააკეთეს. შედეგად, 2007 წელს შეიქმნა ორი მონათესავე კომპანია - „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და მისი ნედლეულის ძირითადი მომწოდებელი „მარნეული აგრო“. 2009 წელს კი კომპანიები გაერთიანდნენ ქართულ შვეიცარიულ „მარგებელი ჰოლდინგში“ და მათ სადისტრიბუციო კომპანია „ენგადი“ დაემატა.

1997 წლიდან იწყება, ნაბეღლავის წარმოებას სათავეში „წყალი მარგებელი“ ჩაუდგა. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე წარმოების ათწლიანი წყვეტა იყო, საბჭოთა პერიოდის დროს პროდუქციის არეალი საბჭოთა ორიოდ რეგიონს მოიცავდა და საქართველოშიც კი მისი ცნობადობა დაბალი იყო. ამის ფონზე მიგვაჩნია, რომ კომპანიამ საკმაოდ მცირე დროში შეძლო მოეპოვებინა მომხმარებელთა ლოიალური დამოკიდებულება და მოწინავე პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე. ეს ერთის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენ ვცდილობთ მომხმარებელისთვის მაღალის ხარისხის პროდუქტი მივაწოდოთ. 2002 წლიდან უკვე მთის წყაროს წყალ ბახმაროს ჩამოსხმაც დაიწყო. დღეისათვის წარმოება მოიცავს ჭაბურღილების, მილსადენებისა და ჩამომსხმელი ქარხნის მთელ კომპლექსს, რომელიც ალტურვილია მოწინავე ევროპული ტექნიკით - გერმანული კომპანია „კრონესის“ (KRONES) სამი ავტომატური ჩამოსხმის ხაზით. წარმოების უმაღლესი ხარისხის დამადასტურებელია ISO 9001:2008 და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი. გარდა ამისა „წყალი მარგებლის“ პროდუქციას მინიჭებული აქვს მრავალი ქართული და უცხოური ჯილდო. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბადოების შესწავლას, განვითარებას და მოვლას, რაშიც კომპანიამ მილიონობით ლარის ინვესტიცია განახორციელა. გარდა ამისა, ნაბეღლავი გადის ექსპორტზე დაახლოებით 20-მდე ქვეყანაში, მათ შორის - ყაზახეთი, ყირგიზეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, აშშ, კანადა, თურქეთი, უკრაინა, და ა.შ.“ - გვესაუბრება კომპანია „წყალი მარგებლის“ დირექტორი **გია გოგოლაძე**.



კომპანიის დამფუძნებლები სოფლის მეურნეობითაც დაინტერესდნენ, შედეგად შეიქმნა ორი მონათესავე კომპანია - „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და ნედლეულის ძირითადი მომწოდებელი „მარნეული აგრო“, საიდან წამოვიდა ეს იდეა?

სოფლის მეურნეობაში ქართული პროდუქციის წარმოება - ეს იყო ჩვენი მიზანი. შესაბამისად, მარნეულის სასურსათო ქარხანა ორიენტირებულია ქართულ ნედლეულზე და მისი პრიორიტეტიც სწორედ ეს არის - მის მიერ წარმოებული ყველა პროდუქტი 100%-ით ქართული და ნატურალურია. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ სრულ ციკლს - მინდვრიდან დახლამდე. ამასთანავე, ახლა უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს სპეციალურ ტურში მონაწილეობა და თავად დარწმუნდეს (და გახდეს მონაწილე), რომ ქარხანაში იწარმოება მხოლოდ ქართულ მიწაზე მოყვანილი პროდუქცია. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მომწოდებლებთან, ასობით ფერმერი არის დაკავშირებული მარნეულის სასურსათო ქარხანასთან, რომლებსაც აქვთ თანამშრომლობის სტაბილურობის განცდა, რაც აქამდე სამწუხაროდ მიუღწეველი

იყო. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვემსახუროთ ქართულ საქმეს, ჩვენ კონკურენციას ვუწევთ ფაქტობრივად ღია იმპორტს, ადგილობრივ ბაზარზე კი ჩვენი ნიშა გვიკავია ხარისხისა და ფასის თანაფარდობით. საქართველოს ბაზარი განვითარებადია, საჭიროებს მეტ ძალისხმევას, ამიტომ ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს იმისა, რომ შეიქმნას მეტი ქართული საწარმო სოფლის მეურნეობის დარგში და ერთიანი ძალებით დავამარცხოთ იმპორტირებული პროდუქცია.

გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია...

გეთანხმებით, ის ვითარდება ეტაპობრივად და ამიტომაც მუდმივ წახალისებას, ინვესტიციებსა და მოწინავე წარმატებული ტექნოლოგიების გაზიარებას საჭიროებს. მარნეულის სასურსათო ქარხნის პროექტი ევრობანკის (EBRD) შეღავათიანი დაფინანსებით (18 მლნ დოლარი) ნაბეღლავის გარანტიით განხორციელდა, რადგან დამოუკიდებლად ამ სფეროს განვითარება და ამავე დროს სხვა სახის ფინანსური რესურსი ფაქტობრივად მიუწვდომელია. 2007 წლიდან დღემდე „წყალი მარგებლის“ დახმარებით „მარნეულის სასურსათო ქარხანაში“ 43 მილიონი ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, რათა ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული, სრული ციკლის სასოფლო სამეურნეო წარმოების სისტემა შექმნილიყო.

ამ დარგის მთავარ სირთულეს წარმოადგენს შეცდომის დაშვების საშიშროება. ნებისმიერ, თუნდაც პატარა შეცდომას შესაძლებელია სეზონის ჩავარდნა და ერთი წლის სრულიად დაკარგვა მოჰყვეს. შესაბამისად, კომპანიას ექნება დიდი ფინანსური ზარალი,



მოგესხენებათ ჩვენთან სოფლის მეურნეობის დაზღვევა არ არის განვითარებული, მეწარმეს უწევს საკუთარ თავზე რისკების აღება. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება, მეტი გამოცდილება ამ ჩვენთვის მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

აქვე აღვნიშნავ, რომ შემდგომ ორ სამ წელიწადში პრიორიტეტები ინვესტირებაში მიენიჭება ნედლეულის მოყვანის ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და მოსავლიანობის გაზრდას.

შექმნის დღიდან, ჯერ „წყალი მარგებელი“ და ახლა უკვე „მარგებელი ჰოლდინგი“ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობითა და საქველმოქმედო საქმიანობით გამოირჩევა, რისი განხორციელებაც, დღემდე, ყოველთვის ზედმეტი კომუნიკაციისა და აფიშირების გარეშე ხდებოდა...

მართლაც ასეა, არ გვიყვარს აფიშირება და ზედმეტად თავის ქება. ჩვენი ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადგილობრივების დასაქმებაა - დღეისათვის ნაბელავისა, მარნეულის ქარხნებში და გაყიდვების სამსახურში 965 ადამიანია დასაქმებული. ქველმოქმედების კუთხით, „მარგებელი ჰოლდინგი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური თუ სხვა

სახის საჭიროებების უზრუნველყოფას. „წყალი მარგებელი“ სხვადასხვა დროს იყო ტადრაკის ოლიმპიური ნაკრების სპონსორი, აგრეთვე საქართველოს ოლიმპიური ნაკრების პარტნიორი.

უახლესი პროექტებიდან გამოვყოფდი ჩოხატაურელი ბავშვების ვიზიტს დიდ ბრიტანეთში. „წყალი მარგებლის“ დაფინანსებით 2013 წლის აგვისტოში სამი ჩოხატაურელი უფროსკლასელი გაემგზავრა ინგლისური ენის კურსებზე ლონდონსა და ოქსფორდში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საცდელი პროექტი იყო, წელს ჩატარდა პირველად და ვიმედოვნებთ, რომ ეს ყოველწლიურ სახეს მიიღებს. ჩვენი პროექტის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა თაობაში სწავლის სურვილის გაძლიერება, დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს იქნება სტიმული ჩოხატაურელი სკოლის მოსწავლეებისათვის უკეთესად ისწავლონ.

აგრეთვე ჩვენ უახლოეს მომავალში ვიწყებთ მეტად მნიშვნელოვან განათლების წახალისების პროექტს ქვემო ქართლის რეგიონში. მოგესხენებათ, გარდაბნისა და მარნეულის რეგიონებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეთნიკური უმცირესობებია. კომპანიის მიერ დაგეგმილი საქველმოქმედო პროექტები ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ქართველ საზოგადოებასთან მაქსიმალურ ინტეგრაციას.

აღმოჩნდა, რომ „ნაბელავი“ უნიკალურია დიაბეტით დაავადებულთათვის, თქვენ ამ კუთხითაც მხარში უდგხართ მოზარდებს...

არ შემიძლია არ აღვნიშნო მართლაც, ის ფაქტიც რომ 1995 წლიდან საქართველოში ყოველ ბაფხულს ტარდება გამაჯანსაღებელი ბანაკი დიაბეტით დაავადებულ ბავშვებისათვის. ხოლო 2009 წლიდან „წყალი მარგებელი“ მისი სპონსორია. მოგესხენებათ ნაბელავი გამოირჩევა თავისი უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებებით, მისი მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდასა და მინერალებით გამდიდრებას. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია დიაბეტური ბანაკის ბავშვებისათვის.

დაბოლოს, გაგვიხილეთ სამომავლო გეგმებიც...

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია როგორც უკვე არსებული საქესპორტო ბაზრების გაძლიერება, ასევე ახლის მოძიება. ამასთანავე ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და განმტკიცება. აგრეთვე აქტიურად ვმუშაობთ წარმოებისა და პორტფელიოს გაფართოებაზე და უახლოეს ხანებში მოხმარებელს ბევრ სიახლეს ვპირდებით.



ბაჰიოს ექსპედიციები დაეხმარები დახმარებას

25 სექტემბერს გაეროს ინსპექტორები, რომლებიც მომწამვლელი აირის გამოყენების საკითხს სწავლობენ, დამასკოში დაბრუნდნენ. ჯგუფი, რომელსაც უფროსი ექსპერტი აკე სელსტრომი ხელმძღვანელობს, ქიმიური იარაღის გამოყენების 14 შემთხვევის შესწავლას განაგრძობს. ეს შემთხვევები სირიაში ორი წლის განმავლობაში მიმდინარე საომარი კონფლიქტის დროს მოხდა. სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის და ოპოზიციის მომხრე მემბრებს შორის მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში 110 ათას კაცზე მეტი დაიღუპა. ადრე ჩატარებული გამოძიების შემდეგ, ქიმიური იარაღის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 21 აგვისტოს დამასკოს ახლოს მდებარე გუტას დასახლებაში აკრძალული ქიმიური იარაღი გამოიყენეს. სელსტრომი აცხადებს, რომ ამჯერად ანგარიში მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი და საჭიროა მომზადდეს ახალი ანგარიში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებით მომხდარი სხვა თავდასხმების თაობაზე.

ჩეხეთში დაეხმარები "აჰინფისის" ექსპედიციას 15 წლით თავისუფლებისათვის ბრძოლაში

არქტიკაში ნავთობის მოპოვების წინააღმდეგ ეკოლოგების მიერ აქციის გამართვის მცდელობის გამო, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე „მეკობრეობის“ მუხლით აღძრა. რუსეთის კანონმდებლობით „მეკობრული“ დანაშაული 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ეკოლო-

გების ყინულმჭრელ „არქტიკ სან-რაიზზე“ რუსეთის შეიარაღებულმა მესაზღვრეებმა „გრინფისის“ 25 აქტივისტი, მათ შორის – რუსეთის ოთხი მოქალაქე დააკავეს. გემი კი მურმანსკის პორტში მიიყვანეს. მეკობრეობაში დადანაშაულებას ორგანიზაციაში აბსურდულად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ეკოლოგები მშვიდობიან საპროტესტო აქციას ატარებდნენ. ის, რომ უიარაღო ეკოლოგები არ შეიძლება მეკობრეები იყვნენ, ნათელია უფლებადამცველებისთვისაც. რუსეთისა და დღეს-ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს „გრინფისის“ აქტივისტების გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.



„გრინფისის“ აქტივისტები რუსეთის სხვადასხვა ქალაქის წინასწარი გამოძიების იზოლაციაში გადაიყვანეს. რუსეთში „გრინფისის“ პროგრამების დირექტორის ივან ბლოკოვის თქმით, მურმანსკის საგამოძიებო სამმართველოში დაკითხვისას შენობაში არ შეუშვეს არც ერთი უცხოელი დიპლომატი აშშ-ის კონსულის გარდა. დაკავებულთა ინტერესების დაცვის შესაძლებლობა არც ადვოკატებს მისცეს.

ოჯახში ძალიან სახიფათოა ახალბედათა დახმარება


საუღის არაბეთის სამეფოს ისტორიაში პირველად ქვეყანაში სახლსა თუ სამსახურში მომხდარი ძალადობის ნებისმიერი ფორმა კანონგარეშედ გამოცხადდა. მინისტრთა საბჭოს თანხმობა კანონის მიღების თაობაზე პირველი შემთხვევა იყო ქვეყნის ისტორიაში, როცა ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმა დასჯად დანაშაუ-

ლად ოფიციალურად გამოაცხადა. როგორც „საუღის გაზეთი“ იუწყება, დამნაშავეებს შესაძლოა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს, ან დაჯარიმდნენ მაქსიმუმ 13 300 დოლარის ექვივალენტის ადგილობრივი ფულადი ერთეულით. ახალი კანონი ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის შექმნასაც ითვალისწინებს. ასევე განსაზღვრულია კონფიდენციალობის გარანტიები მათთვის, ვინც ძალადობის ფაქტის შესახებ ოფიციალურ სტრუქტურებს აცნობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა ისეთი პრობლემაა, რომელიც ისლამურ სამყაროში, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა იმალება, წლის დასაწყისიდან ქვეყანაში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია ამოქმედდა, მოთხოვნით: გამოაშკარავდეს ოჯახში ძალადობის შემთხვევები. „მეფე ხალიდის საქველმოქმედო ფონდის“ მხარდაჭერით შეიქმნა რეკლამა ჩადრიანი ქალის გამოსახულებით, რომელსაც თვალი აქვს ჩალურჯებული. სოციალური რეკლამის სლოგანია: „ზოგიერთი რამ არ შეიძლება დაიფაროს, ერთად ვებრძოლოთ ქალის მიმართ ძალადობას.“

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის აკრძალვა საუღის არაბეთში ქალის უფლებების დასაცავად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, აქტივისტები მიუთითებენ, რომ ამ კანონის აღსრულება რთული იქნება. გარდა სამართალდამცავების გადამზადების საჭიროებისა, პრობლემატური ქვეყანაში არსებული მეურვეობის სისტემა, რომლის თანახმადაც ყველა ქალს მამაკაცი მეურვე უნდა ჰყავდეს. ეს კი შესაძლოა კანონის განხორციელებისას დაბრკოლებად იქცეს.





საქაუსთაიხი აბოხსაბის ხაოლენოხით ააჰაასი აიხთ-აიხთი აიხაჰი

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, სქესის მიხედვით სელექციური აბორტების რიცხვით ჩინეთი და სხვა აზიური ქვეყნები გამოირჩევიან. იმ ორსულების რიცხვი, რომლებიც მდებარეობითი სქესის ნაყოფს იშორებენ ამ ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დიდია კავკასიის რეგიონშიც. ორმა ახალმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს პრაქტიკა შესაძლოა კვლავ გავრცელდეს. მონაცემების თანახმად, შობადობის პროცესი ხელოვნური ჩარევის გარეშე რომ მიმდინარეობდეს, პროპორციულად 100 გოგონა და 105 ბიჭი უნდა იბადებოდნენ. ბავშვობის ასაკში დაავადებების მიხედვით კი ბიჭები მეტად მონყვლადები არიან, ამიტომ დაბადებისას რაოდენობაში მცირედი გადახრა მონიფულ ასაკში იცვლება და თანაბრდება. არსებული მონაცემებით, 2005-2009 წლებში საქართველოში 100 დაბადებულ გოგონას შორის საშუალოდ 120 ბიჭი იბადებოდა, აზერბაიჯანში – 117, უკრაინაში კი – 107-მდე. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთსა და აზერბაიჯან-

ში 100 გოგონაზე 115 ბიჭი იბადება. ეს მონაცემები ინდოეთის იმავ მარვენებლებს აჭარბებს. სქესის მიხედვით განსხვავება განსაკუთრებით შესამჩნევია მეორე და შემდეგი შვილების დაბადებისას. სომხეთში პირველ დაბადებულ შვილებში ვაჟების რაოდენობა ყოველ 100 გოგონაზე 138-ს აღწევს. იმ შემთხვევაში კი თუ პირველი შვილი ვაჟია, შემდეგი უმეტესად გოგონა იბადება, რაც საპირისპირო გადახრას წარმოადგენს. მაგრამ მაშინ, როდესაც პირველი შვილი გოგონაა, ნყვილების 61%-ს მეორე შვილი ვაჟი ჰყავს. კავკასიის რეგიონის ქვეყნებში სელექციური აბორტების რიცხვი 1991 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ზრდა საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ამ ქვეყნებში ულტრაბერითი აპარატურის შეტანამ განაპირობა. მათივე აზრით, კავკასიის მაჩვენებლები შესაძლოა პოლიტიკური იყოს, რადგან აქ ქვეყნების უმეტესობას ე.წ. „გაციონული კონფლიქტები“ აქვთ. საინტერესო იყო გამოკითხვის შედეგებიც, რომელიც 61 ქვეყანაში ჩატარდა. ნახევარზე მეტმა ვაჟის ყოლის სურვილი გამოთქვა. სომხეთი

და აზერბაიჯანი ამ მხრივაც ლიდერებს შორის არიან. თუმცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაინც აფრიკა გამოირჩევა.

ააიხსტანში მინისძჰას 270-ზე მატი ააიმიანი აესხაიხა

პაკისტანელი სამხედროები რამდენიმე დღეა ცდილობენ, რომ სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ ბელუჯისტანის პროვინციას, სადაც ძლიერი მიწისძვრის შედეგად 270-ზე მეტი დაიღუპა და ასობით მძიმედ დაშავდა ძლიერი მიწისძვრის შედეგად. შეერთებული შტატების გეოლოგიური კვლევის ცენტრის ცნობით, 7,8 მაგნიტუდის მიწისძვრის ეპიცენტრი ბელუჯისტანში დაფიქსირდა, თუმცა ბიძგები დელისა და დუბაშიც იგრძნობოდა. ბელუჯისტანის პროვინცია სამხრეთ-დასავლეთ პაკისტანში მდებარეობს. [1]





„ევრაზიული კავშირი წარმოადგენს ჩვენს ახლო წარსულსაც და, მომავალსაც, რომელსაც მოსკოვში ჩვენ კვბ-ს ყოფილი ოფიცრები გვიმზადებენ. ამის საპირისპიროდ, ჩვენი ალორძინებული ტრადიციები და მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებები მიგვიძღვებიან სრულიად სხვა სამყაროსკენ, რომელსაც ევროპა ეწოდება“ –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„მთავრობა და მომავალი პრემიერიც იქნება უფრო ეფექტიანი, ვიდრე მე ვარ დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ კოალიცია შემდეგ არჩევნებამდე მივა და ერთი პარტიაც რომ გამოეყოს, არავითარი ქაოსი არ იქნება“, –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი



„თანამედროვე სამყაროში არ უნდა ვაშენებდეთ ბარიერებს. პირიქით, უნდა ვანგრევდეთ. ვფიქრობ, დღევანდელი ვითარებიდან გონივრული გამოსავლის პოვნა შესაძლებელია“, –

რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ის ელჩი საქართველოში





„მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა და უმეტესობა ასეთად ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს. ამ ეტაპზე შეუძლებელია ვივარაუდოთ, იქნება თუ არა ქვეყანაში მეორე ტური, რადგან იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ან უარს ამბობს პასუხის გაცემაზე, ჯამურად ძალიან დიდია“, –

ლუსის ნავარო, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი




„სოფელი ხაიში დგას მარტო, მიტოვებულია ფაქტობრივად მთელი საქართველოსაგან, მწერლებისგანაც და დედაქალაქისგანაც. თუ ეს პროექტი განხორციელდა, მთელი სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა და შემდეგ უკვე სხვა რეგიონებიც, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებიან, ათასობით და ათიათასობით ჰექტარი ჩაიძირება წყალში და ჩვენ შეგვრცხვება, რომ ამ დროს ვცხოვრობდით, მწერლები ვიყავით, ვწერდით და პრემიებს ვიღებდით. მე მოვუნოდე მწერლებს, მოაწერონ ხელი ამ პროექტის წინააღმდეგ“, –

ნაირა გელაშვილი, მწერალი



მოგზაურობა ევროპაში

სასაუბრო დრო



iPhone 5

ინტერნეტ და მობაილ ბანკი

დარეგისტრირდით, განახორციელეთ ტრანზაქციები და მიიღეთ:

- გარანტირებული პრიზი – 30 წუთი სასაუბრო დრო
- ყოველ თვე iPhone5-ის მოგების შანსი
- 2 კაციანი საგზურის მოგების შესაძლებლობა ევროპაში



ევრაზიული ჯავშიში: პოლიტიკური აღმართები თუ სიბრძნე

დღეისათვის საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა „ასოციირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ევროკავშირთან“ გახლავთ, რომელიც ამჟამინდელ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ ჩანაცვლებს და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანს. ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი შეთანხმებულია და 2013 წლის ნოემბერში ვილინიუსის სამიტზე განიხილება. ამ პროცესის შემაფერხებელი ერთადერთი საფრთხე საქართველოსთვის საგარეო ორიენტაციის შეცვლა გახლავთ.

გიორგი შაიშველაშვილი, „კავკასიური სახლი“

„აჩრდილები გაცილებით მეტ სისხლს ითხოვენ, ვიდრე ყველაზე ბოროტი სახელმწიფო ან კეთილი ხელისუფლება“.

მერაბ მამარდაშვილი

პარადოქსია, რომ ამის პარალელურად ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, სულ უფრო ხშირად ისმის საუბრები ევრაზიული კავშირის შესახებ. ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურობას, საქართველოს პრემიერ-მი-

ნისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც დაემატა, რომელსაც არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა: „ევრაზიულ კავშირს რაც შეეხება, მე ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ. ამ ეტაპზე არავითარი პოზიცია არ გაგვანია. თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს იქნება საინტერესო, რატომაც არა. ამ ეტაპზე არა გვაქვს პოზიცია“, – აღნიშნა მან.

საქართველოს მოსახლეობის ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებულ აღქმებზე საუბარი შესაბამისი კვლევის გარეშე, რთულია. ზედაპირული დაკვირვებით კი შეგვიძლია ორი ჯგუფი გამოვყოთ. პირველს მიაჩნია, რომ ეს არის „საბჭოთა კავშირის“ ძალისმიერი გზით აღდგენის მცდელობა, ხოლო მეორე, ანტი-დასავლურ სენტიმენტებით გაჯერებული ჯგუფისთვის – ეს „ღირებულებითი ალტერნატივა“ და მასვე უკავშირდება „საბჭოთა ნოსტალგია“. ამ ორ ჯგუფს, სულ მცირე, ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი ერთმანეთის არსებობით „არსებობენ და ძლიერდებიან“.

სიმულაციური წარმონაქმნი

ამ კვირაში ორი წელი სრულდება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ გაზეტი „იზვესტიაში“ სტატიის გამოქვეყნებიდან, სადაც მან პირველად ისაუბრა რუსეთის მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნის – ევრაზიული კავშირის შესახებ. დღეისათვის, ევრაზიის საბაჟო კავშირში, რუსეთის გარდა, განწევრიანებული არიან ყაზახეთი და ბელარუსია, 2015 წლისთვის კი იგეგმება მისი გარდაქმნა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად. აღნიშნული ქვეყნები საკუთარი საბაჟო, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების უნიფიცირების გარდა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასაც გეგმავენ.



„საბჭოთა კავშირის“ დაშლის შემდგომ, პოსტ-საბჭოთა სივრცეზე რამდენიმე მსგავსმა წამოწყებამ განიცადა მარცხი და ინსტიტუციონალიზებული სახე ვერ მიიღო. ნებისმიერი მათგანის (ავილოთ, მაგალითად, საქართველოს მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი დსთ) არაფექტიურობის საილუსტრაციოდ კმარა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე არსებული ეთნო-პოლიტიკური თუ სხვა სახის კონფლიქტები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საგანგაშო პარამეტრები, დემოკრატიის დაბალი ხარისხი, სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები და ა.შ.

ზოგადად, ნებისმიერი ორი თუ მეტი ქვეყნის გაერთიანება რაღაც ტიპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან გენეზავთ, კულტურულ ეფექტს უნდა იძლეოდეს და შესაბამის წანამდღერებს ეფუძნებოდეს. „პოსტ-საბჭოთა“ სივრცეზე კი (ბალტიისპირეთის გამოკლებით), არა თუ ამ ტიპის წანამდღერები, არამედ გაერთიანების მთავარი სუბიექტები – ფუნქციური ინსტიტუტების მქონე დემოკრატიული სახელმწიფოები არ არსებობს. ამ მხრივ მეტ-ნაკლებად წარმატებული საქართველო, მოლდოვა და უკრაინა სწორედ იმ ხარისხით არიან დემოკრატიულნი, რამდენადაც ემიჯნებიან ევრაზიულ სივრცეს.

შესაბამისად, პოსტ-საბჭოთა სივრცეზე ერთადერთ „მინტეგრირებელ“ ფაქტორად რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკური ამბიციები შეიძლება ჩაითვალოს, რაც თავის თავში გამოიცხადებს რეგიონალიზმის ძირითადი არსის – სინერგიის მიღწევის პრინციპს. ბუნებრივია, რუსეთის სურვილი აღადგინოს საკუთარი პოლიტიკური დომინაცია, სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს დანარჩენი „პოსტ-საბჭოთა“ სახელმწიფოების სუვერენიტეტს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართულ „პოსტ-საბჭოთა“ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოების ინტენსიურ პროცესს გადიან. საუბარია საქართველოზე, მოლოდოვაზე და უკრაინაზე. ბოლო დრომდე ამ ჯგუფში შედიოდა სომხეთიც. თუმცა, ცოტა ხნის წინ, მოსკოვში ვიზიტისას, პრეზიდენტმა სერჟი სარქისიანმა განაცხადა, რომ სომხეთს სურს შეუერთდეს ევრაზიულ საბაჟო კავშირს. ბუნებრივია, სომხეთი კვლავაც შეეცდება, შეინარჩუნოს გარკვეული კავშირები ევროკავშირთან, თუმცა, ეს იქნება თვისობრივად განსხვავებული თანამშრომლობა იმისაგან, რაც

სომხეთსა და ევროკავშირს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ექნებოდათ. შეუძლებელია ერთდროულად ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო რეჟიმის ქონა და საბაჟო კავშირის წერვობაც.

ჩამოთვლილ სახელმწიფოებზე რუსეთს ზემოქმედების განსხვავებული ბერკეტები გააჩნია. პირველ რიგში ეს გახლავთ სავაჭრო-ეკონომიკური სანქციები. ცოტა ხნის წინ, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა მოლდოვა, შემდეგ კი პრობლემები გაუჩნდა უკრაინასაც, რომელიც რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია და ენერგეტიკულად მეტწილად მასზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, მოვლენათა დინამიკა აჩვენებს, რომ უკრაინაც და მოლდოვაც აქცენტს სწორედ ევროპულ ინტეგრაციაზე გააკეთებენ.

რაც შეეხება საქართველოს, ის ერთადერთი სახელმწიფოა რეგიონში, რომლის ტერიტორიებიც რუსეთს ოკუპირებული აქვს. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს დამატებითი „ლეგიტიმაცია“ შესძინა. ამის მიუხედავად, რუსეთს კვლავაც რჩება გარკვეული ბერკეტები საქართველოზე ზემოქმედებისთვის. ბოლო დროს დაწყებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, თავის თავში, გარკვეულ რისკებს შეიცავს და ამას არც მალავენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები. თუმცა, ვინაიდან „გადატვირთვის“ პროცესი სწორედ ამ სფეროში დაიწყო, ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსეთმა საქართველოსთან სავაჭრო სანქციები უახლოეს ან სამუშაოვადიან პერსპექტივაში აამუშაოს. ევროპასთან ინტეგრაციის პირდა-

პირპროპორციულად, მოსკოვმა თბილისს პრობლემები შესაძლოა ადმინისტრაციულ საღვრებზეც შეუქმნას, საერთაშორისო ასპარეზზეც და სხვა მიმართულებებითაც. თუმცა, ეს ყოველივე სიტუაციური შეტევები იქნება, რომლის მიმართაც საქართველოს სახელმწიფომ და მისმა დიპლომატიამ საკმარისი რეზისტენტობა შეიძინეს. ამიტომ, ერთადერთი რეალური საფრთხე, რომელიც ჰიპოტეტურად რუსეთმა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას შეიძლება შეუქმნას – ქვეყნის შიგნით საგარეო ორიენტირების შეცვლაა. ■

■ ბუნებრივია, რუსეთის სურვილი აღადგინოს საკუთარი პოლიტიკური დომინაცია, სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს დანარჩენი „პოსტ-საბჭოთა“ სახელმწიფოების სუვერენიტეტს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართულ „პოსტ-საბჭოთა“ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოების ინტენსიურ პროცესს გადიან. საუბარია საქართველოზე, მოლოდოვაზე და უკრაინაზე.

ბეჭიდაბა სოფლის მეურნეობის ბანკოთმხრობის სახეობა!

ნინო ზამბახიძე
რეგიონული განვითარების ასოციაციის დამფუძნებელი
„საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ პარტნიორი და თავმჯდომარე

დასაწერია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 წლამდე, რომელიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული. არ შეიძლება, გეგმა მინისტრებზე იყოს მორგებული. მოვა ერთი მონისტრი, ცვლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. მოდის ახალი მინისტრი, ახალი ხედვით. ასე სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია. უნდა არსებობდეს სამაგიდო დოკუმენტი, რომელსაც მე სოფლის მეურნეობის კონსტიტუციას ვუწოდებ და რომელიც ასე მარტივად არ შეიცვლება.

რა სჭირდება ადამიანს, რომელიც სოფლის მეურნეობაში საქმიანობს? უპირველეს ყოვლისა, განათლება. მისი ცოდნა იმ მინიმალურ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, რასაც დღევანდელი რეალობა ითხოვს. ხომ არ შეიძლება, ისევე შაბიანით ინამლებოდეს ვენახი, როდესაც არსებობს თანამედროვე პესტიციდები და შენამგლის თანამედროვე მეთოდები? ფერმერს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. აი, მივიღეთ რომელიმე ფერმერთან და ვთხოვთ, გვაჩვენოს ჟურნალი რას აწარმოებს. არ ექნება. ვკითხოთ, რითი შენამლა? – უმეტესობა გიპასუხებს, “ჩემმა მეზობელმა თქვა, კარგიაო”. ასე შეიძლება მთელი მეურნეობა გაანადგუროს.

სახელმწიფომ მიწები უნდა აღწეროს. უნდა ვიცოდეთ, რა არის სახელმწიფოს და რა გლეხის საკუთრება. არ ვიცით, რამდენი გვაქვს სახნავი, რამდენი სათესი, რამდენი საძოვარი. იმისთვის, რომ რაიმე გრძელვადიან გეგმაზე ისაუბრო, წარმოდგენა უნდა გქონდეს რა პოტენციალი გვაქვს.

არ არსებობს სარწყავი სისტემები, ნაკვეთებთან მისასვლელი გზები. აღარ არის ლაპარაკი სექცვადამცავ გადასაფარებელზე და სექცვის ღრუ-

ბელის გასაფანტ მოწყობილობაზე. ირიგაცია და გზები რომ არსებობდეს, დაზღვევაც იარსებებდა. ფერმერს საშუალება ექნება ყველაფერი აწარმოოს, ამინდზე არ იყოს დამოკიდებული. როდესაც ფერმერი დათესავს და გვალვაა, მოსავალი არ იქნება იმიტომ, რომ მორწყვის საშუალება არ არსებობს.

მთავარი გეგმა ეტაპებად უნდა დაიშალოს. მაგალითად, ავიღოთ მეცხოველეობის განვითარება. მას კიდევ დამატებით ქვეპუნქტები აქვს: შინაური ფრინველის მოშენება, სალორეების გაკეთება, მერძეული და მეხორცეული ძროხის ჯიშების მოშენება, მემცენარეობა, მეხილეობა, ძალიან ბევრი ქვეპუნქტი არსებობს.

არ შეიძლება ქვეყანაში არ არსებობდეს განერილი გეგმა, თუ რა ჯიშის ძროხები უნდა მოვაშენოთ. ვთქვათ, მე შემოვიყვანე მენველი ჰოლფშტეინი. ვილაცამ ბრაუნშვიტი, ვილაცამ ჯერსი... და გვყავს კიდევ ადგილობრივი ჯიშები. ადგილობრივმა ჯიშმა, შესაძლოა, თავისი დაავადებები ყველა შემოყვანილ ჯიშზე გაავრცელოს. რომელი ანტიბიოტიკიც ადგილობრივს სჭირდება, იმან შესაძლოა ბრაუნშვიტს უკურეაქცია მისცეს.

ამისი კარგი პრეცედენტი აზერბაიჯანმა შექმნა. შემოიყვანა დიდი რაოდენობით ერთი და იგივე სახეობის პირუტყვი, დააყენა კარანტინზე, გაუკეთა სუბსიდია, და ყველამ, ვისაც ადგილობრივი, უფარვისი ჯიში ჰყავდა, ეტაპობრივად განყვიტა, და ახალი ჯიშით ჩანაცვლა. დღესდღეობით, აზერბაიჯანში, როგორც რძის, ისე ხორცის მნიშვნელოვანი ნამატია.

უნდა არსებობდეს დაზღვევა. თავიდან დაზღვევისთვის სახელმწიფო სუბსიდია გახდება საჭირო. თუმცა, როდესაც ინფრასტრუქტურა განვითარ-



ფოტო სოფო აფხაზური

დება და სოფლის მეურნეობა მომგებიან ბიზნესად იქცევა, სახელმწიფოს სუბსიდირება საჭირო აღარ იქნება. თუ შენ, სახელმწიფო, ხელს შემიწყობ, რომ მექონდეს დაზღვევა, მექნება მდგრადი ბიზნესი. პირველი მოგება ის იქნება, რომ ქვეყანაში შეიქმნება პროდუქტის მარაგი, ამასთან მე გადამხდელი ვარ.

უნდა არსებობდეს აგრობანკი, რომელიც იპოთეკაში მინას აიღებს. მაშინ მინის ფასიც გაიზრდება. დღეს მინას საქართველოში ფასი არ აქვს, რატომ ინტერესდებიან უცხოელები ჩვენი მინით? იმიტომ, რომ ჰექტარი შეგიძლია 1000, 2000 ათას ლარად იყიდო. სხვაგან სად იყიდი 1000 ევროდ ჰექტარს?

უნდა ვიცოდეთ ქვეყნის პოტენციალი, რა რაოდენობის, რა ხარისხის, რა პროდუქტი შეგიძლია ვაწარმოოთ. უნდა ვიცოდეთ ამ პროდუქტის ექსპორტისა და იმპორტის წილი. ჯერ შიდა მოთხოვ-

ნილება უნდა დააკმაყოფილო და საგარეო ბაზარზე მერე უნდა გაიტანო. დღეს რომ რუსეთის ბაზარზე ვლაპარაკობთ, შიდა ბაზარს ვერ ვაკმაყოფილებთ. ჩვენი პროდუქტი რუსეთში გავიტანოთ და ჩვენ ნაგავი შემოვიტანოთ?

თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს, უნდა არსებობდეს უწყვეტი სანარმოო ჯაჭვი.

უნდა გვექონდეს პროდუქტის ბაზები, აი, მაგალითად, ესპანეთს სურს 50 ტრაილერი მწვანელი ვიცით, გვაქვს თუ არა ამის შესაძლებლობა? როდესაც გვექნება ბაზები, გვეცოდინება წარმოების პოტენციალი, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აგრო სექტორი დამოუკიდებელია.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცალკე რომელიმე სექტორი ვერ განვითარდება, თუ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში არ ზის. სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას ცალკე ვერ დანერ. **□**



ხიზა უდაბნოში

ქეთევან საღლობელაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის სცენარისტი

თუ შეხედავ და მოუსმენ, ხშირად, შენობები უკეთესად გიყვებიან ქვეყნის ისტორიას, ვიდრე ადამიანები.

აბა, ეს შენობა ნახეთ. კოსტავას 68-ში. კიბეებიდან დაიწყეთ, აქ კიბეა უმთავრესი. 1991-ში ამ კიბეზე გამოეფინენ გაფიცული თანამშრომლები და პოლიტიკური ზენოლის შესახებ განაცხადეს. მაშინ ჟურნალისტებს ათასი ჯურის პოლიტიკანი და შარაგზის ყაჩაღი მიეტმასნა. მერე იარაღიც გავარდა, პრეზიდენტიც გააგდეს და ამ „კიბეს“ დაბრალდა ყველაფერი. ეგ კი არა, ტრადიცია ჩამოყალიბდა – საკმარისია, ჟურნალისტებმა რამე გააპროტესტონ, რომ ანგარებიანი, ხარბი პოლიტიკანები აეტუზებიან გვერდით და ისე მოაწყობენ საქმეს, თითქოს ერთად გაატარეს ნახევარი ცხოვრება.

ერთდროს მოგუგუნე კიბე დღესაც გაკოტრებული პოლიტიკური ძალების, ხელმოცარული და შეუმდგარი პოლიტიკოსების, მთავრობითა და ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის, საქართველოს ხსნის ძალების: „იბერია ხვალ თუ არა, ზეგ გაბრწყინდებას“ – მოხეტიალე დასისა და „ვისაც არ ეზარება, ყველა მოდით საზ-მაუსთან“ - მეგაფონიანების ბირჟად იქცა. ალბათ, ამიტოა ეს კიბე დამენყრილი, პირდაფრენილი და გვერდზე გადაწოლილი. თუ დაკვირვებით არ აიარეთ საფეხურები, მის შეუხორცებელ ჭრილობებში ჩაგივარდებათ ფეხი.

აიარეთ ხო, მშვიდობით?! შენობაც დახეთქილია, ავარიული, ქუჩის მოძრაობა ხო ხელს

უთავებს და აზანზარებს აქაურობას. ნახევარი საუკუნის გაუნმენდავი შუშა ასეთ შეფერილობას აძლევს – ბნელია, კი. სუნიც ისეთია – ნამწვავებით სავსე გიგანტური საფერფლე წლობით რომ დგას და გარშემო ყველაფერი ნიკოტინით იფლინთება. სიძველის სუნიც ემატება, დღედაღამე ჩართული ტექნიკის, კაბელების. ის, ხო, საერთოდ, გაქუცულ, დაფერდებულ იატაკებს ჭუჭყიან, სველ ტილოს რომ მოატარებენ დამლაგებლები.

მესამე სართულის წინა მხარე ყველაზე პრივილეგირებულია – აქ ბრძანდება ადმინისტრაცია, „ბორდი“, მენეჯმენტი და ა.შ. საინფორმაციოც დიდ პატივშია. დანარჩენებზე, უმჯობესია, თავადი თათქარაძის სახლ-კარის აღწერა გავისხენოთ და არც ის დაგვაინწყდეს, რომ მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ტელევიზიაზე ვსაუბრობთ.

1956 წლიდან იწყება ამ ტელევიზიის ისტორია და რომ წარმოიდგინო, რა ფორმაციები გაიარა, ვისი ინტერესის საგანი აღარ იყო, რამდენი პოლიტიკური ძალის აინონა-დაინონა ითამაშა, ვის და რას გაუძლო, უძლებს და უნდა გაუძლოს მომავალში, რაღა დიაგნოზი უნდა – მანიაკალური პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლია, აშკარად.

პოლიტიკური კულტურა კი არა, პოლიტიკური ანბანი არ იციან ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ამიტომაც ქვეყანა მათთვის ნივთია, რომელსაც ადგილს და ფუნქციას შეუცვლიან და იქ დადგამენ, სადაც მოუნდებათ. 9 წელი ხნავდა ნაცმოძრაო-

**ერთდროს მოგუგუნე კიბე
დღესაც გაკოტრებული
პოლიტიკური ძალების,
ხელმოცარული და შეუმდგარი
პოლიტიკოსების, მთავრობითა და
ხელისუფლებით უკმაყოფილო
მოსახლეობის, საქართველოს
ხსნის ძალების... მეგაფონიანების
ბირჟად იქცა. ალბათ, ამიტოა ეს
კიბე დამენყრილი, პირდაფრენილი
და გვერდზე გადაწოლილი.
თუ დაკვირვებით არ აიარეთ
საფეხურები, მის შეუხორცებელ
ჭრილობებში ჩაგივარდებათ ფეხი.**

ბა ტელევიზიას, რომელსაც სახელმწიფო ტელევიზიის სტატუსი შეუცვალა და საზოგადოებრივი დაარქვა. სახელმწიფო ტელევიზია მაინც ისეთია, პირდაპირ ხელისუფალს ემსახურება. საზოგადოებრივი კი ხალხს თანამფლობელისა და თანამონაწილის ილუზიას უქმნის – ამაზეც იყო გათვლილი, თორემ ტელევიზიის მართვაში საზოგადოების თანამონაწილეობის პრეცედენტები ნამდვილად არ მასხენდება. საზოგადოების სახელით სპეკულირება კი ნორმა იყო ხელისუფლებისთვისაც და მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვისაც.

საზოგადოებრივის ფორმატი მენეჯმენტისა და სამეურვეო საბჭოს კოლეგიალურ მმართველობას ითვალისწინებს, ამიტომაც, ნებისმიერი დარღვევა, მით უფრო მართვის კრიზისი და უდაბლესი რეიტინგი ორივე მხარის პასუხისმგებლობაა. სამეურვეო საბჭომ, რომელიც თავის დროზე ნაცმოძრაობის კანდიდატურებით დაკომპლექტდა, 4 დირექტორი გაუშვა ვადაზე ადრე, მაგრამ ეს მაუწყებლის გაუმჯობესებისთვის კი არ გააკეთა, ნაცმოძრაობის პარტიული დავალება შეასრულა. რა დროს, როგორც ანყობა პარტიას, ისე იყო – ნებისმიერი მიტინგი, ჩაილურშიც რომ გამართულიყო, ბოლოს მაუწყებლის შენობას მიადგებოდა, პირდაპირ ეთერს მოითხოვდა და ერთ-ორ დირექტორს შეინიშნავდა ხოლმე. არც სამეურვეო საბჭო და არც მენეჯმენტი დამოუკიდებელი რომ არ იყო გადაწყვეტილების მი-

ლებისას და პოლიტიკურ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ, ეჭვგარეშეა – პოლიტიკური კონიუნქტურა და მიკერძოებულობა ეტყობოდა საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების პროგრამებს და თუ ვინმე, ერთი კონკრეტული არჩევნების შეფასებისას, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ნათქვამ ფრაზებს მომიყვანს მიუკერძოებლობის არგუმენტად, გულიანად გამეცინება.

შარშანდელი არჩევნების შემდეგ მაუწყებელში კოაბიტაციის, ჩემი აზრით (წარმოსახვითაც) გარიგების პროცესი დაიწყო – ვალების ჩამონერა თუ გინდა, წყნარად წადი! ეგრე არაა, რა! ეს საინფორმაციო რო ბარდაგია, ხედავ?! კაი, ძმაო, ვიზამ რაღაცას. გადაგვაგდეს, ბიჭოო!!!! აირია სახელები – გია, ლევანი, ირაკლი, გიორგი, გივი-გივაგივივივა.

მერე, რაც მოხდა, იცით. სამეურვეო საბჭოსა და მენეჯმენტის დაპირისპირების პარალელურად

მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. ჩემი აზრით, ნაჩქარევად და გაუაზრებლად მომზადებული ცვლილებები, რომელმაც კიდევ უფრო ღრმა დეპოში შეიყვანა საზოგადოებრივი მაუწყებელი. დღეს, უსამართლო და არაკვალიფიციურ სამეურვეო საბჭოს, რომელსაც 560-მა თანამშრომელმა გამოუცხადა უნდობლობა, პარლამენტი პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებს იმიტომ, რომ კანონით, ახალი საბჭო 2014 წელს უნდა აირჩეს, ამ ძველს კი, თუ კინისკვრით არ გაყარეს, სხვას ვერაფერს უზამენ. საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელება დაწყებულია, სამეურვეო საბჭოს მიერ ორჯერ გადაყენებული გენერალური

**■ შარშანდელი არჩევნების შემდეგ
მაუწყებელში კოაბიტაციის,
ჩემი აზრით (წარმოსახვითაც)
გარიგების პროცესი დაიწყო –
ვალების ჩამონერა თუ გინდა,
წყნარად წადი! ეგრე არაა, რა!
ეს საინფორმაციო რო ბარდაგია,
ხედავ?! კაი, ძმაო, ვიზამ რაღაცას.
გადაგვაგდეს, ბიჭოო!!!! აირია
სახელები – გია, ლევანი, ირაკლი,
გიორგი, გივიგივაგივივივა.**

დირექტორი ისევ სასამართლოს კარზეა. არ არის გამორიცხული, სასამართლომ ამჯერადაც აღადგინოს. პარალელურად, ახალი გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი მიმდინარეობს. ამბობენ, რომ „ნაც-ბორდი“ თავის კანდიდატს ამზადებს გენერალურ დირექტორად, რომელსაც 2014 წლის იანვარ-თებერვალში არჩეული სამეურვეო საბჭო ძვრასაც ვეღარ უზამს. ამიტომაც, გარიგების პროცესი „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის კვლავ აქტიურ ფაზაშია. უბრალოდ, სხვა სახელები ისმის – ემზარი, თამაზი, ლევანი, ნუგზარი, კოკაკოკოკოკოკოკოკო.

არავის ფიქრობს იმას, რომ ამ ტელევიზიაში საინფორმაციო-პოლიტიკური გადაცემების გარ-

და, სხვა თემატური გადაცემებიც მზადდება და პარტიული აქტივისტებისა და კონფორმისტი მედროვეების გარდა, აქ სხვა ადამიანებიც მუშაობენ – დიდი ფსიქოლოგიური და მორალური სტრესის ქვეშ. დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების აინონა-დაინონამ და ქიშპმა საზოგადოება დააავადა და რას უზამს ერთ ტელევიზიას, რომელსაც ამდენი ხანია უმოწყალოდ გლეჯენ ფულისა და გავლენის გამო.

20 სექტემბერს, სამეურვეო საბჭომ მენეჯმენტს ახალი საეთერო სეზონის ანგარიში მოსთხოვა. სხდომამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, უმძიმესი. ეს შთაბეჭდილება ცხლოვნური კოაბიტაციის შედეგია. როდის იყო, ტყუილს და სიყალბეს კეთილი შედეგი მოჰქონდა.

სიენენის დამფუძნებელმა ტედ ტერნერმა ტელევიზიას „უკიდევანო, ინტელექტუალური უდაბნო“ უწოდა. ჩვენს უდაბნოში მხოლოდ კიბეა. ■



mediamonitor.ge

მ ე დ ი ა მ მონიტორი

როგორ უუქდება წინასაარჩევნო კამპანია ქართულ მედიაში?

მეტი შესაძლებლობები განახლებულ ვებ გვერდზე

გაეცანით მედიამონიტორინგის ანგარიშებს,
შექმენით თქვენი საკუთარი დიაგრამები და
გაანალიზეთ მონაცემები

www.mediainmonitor.ge
facebook.com/Mediainmonitor.ge



EUROPEAN UNION

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა
და გაეროს განვითარების პროგრამის
მხარდაჭერით



Empowered lives.
Resilient nations.



ფოტოს: სანა ლომიძე

სალომე ზუხაბიშვილი: მა ვახ თქვენი ჩამოხითაუდი ახჩავანი ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან

სალომე ზურაბიშვილი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა. თავადაც ამბობს, რომ უფრო ძალების მოსინჯვა უნდოდა, ვიდრე გამარჯვება. „ლიბერალმა“ მასთან ინტერვიუ ცესკო-ს საბოლოო პასუხამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაწერა.

იურიდიულ კაზუსტიკაში ვერ ვერკვევი, მაგრამ, როგორც ვხვდები, თქვენ იბრძოდით, რომ კანდიდატად ელიარებინეთ და ამტკიცებდით, რომ კანდიდატობას ორმაგი მოქალაქეობა არ უშლის ხელს.

დიახ, არ უშლის. კანონი და კონსტიტუცია ამას არ კრძალავს. ყველამ ვიცით, რომ რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია. ეს პრინციპი, რომიდან დაწყებული, სამართლის საფუძველია და შეუძლებელია ამის უარყოფა. რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია.

ცესკოს ანკეტებში და მოთხოვნებში არსად წერია, რომ უნდა იკითხონ, ადამიანი არის თუ არა ორმაგი მოქალაქე. არც არანაირი დოკუმენტის წარდგენა ევალება ადამიანს, რადგან იურიდიულ მოთხოვნებს შორის ეს არ არის.

ჩემი საქმით უკვე გამოვასუკარავე, რომ სასამართლო არ შეცვლილა.

ეს არის ფარსი, ეს სასამართლოს პაროდიია, ისაა, რაც ადრე გვექონდა. მე არაერთ სასამართლო პროცესს დავესწარი დაწყებული განმუხურის საქმით, გაგრძე-

ლებული ეკა ბესელიას შვილის საქმით და ზუსტად ვიცი, როგორი სასამართლო იყო. ის არაფრით განსხვავდება დღევანდელი საგან.

თქვენ რომ კანდიდატად დაარეგისტრირებულიყავით და არჩევნები მოგეგოთ, შემდეგ რა მოხდებოდა?

შემდეგ ძალიან მარტივია. ამის პრეცედენტები არსებობს. ესეც არ მიიღო სასამართლომ და თავისი დასკვნები დააფუძნა, ჩემთვის ძალიან უცნაურად, რუსეთის

პრეცედენტებზე, სადაც პუტინი, ცხადია, მანიპულირებს – როცა უნდა ბიძინა ივანიშვილს აძლევს უფლებას, რომ გამოვიდეს მოქალაქეობიდან ძალიან ჩქარა და როცა არ უნდა, აზერბაიჯანის არჩევნების მაგალითზე, აჭიანურებს ამ საკითხს.

ეს მომიბრუნეს მე და მითხრეს – ჩვენ ხომ არ ვიცით, საფრანგეთი რას იზამსო?! ამ დროს არსებობს ძალიან ნათელი მაგალითები. ზუსტად იგივე შემთხვევები, როგორც ჩემია.

ბალტიისპირეთში ვიკა ფრაიბერგა ან ადამ კუსი. ერთი კანადელი, მეორე – ამერიკელი ლიტველი. ორივე ორმაგი მოქალაქეობით აირჩიეს. მოქალაქეობაზე უარის თქმა მათთვის წინასწარ არავის უთხოვია, მაგრამ ორივემ დათმო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არჩევნებას და ინაუგურაციას შორის.

ეს იქ პრობლემა არ ყოფილა, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვექონდა დასავლური კულტურის ქვეყნებთან, როცა პოლიტიკურ ემიგრაციაში წასულნი საბჭოთა სისტემის მსხვერვის შემდეგ ბრუნდებოდნენ ქვეყანაში.

ჩემს შემთხვევაში, საფრანგეთმა, მგონი, არაერთხელ მოგვცა მაგალითი, რომ დახმარების განევა ყველანაირად შეეძლო. ეს პოლიტიკური ნაწილია. სამართლებრივად მე სასამართლოს მაშინვე იმიტომ არ მივმართე, რომ კანონის მორჩილება ჩემთვის ნიშნავს კანონის და არა ზენოლის, თუნდაც მორალური და ფსიქოლოგიური წნეხის მორჩილებას.

საფრანგეთის საელჩოში მოთხოვნა მქონდა შეტანილი, ანუ პროცესი დაწყებული იყო იმ დათქმით, რომ არჩევნებისთანავე უნდა შესრულებულიყო. ეს დოკუმენტი მე მქონდა და ვაჩვენე კიდევ ჟურნალისტებს სასამართლო სხდომის შემდეგ.

ვთვლიდი, რომ ეს ჩემი პირადი საქმეა. ვიცოდი, რომ უნდა შემესრულებინა მოთხოვნა პრეზიდენტობისთვის და ამას გავაკეთებდი, რადგან ძალიან კარგად ვიცი სამართლებრივი კონტექსტი. ვარაუდები, რომელიც ჰქონდა ცესკო-ს, რომ შეიძლება ბოლო მომენტში არ დამეთმო, არა თუ სრულიად შეუძლებლად, არამედ ცილისწამებადაც კი მიმაჩნია. დაახლოებით იგივეა, რაც ჩემზე სააკაშვილმა თქვა – ეს ადამიანი არ არის სერიოზული.

რა მოტივაცია უნდა გქონდეთ, რომ ბოლო მომენტში არ დაგეთმოთ?

მათ უნდა ჰკითხოთ, ვინც ამას ავრცელებს. ჩემთვის ეს სრული აბსურდია. როცა ყველაფერს თმობ იმისთვის, რომ ამაზე ნახვიდე, რა აზრი აქვს იმის დათმობას, რაც წინასწარ იცი, რომ შესასრულდება?

თქვენ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში თქვით, რომ თქვენი წვლილი „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში არ არის მცირე. რა ფუნქცია გქონდათ ამ პროცესებში?

მე ცოტა სხვანაირად ვთქვი, როგორც მასსოვს. ვთქვი, რომ ჩემი წვლილი სააკაშვილზე გამარჯვებაშია. ჩემი წვლილი არ იწყება იმ მომენტიდან, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა. ჩემს

■ სამართლებრივად მე სასამართლოს მაშინვე იმიტომ არ მივმართე, რომ კანონის მორჩილება ჩემთვის ნიშნავს კანონის და არა ზენოლის, თუნდაც მორალური და ფსიქოლოგიური წნეხის მორჩილებას.

ლვანზე საუბარი იმ მომენტიდან შეიძლება, როცა საჯაროდ და არა პიროვნულად გავემიჯნე წინა ხელისუფლებას და მერე მუდმივად ამ ბრძოლისას ყველა ნაწილში წინა პლანზე ვიყავი.

რაც ბიძინა ივანიშვილის გამარჯვების ნაწილს შეეხება – ვერ ვიტყვი, რომ იქ დიდი წვლილი მქონდა. როგორც შემეძლო და სადაც ვიყავი, იქედან დავუჭირე მხარი უსიტყვოდ და უპირობოდ, რადგან მიმაჩნდა, რომ გამოჩნდა შანსი, რომელიც 2010 წლის ბოლოდან პრაქტიკულად აღარ არსებობდა.

დიპლომატიურ წრეებში?

დიპლომატიურ წრეებში, ემიგრაციაში, იმიტომ, რომ მე გამოვჩნდი მის გვერდით და როგორც შიგნიდან „რესპუბლიკელები“ და

ალასანიას პარტია, მეც წარმოვადგენდი დასავლურ ფრთას.

მიშამაც გამომიყენა რალაც პერიოდში სწორედ ამ ნიშნით. მგონი მთლად უმნიშვნელო არ იყო ჩემი დადგომა ივანიშვილის გვერდით. ეს იყო მორალური მხარდაჭერა, მას ფულადი მხარდაჭერა არ სჭირდებოდა.

პოლიტიკურად არ იყო ისეთი კამპანია, რომელსაც მე შიგნით ვჭირდებოდი. გარეთ გამოვაქვეყნე საჯაროდ ორი სტატია, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ოფიციალურმა ლობისტებმა შეძლეს ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ.

ივანიშვილი ახლა, ფაქტობრივად, სრულ ძალაუფლებას ფლობს. რატომ შეიძლება არ უნდოდეს მას თქვენი პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირება?

აქ ერთდროულად ძალიან ბევრი საკითხია. სუსტი კანდიდატის შიში, ალბათ, არსებობს. მაგრამ მაშინვე ისმება კითხვა, რატომ აირჩიეს სუსტი კანდიდატი?

პიროვნულად ბიძინა ივანიშვილთან კარგი ურთიერთობა გაქვთ?

მქონდა. არასდროს მქონია დაძაბული ურთიერთობა. ახლა არ ვიცი, რადგან ბოლო შეხვედრა, ჩემი სურვილის მიუხედავად, არ შემდგარა. წინასწარ ჩვენოდ, როდესაც სხვადასხვა წრეში მეკითხებოდნენ ხოლმე, ნამდვილად არის ბიძინა ივანიშვილი ძალა, რომელიც დემოკრატიულად მოდის და შეგვიძლია დავეყრდნოთო, მაშინ მე ჩემი პირადი სანდოობა დავდე ამის ფსონად. ჩემი რეპუტაცია დავდე სასწორზე და ამან, შესაძლოა, ჩემზე მომავალშიც იმოქმედოს.

ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, როდიდან იგრძენით?

იმ მომენტიდან, როცა მარგველაშვილი დაინიშნა, როგორც აბსოლუტური კანდიდატი. ჩემზე ითქვა, რომ მე არ ვარ პარტიის წევრი და ამიტომ ვერ ვიქნებოდი წარდგენილი კანდიდატად. მე არასდროს მითხოვია და არასდროს ველოდი, რომ ვიქნებოდი „ოცნების“ კანდიდატი. ეს სრულიად წარმოუდგენელია. მე დემოკრატიის რალაცები მესმის. ვერც ბიძინას დანიშნული ვიქნებოდი.

ველოდი, რომ დამოუკიდებელი კანდიდატურა კარგი აზრი იქნებოდა. ადრე მითქვამს ხოლმე – რატომაც არა?! ჩავთვალე, რომ „ოცნებას“ საკუთარი კანდიდატი ეყოლებოდა, მაგრამ არ იქნებოდა აქტიური წინააღმდეგობა ჩემი კანდიდატურის მიმართ.

ჩვენი დემოკრატიულობისთვის ნამალაია, მივეჩვიოთ, რომ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც არ წარმოადგენს რაღაც მთლიან 70 თუ 80 პროცენტს. ეს არის დემოკრატია, როცა იცი, რომ გირჩევს 40 პროცენტი და მერე შენ ხარ ვალდებული და პასუხისმგებელი ყველას წინაშე. და არ შეიძლება, რომ ნაწილს უთხრა – თქვენ ხართ თქვენ და ჩვენ ვართ ჩვენ.

რას ფიქრობთ, ბურჯანაძე პრორუსია?

პრორუსი არის თუ არა არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ პირველივე დღიდან თავს მოგვახვეს ბურჯანაძისადმი სრულიად ცალსახა დამოკიდებულება – ბურჯანაძე არა და ყველა სხვა ერთად კოალიციაში! ეს ცოტა გაუგებარია.

როგორ ფიქრობთ, არ არის პოლიტიკური კრიზისის საფრთხე, როცა უცაბედად არჩეულმა პრეზიდენტმა, შეიძლება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ინიცირება გამოიწვიოს?

საფრთხე კი არა, ეს კატასტროფაა ქვეყნისთვის. ფაქტია, რომ ივანიშვილი გვიტოვებს სრულიად არასტაბილურ სიტუაციას და ძალიან დასუსტებულ საქართველოს – პოლიტიკურად და ეკონომიკურად. პრეზიდენტად გვიტოვებს დანიშნულ პირს და უფრო ნაკლებად ლეგიტიმურ პრემიერს, რომელსაც არანაირი კავშირი არ ექნება არჩევითობასთან.

არ არსებობს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული საპარლამენტო კოალიცია. თვითონ შეარჩია ადამიანები სხვადასხვა ნიშნით. ანუ, მთლიანობაში, ჩვენი პოლიტიკური სივრცე სრულიად გამოფიტულია.

შეგიძლიათ ივარაუდოთ, რა არის ივანიშვილის მოტივაცია, როცა ხელისუფლებიდან, თავისივე განცხადებებით, სამოქალაქო სექტორში გადადის?

როცა შენი ხელისუფალი გეუბნება, რომ თუ იმას აირჩევ, ვინც მე დაგინიშნე,

გაძლეე უზარმაზარ თანხას, რომელიც დასახელებული არ არის და თუ არ აირჩევ, მე არაფერს არ გაძლეე და მივდივარ – ეს ან გეგმაა, ან ხელის დაბანის ფორმა. არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა არის მისი მოტივაცია.

ფაქტია, რომ ვერსია ბურჯანაძის მიუღებლობის თაობაზე ძველი ტექნიკაა, რასაც შევარდნაძეც ფლობდა – როცა უნდოდა, რომ თავად არ გამოჩენილიყო, ყავდა პატიაშვილი, როგორც ოდიოზური კომუნისტის წარმომადგენელი. ამათაც ყავთ ორი ბუ: ერთი ბურჯანაძეა, მეორე – ბაქრაძე.

შესაძლოა, ბურჯანაძემ იცოდეს, რომ ის ამ თამაშის ნაწილია და ასე გამოყენებენ?

ალბათ, წესით უნდა იცოდეს. ეს თვითონაც აწყობს. ჩემი მოშორება, რაც „ოცნების“ კოალიციის და პირადად ბიძინა ივანიშვილის გადანყვეტილებაა, ბურჯანაძისთვის გზის გახსნას ნიშნავს.

მეორე ადგილისკენ?

ჰო, ალბათ მეორე ან მესამე ადგილისკენ. აქ პრეზიდენტობაზე არ არის ლაპარაკი. დღევანდელი პრეზიდენტობა, რომელიც, ძალაუფლების მხრივ, იცლება ყოველგვარი შინაარსისგან, ბურჯანაძისთვის საინტერესო არ არის. ჩემთვის იმ კუთხით იყო საინტერესო, რომ, როცა გაქვს ხალხისგან ლეგიტიმობა, იმ ადგილიდან შეგიძლია გაუნიოთ წინააღმდეგობა საფრთხეებს, რომელიც არ გვინდა დაეუშვათ.

არჩევნების შემდეგ, დიდი ლეგიტიმაციითა და პრემიერთან შედარებით ნაკლები ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტის შემთხვევაში, სამთავრობო კრიზისის საფრთხეს ხედავთ?

ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა. უკვე ცხადია, რომ ივანიშვილი სრულიად არასტაბილურ სიტუაციას და ძალიან დასუსტებულ საქართველოს გვიტოვებს. პოლიტიკურად და ეკონომიკურად გველისხმობ. გვიტოვებს ორ დანიშნულ პიროვნებას, რომელსაც არჩევითობასთან კავშირი არ ექნება. გვრჩება პარლამენტი, რომელიც ასევე იქნება ნაკლებად ლეგიტიმური. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ამ არჩევნებზე გამოჩნდება, რომ „ნაციონალურ მოძრა-

ობას“ არ ჰქონია პროცენტები, რითაც დღეს სარგებლობს, მეორე მხრივ – იქნება კოალიცია, რომელიც იმთავითვე კარგავს ლეგიტიმურობას, როგორც კი ივანიშვილი თამაშიდან გადადის.

შეგიძლიათ ივარაუდოთ, რა არის პოლიტიკიდან სამოქალაქო საზოგადოებაში უზარმაზარი ფინანსური რესურსით მიმავალი ივანიშვილის მოტივაცია?

მოტივაციას ვერ ვიტყვი, მაგრამ ვხედავ შედეგებს. ეს ყველა მხრივ არის დამანგრეველი, დამასუსტებელი ქვეყნისთვის. ამ მხრივ მე უკვე გადავდივარ, რაღაც ფორმით, ოპოზიციაში. რატომ უნდა უკეთებდეს ადამიანი თავის ქვეყანას ამას?! მეტადრე იმ ქვეყანას, რომელიც ამ დღეში იყო 9 წლის მანძილზე და ძლივს ამოისუნთქა?

ძლივს დავიბრუნეთ რაღაც ნდობა, რწმენა არჩევნების მიმართ. ოქტომბრის არჩევნები ჩვენთვისაც დიდი სიურპრიზი იყო. ხალხმა ჩათვალა, რომ შეიძლება არჩევნები რამედ ღირდეს. არჩევნებიდან ჩემი გამოთიშვა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ იმათთვისაც არჩევნის ჩამორთმევაა, ვინც ჩემში განსხვავებულ მსოფლმხედველობას ხედავდა და არ უნდოდა არც ერთი, არც მეორე და არც მესამე...

ცოტა ადრინდელ ამბებს რომ დაუბრუნდეთ – თქვენ, სააკაშვილის გაცნობის შემდეგ გადანყვეტიეთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდით?

მე არ გადამიწყვეტია. მე დავთანხმდი, მაგრამ დათანხმებისთვისაც ძალიან ცოტა დრო მქონდა. საფრანგეთში ვიყავით ოფიციალური ვიზიტით. მანამდე იყო მითქმა-მოთქმა, ვარაუდები, მაგრამ სერიოზული შემოთავაზება, როგორც ასეთი, არ მქონია. ჩემთვის ეს იყო საკმაოდ არარეალური, რადგან ამას პრეცედენტი არ ჰქონდა და სანამ არ ჩავედით პარიზში და სანამ არ გამაფრთხილეს, ასე იქნებოდა, ვერ ვიჯერებდი. ამ გადანყვეტილებაზე უარს არც ამ გადასახედიდან ვიტყვოდი.

არც გგონიათ, რომ გადანყვეტილება იმპულსური იყო?

მიმა მოქმედებს ინტუიციით და იმპულსით, მაგრამ ზოგჯერ ის რეალურ სიტუაციას ალღოს კარად უღებს. იმიტომ, რომ

ის პოლიტიკური ცხოველია. ამ შემთხვევაში, არ ვიცი, რამდენად მოფიქრებული ჰქონდა და რამდენად იმპულსური იყო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მაშინ მას სჭირდებოდა ევროპელი ქალი, პოლიტიკური ემიგრაციიდან და მან ეს ძალიან კარგად გამოიყენა.

თქვენი მინისტრობის დროს საქართველოდან ორი სამხედრო ბაზა გავიდა. ამას ყველა აღიარებს – თქვენი კეთილისმუსურველებიც და ოპონენტებიც ...

გარდა ბაქრადისა. საარჩევნო რგოლში ის ამბობს, რომ მან გაიყვანა. ევროინტეგრაციის კომისიის თავჯდომარე იყო და ფუნქციურადაც არ ჰქონდა არანაირი როლი ამ საკითხში.

ნინო ბურჯანაძე აშკარად აღიარებდა, რომ ის თავს შენუხებულად გრძნობდა თქვენი მზარდი პოლიტიკური წონის გამო.

ჩემს თავს მაშინ პოლიტიკურ მოთამაშედ არ აღვიქვამდი. ვთვლიდი, რომ ჩემი ფუნქცია მქონდა და ამ მოლაპარაკებაში გამოვიყენე ის, რაც ვიცოდი. სხვა საკითხია შიგნით, სამინისტროში, ძველი მეთოდების შეცვლა – ნეპოტიზმი, რაც მერე მე დამაბრალეს. ძალიან ბევრ ადამიანს შევუშალე ხელი სქემებში, რაც ჩვენი სამინისტროს ეფექტურობას ამცირებდა. მეტადრე საზღვარგარეთ, საელჩოებში. შესაძლოა, პიროვნულად შეეშინდა.

ჩემმა პოლიტიკურმა მიღწევებმა შეამფოთა არა მხოლოდ ბურჯანაძე, არამედ შევარდნაძის ძველი კლანიც, რომლებიც ახლა ბრუნდებიან მთავრობაში. იმის მიუხედავად, ბურჯანაძე მოვა მეორე ადგილას თუ არ მოვა, რეალურად ქვეყანაში ძველი შევარდნაძისდროინდელი ძალები ბრუნდება.

თქვენ გგონიათ, რომ ეს გვემის ნაწილია?

გეგმა არ ვიცი, ვიცი ფაქტები. ვხედავ, რომ გაცხადებული პოლიტიკაა ევრაზიული კავშირი. მე ისტერიკებს არ გავმართავ, მაგრამ ეს ძალიან შემადრწუნებელია. ჩემთვის ცხადია, რომ ნებისმიერი ფორმით და სახელით ამ ტიპის გაერთიანებებში შესვლა საქართველოსთვის დამთავრდა იმ მომენტიდან, როცა შევარდნაძემ დსთ-ში შეგვიყვანა ტერიტორიების დასაბრუნებლად და მივიღეთ ნული. იმის შემდეგ

ყველას გვესმის, რომ ეს გზა საბოლოოდ დახურულია.

პრემიერს ხშირად აქვს პრობლემა ტერმინოლოგიასთან. თქვენ დაბეჯითებით შეგიძლიათ თქვათ, რომ ის, რაც მან „ევრაზიის კავშირთან“ დაკავშირებით განაცხადა, არ იყო წამოცდენა და მან იცოდა, რაზე საუბრობდა?

ამ ქვეყანაში თუ არ იცი, რას ამბობ ასეთ საკითხზე, მაშინ არ უნდა იყო პოლიტიკაში. ამ საკითხზე ლაფსუსის დაშვება არ შეიძლება. შევარდნაძესაც ჰქონდა ასეთი ფორმა – ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. საიტკენ მივდივართ? ეს არის საკითხავი.

■ არ არსებობს არჩეული კოალიცია. არსებობს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული საპარლამენტო კოალიცია. თვითონ შეარჩია ადამიანები სხვადასხვა ნიშნით. ანუ, მთლიანობაში, ჩვენი პოლიტიკური სივრცე სრულიად გამოფიტულია.

მართლმადიდებლური ეკლესია ამ ქვეყანაში ხშირად მოდერნიზებისა და პროგრესის მუხრუჭად აღიქმება. თქვენც ასე მიიჩნევთ?

ის ფაქტი, რომ ადამიანები მართლმადიდებლურ ეკლესიას ენდობიან, არ ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტში ყველა არის ნდობის ღირსი. ეკლესიაში ვინც არიან და ვინც ამ ეკლესიას წარმოადგენენ ყოველდღიურად, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. ამ ეკლესიაში ბევრია, ვინც მოდის სხვა ინსტანციებიდან – თავისი განათლებითა და წარსულით. აქ უფრო მეტი თავისუფლება გვჭირდება, რომ მითებით არ ვიცხოვროთ. ეს ყველაფერი დაბალანსდება, თუ იქნება ნდობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ. როცა ეს არ არსებობს, ადამიანი მიდის იქითკენ. რაღაცას ხომ უნდა ენდოს, როცა აქეთ არის სრული ტყუილი?! საქართველო არ არის მხოლოდ

მართლმადიდებლური ქვეყანა. დღეს რაც მესმის გინდათ მინარეთზე, გინდათ მუსლიმანებზე, ეს არის საშიში და ასუსტებს საქართველოს.

ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს აკვირდებით? მე მიჭირს იმ მომავლის წარმოდგენა, როცა პატრიარქი ილია მეორე აღარ იქნება...

პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. თუმცა, როგორც ჩანს, იქაც აირევა სიტუაცია, რადგან ეკლესია არც ისეთი მონოლითურია, როგორც გვგონია. სტაბილურობის ადგილს ვერ ვხედავ ეკლესიაში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში. სწორედ ეს არის ის საქართველო, რაც შეიძლება ისურვოს რუსეთმა. რუსეთი ყოველთვის იყენებს საქართველოს დაშლილობას, რელიგიურ და პოლიტიკურ არეულობებს და მოქმედებს ამის შესაბამისად...

ღირებულებებზე დაყრდნობილი არჩევანი ამ ქვეყანაში შესაძლებელი როდის გახდება, როგორ წარმოადგენიათ?

იმედი მქონდა, რომ ვიქნებოდი ის კანდიდატი, რომელიც მოდის თავისი მორალური ფასეულობებით და იმ პრინციპით, რომ ქვეყანას განვითარების რაღაც ფორმას სთავაზობს.

17 მაისს ადამიანები თქვენგან უფრო კატეგორიულ გაცხადებას ელოდნენ. თქვენ დიპლომატიურად ისაუბრეთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრემიერმა გატყუა ნავსი და მკაცრად ილაპარაკა იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მომხდარ ძალადობაზე მართლმადიდებლურ ეკლესიასაც აკისრია, ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მკაცრი შეიძლება ყოფილიყო თქვენი შეფასება?

მკაცრად არ მითქვამს. მე ვთქვი, რომ ყოველთვის მათ მხარეს ვარ, ვინც დისკრიმინირებულია. ამავე დროს, მე არ ვთვლი, რომ იქ იყო მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის პასუხისმგებლობა. იქ იყო პროვოცირება და ამ პროვოცირებაში ხელისუფლებამ თავისი როლი ითამაშა. ხელისუფლებამ საზოგადოებაში უნდა შემოიტანოს შემწყნარებლობა და დაპირისპირება არ უნდა მიუშვას თავის ნებაზე. ეს აწყობდა ხელისუფლებასაც. **■**

ესაუბრა ირაკლი აბსანძე



სუბონჯესი: 35-წლიანი დილა

ჰიდროელექტროსადგური, რომლის აშენებაც უკვე 35 წელია თითქმის ყველა მთავრობისთვის დილემა იყო, ამჟამად ინდური კომპანია „ტრანსელექტრიკასა“ და საქართველოს ახალი ხელისუფლების ინტერესის საგანი გახდა. სახელმწიფოს სარგებელს ეკონომისტების ნაწილი და გარემოსდამცველები ეჭვქვეშ აყენებენ. ხაიშის თემის მოსახლეობის უმეტესობა კი ჰესის არსებული პარამეტრებით მშენებლობისა და გადასახლების წინააღმდეგია. პრემიერ-მინისტრისა და ენერჯეტიკის მინისტრის აზრით კი, პროექტი ქვეყნისთვის „სტრატეგიულად მნიშვნელოვანია“.

ეკა მაღალდაძე

ხაიშისკენ მიმავალ გზაზე, სოფლიდან დაახლოებით 3-4 კმ-ით სამხრეთით, საავტომობილო გზიდან ხელმარჯვნივ ბეტონის უზარმაზარ კედელზე საღებავით შესრულებულ წარწერას ვხედავთ „ხუდონი 1979 -2013, უფალო, შენ დაიცავ ხევი სვანეთისა და ერთობილი საქართველო“.

„ეს ხუდონის საფლავია, იქნებ, წელს მაინც ამაზე ლაპარაკი სამუდამოდ დამთავრდეს,“ – გვიხსნის ხაიშის სკოლის მასწავლებელი და ხუდონის აშენების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მამადგე ზურაბ ნიჟარაძე.

ბეტონის კედელი 20 წელზე მეტი ხნის წინ აღიმართა. ეს ის დროა, როდესაც საბჭოთა მთავრობამ აქ აქტიური მშენებლობა წამოიწყო და რამდენიმე სადერივაციო გვირაბი და მშენებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა გააკეთა. სახელმწიფო მაშინ მოსახლეობას არნახულ სოციალურ, სახალხო-სამეურნეო და კულტურული განვითარების შესაძლებლობებს ჰპირდებოდა. არაკეთილმოწყობილი დასახლების ნაცვლად კი კომფორტულ კორპუსებში დასახლებას. ხალხის უკმაყოფილებას კი მხოლოდ ემოციებს უკავშირებდნენ. საზოგადოების პროტესტის შედეგად, 1989 წლის ივნისში საბჭოთა საქართველოს მთავრობამ სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ბრძანებულება გამოსცა.

თავდაპირველი ინიცირების შემდეგ თითქმის 35 წლის განმავლობაში მოსახლეობა მუდმივი მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდა. ხუდონის აშენების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა კამპანიები დროდადრო აქტიურდებოდა. მწერალი და „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელი ნაირა გელაშვილი იხსენებს, რომ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომლის ირგვლივაც კონსოლიდაცია ხერხდებოდა, სწორედ ხუდონის არაშენება იყო.

საქართველოში დაახლოებით 47 მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგური და 6 მსხვილი ჰიდროელექტროსადგურია. ყველა მათგანი, მცირე გამონაკლისის გარდა (ენგური, ვარდნილის კასკადი), პრივატიზებულია. ქვეყანაში გენერირებული ელექტროენერჯის 80-85%-ს ჰესები გამოიმუშავენ.

ხუდონის პოტენციალით მოგვიანებით უკვე ნაციონალური მოძრაობის მთავრობა დაინტერესდა. 2005 წლიდან პროექტი ორჯერ გადაიხედა. 2012 წელი მიხილ სააკაშვილმა დიდი ჰესების მშენებლობის დაწყების წლად გამოაცხადა. „კერძოდ დაინყება ნენსკრას, ხუდონის, ალბათ ნამახვანისა და სხვა ჰესების

მშენებლობა“, – განაცხადა პრეზიდენტმა 2011 წელს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრისას. სააკაშვილი მთავარ მიზნად ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებასა და ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას ასახელებდა. ხელი უნდა შეწყობოდა 18 ჰესის მშენებლობას – გარემოსდაცველებისთვის მიუღებელ დიდკაშხლიან კასკადებს, მათ შორის ხუდონის მდ. ენგურზე, ნამახვანის კასკადს მდ. რიონზე, ნენსკრას კასკადს მდ. ნენსკრასა და ნაკრაზე, ასევე დერივაციული ტიპის ჰესებს ყაზბეგში და მდ. ფარავანზე. ჰესების აქტიური მშენებლობა დაიწყო აჭარასა და ყაზბეგშიც.

„მწვანე ალტერნატივას“ ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე ამბობს, რომ დაგეგმილი პროექტები მდგრადი განვითარების პრინციპებს არ შეესაბამება.

„მათ, შესაძლოა, სერიოზული უარყოფითი ზემოქმედება იქონიონ გარემოზე, რადიკალურად შეცვალონ სოციალური და დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოს მაკროეკონომიკის რეგიონებში და კულტურული მემკვიდრეობის განადგურება გამოიწვიონ“.

გარდა სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემებისა, რომლებიც, ჩვეულებრივ, თანახლავს დიდი კაშხლების მშენებლობას, ქოჩლაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ჰესების მშენებლობისთვის შემოთავაზებულ მოდელს – „შენება, ფლობა, ოპერირება“ ქვეყნის ბიუჯეტისთვის დამატებითი შემოსავლები არ მოაქვს. „შესაბამისად, არ არსებობს ეკონომიკური და ფინანსური არგუმენტები, რომლებიც გაამართლებს ლანდშაფტის რადიკალურ ცვლილებასა და გარემოს განადგურებას, რომ არაფერი ვთქვათ იმ ათასობით ადამიანზე, რომელთაც იძულებითი განსახლება ემუქრება“, – ამბობს მანანა ქოჩლაძე.

განსხვავებით ჰესების უმეტესობისგან, სადაც საუბარი ძირითადად ეკოლოგიურ რისკებსა და ეკოსისტემის შენარჩუნებაზეა, ხუდონის საპროექტო არეალში 14 დასახლება და 184 ოჯახი ექცევა. მოსახლეობის განსახლება მოხდება სოფლებიდან: ხაიში, გაღმახაიში, ლუხი, ქვედა წვირმინდი, ლაჯრა, ტობარი და ლალხორალი.

დატბორვის ზონაში ხდება ხაიშა და ტობარში მდებარე ორივე ეკლესია და საფლავები. სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით კი კომპანია „ტრანსლექტრიკას“ 1 დოლარად უკვე გადაცემული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1500 ჰექტარი მიწა, აქედან 1110 ჰექტრამდე ტყის

■ „არ არსებობს ეკონომიკური და ფინანსური არგუმენტები, რომლებიც გაამართლებს ლანდშაფტის რადიკალურ ცვლილებასა და გარემოს განადგურებას, რომ არაფერი ვთქვათ იმ ათასობით ადამიანზე, რომელთაც იძულებითი განსახლება ემუქრება“, – ამბობს მანანა ქოჩლაძე.



ფოტო ვაჟ ბაღლაძე

20 წელზე მეტი ხნის წინ აღმართული ბეტონის კედელი, რომელიც ხაი-შისკენ მიმავალ გზაზე, კაშხლის საგარაუდო ადგილთან ახლოს მდებარეობს.

ფოტო: ზორბეგ ბიწიაძე



17 სექტემბერს, სოფელ ხაიშის სკოლაში, ხუდონჰესის პროექტის საჯარო განხილვა იყო დაგეგმილი. თუმცა, ბევრი დამსწრისა და იმის გამო, რომ სვანებმა შენობაში შესვლა და პრეზენტაციის ნახვა არ მოინდომეს, შეკრება სკოლის ეზოში გაიმართა.

მასივი. მოსახლეობის მტკიცებით, ზედდება ასევე მათ დაურეგისტრირებელ სამოსახლოსა და მიწებთანაც, რომელიც მათ ტრადიციულ საკუთრებას წარმოადგენდა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ. კომპანიაში აცხადებენ, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ კომპანია უფასოდ დააბრუნებს იმ მიწას, რომლის გამოყენებაც ჰესის ექსპლუატაციისთვის საჭირო არ იქნება.

ხუდონჰესის პროექტი 2005 წლიდან ორჯერ გადაიხედა. 2011 წლის 28 აპრილს კი საქართველოს მთავრობასა და Trans Electrica Limited-ს, Trans Electrica Limited (Georgia) შპს „ენერგოტრანს“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. Trans Electrica Limited (BVI) ე.წ. ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე 2008 წელს არის რეგისტრირებული. Trans Electrica Georgia LTD კი 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირია.

ხელშეკრულების სამართლებრივი ანალიზისას იურისტი, გარემოსდაცვითი სამართლის ექსპერტი მერაბ ბარბაქაძე ასკვნის, რომ სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი.

„ამ ხელშეკრულებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება კომპანიისთვის ხუდონჰესისთვის საჭირო მთელი ქონება 1 დოლარად გადაეცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის იქ ჰესს ააშენებდა, ამას გარდა, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, არ გააუარესოს კანონმდებლობა, რამაც შეიძლება ჰესის მშენებლობას ხელი შეუშალოს. და თუ სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნებას ისურვებს, მას ამ ქონებაში საბაზრო ღირებულების გადახდა მოუწევს. შეთანხმების ძირითადი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი ჯარიმების მაქსიმალური რაოდენობა კი მილიონ 320 ათასი აშშ დოლარით შემოიფარგლება“, – ამბობს ბარბაქაძე. მისი შეფასებით, შეთანხმების მიხედვით, რისკები დაუბალანსებელია, მით უფრო, რომ მთავრობას კომპანიის



წინაშე მნიშვნელოვანი ვალდებულებები აქვს ალებული.

„მრავალმილიონიანი ქონება, ფაქტობრივად, უფასოდ გადასცეს ოფშორული კომპანიის კუთვნილ შპს-ს ყოველგვარი უზრუნველყოფისა და უშუალო სარგებელის გარეშე, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს რაიმე გარანტია დაგეგმილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. შეთანხმებიდან ასევე გაუგებარი რჩება რა ჯგუფური ღირებულებების ქონება და უფლებები ან პრივილეგიები გადაეცა კომპანიას სიმბოლურ ფასად“, – ამბობს ბარბაქაძე. მისი განმარტებით, რისკები მით უფრო დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპანიას უფლება აქვს აღნიშნული ქონება ალებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს. კრედიტების გადაუხდელობის შემთხვევაში კი ქონება შეიძლება მესამე პირთა საკუთრებაში აღმოჩნდეს.

კოალიცია „ქართული ოცნება“ გარემოსდაცვით საკითხებს ერთ-ერთი პრიორიტეტად აცხადებდა და წინასაარჩევნო პროგრამაში განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხაში დიდი

ჰესების მშენებლობის აკრძალვაც შედიოდა. პროგრამის ამ ნაწილის ავტორი ლაშა ჩხარტიშვილი დღეს კოალიციას წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს და ხუდონჰესისა და დიდი კაშხლების მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით აქციებს მართავს.

მთავრობის პოზიცია გაზაფხულზე ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე პრემიერმა კახა კალაძემ ლიად გამოხატა და მთავარ მიზნად ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ათვისება გამოაცხადა: „ჩვენი მთავრობისა და სამინისტროს მიდგომა ჰესებთან მიმართებაში არის ის, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის რესურსები, რომელიც ქვეყანას გააჩნია, ანუ ავაშენოთ ჰიდროელექტროსადგურები იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ენერგოდამოუკიდებელი. ძალიან მნიშვნელოვანია ენერგოსაფრთხობა და ამისთვის ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ. ზამთრის პერიოდში გვინევს ელექტროენერჯის იმპორტირება რუსეთის ფედერაციიდან, თუმცა, ძალიან დიდი შესაძლებლობა გააჩნია ქვეყანას, არსებული რესურსების ათვისების შემთხვევაში გავხდეთ ენერგოდამოუკიდებელი, ექსპორტიორი ქვეყანა“, – განმარტა კახა კალაძემ.

რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკა გარემოსდამცველებმა და მოქალაქეების ნაწილმა გააპროტესტა. არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ ხელმძღვანელი შოთა ბურჯუკური ამბობს, რომ ეს პროცესი ყველანაირი სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე, სტიქიურად ვითარდება:

„სამწუხაროდ, პოლიტიკა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, ახლაც გრძელდება. ისევ ყოველგვარი დაგეგმვის, შესწავლისა და დასაბუთების გარეშე, ცალკეული ინვესტორების ინიციატივით ხდება მდინარეების შერჩევა და მშენებლობის დაწყება ისე, რომ არც გარემოსდაცვით სტანდარტებს ითვალისწინებს ვინმე და არც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.“

წინასაარჩევნო შეხვედრებისას სვანეთში ჩასული ივანიშვილი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ „ენერგეტიკას ხალხის ხარჯზე არ მიიღებდნენ“ და ყველაფერი მათი ნების მიხედვით მოხდებოდა, თუმცა უკვე წელს, 16 სექტემბერს „შუახვევის ჰესის“ მშენებლობის გახსნისას მან სვანებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და უთხრა, რომ ხუდონჰესი უნდა აშენდეს.

„ჩვენ გავითვალისწინებთ თითოეული მოსახლის ინტერესს, ყველას დავაკმაყოფილებთ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას

■ „ჩვენ გავითვალისწინებთ თითოეული მოსახლის ინტერესს, ყველას დავაკმაყოფილებთ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შეუშალოთ.“



ფოტო: ირაკლი პაპიაშვილი

ბის სტრატეგიას ხელი შეუშალოთ. არ დაუფეროთ ოპონენტებს, რომლებიც ხმაურობენ და მეტი არაფერი არ შეუძლიათ. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ავაშენოთ, რაც შეიძლება მეტი ჰესი, რომ საქართველოში გამოიმუშავებოდეს მეტი ენერჯია. ეს შექმნის იმის საფუძველს, რომ მრავალი ტიპის სანარმო დაფუძნდეს და სამუშაო ადგილები შეიქმნას. მინდა საყვარელ სვანებს მივმართო, რომ გაგებით, დინჯად მოეკიდონ ამ ამბავს. მათი განცდები გასაგებია. შესაბამისად, თანაგრძნობას ვუცხადებ. მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ისინი ქვეყნის მომავალს ეხმარებიან და ამისთვის იღებენ გარკვეულ მსხვერპლს. თუმცაღა, ანაზღაურება იქნება ძალიან ცივილიზებული და ძალიან ღირსეული. ყურადღებით მოეკიდეთ და გაითვალისწინეთ, რომ ხუდონჰესი არის ასაშენებელი, როგორც სხვა ბევრი ჰესი“, – განაცხადა ივანიშვილმა.

იმავე საღამოს სატელევიზიო გამოსვლისას ხუდონჰესის აუცილებლობაზე ისაუბრა კახა კალაძემაც. მისი თქმით, ყოველი მოსახლე სათანადოდ იქნება დაკმაყოფილებული. პრემიერისა და კალაძის განცხადებებმა, მოსახლეობა გააღიზიანა, „უკვე გადანყვევით გველაპარაკებიან“, „აზრს მაინც არ გვეკითხებიან“, „კომპენ-

საციაზე ლაპარაკობენ, როცა ხატზე დავიფიცეთ, რომ არ წავალთ“, – ამბობდნენ სვანები.

ზურა ნიჟარაძე ერთ-ერთია იმ 90-მდე ადამიანს შორის, რომლებმაც ხატზე დაიფიცეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მათი სოფელი, ეკლესია და ახლობლების საფლავები წყლით არ დაიფაროს.

„დაფიცებამდე სწორედ იმან მიგვიყვანა, რომ ჰგონიათ, ჩვენ მხოლოდ კომპენსაცია გვადარდებს. მეზობელ სოფლებში ჭორებს ავრცელებდნენ, თითქოს იმიტომ ვუნვედით წინააღმდეგობას, რომ კომპენსაციის ფასი გაგვეზარდა. სვანებმა იციან, რას ნიშნავს ჩვენთვის ფიცი, ეს ჰესი, ამ ნიშნულით, ასეთი პარამეტრებით არ უნდა აშენდეს, თანახმა ვართ გააკეთონ უფრო დაბალი კაშხალი, ან ნებისმიერი რამ, რაც სოფელს არ დატბორავს“, – ამბობს ნიჟარაძე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიში კომპანიის დაკვეთით კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელმა – CENN-მა მოამზადა. საჯარო განხილვების ჩატარება რამდენჯერმე გადაიდო. ნელს გაზაფხულზე კი საკითხის აქტუალობის გამო გარემოს დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გზმ ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა გას-



ცეს (რომლის საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტრო სამშენებლო ნებართვას გაცემს), ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისიას მიმართა, ექსპერტთა დელეგაციამ დოკუმენტები შეისწავლა და სვანეთსაც ესტუმრა.

29 მაისს გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროს არსებულ დოკუმენტზე დასკვნის გაცემისგან თავი უნდა შეეკავებინა. „გზმ-ს აკლია საკვანძო ხასიათის ინფორმაცია. არსებული ხარვეზების გამოსწორებას კი დასჭირდება სავარაუდოდ არანაკლებ ერთი წლისა.“

უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით, აუცილებელი იყო სედიმენტაციაზე, ნატან მასალაზე დაკვირვებაც, ერთი წლის განმავლობაში მაინც. მათი შეფასებით, ასევე საჭიროა პროექტის ზემოქმედების არეალის, პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ტერიტორიებისა და სოფლების ზუსტი განსაზღვრა, რათა ზუსტად მოხდეს ზიანის კატეგორიებად დაყოფა და შესაბამისი კომპენსირება.

„კომისიას მიაჩნია, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასება არ შეიცავს საკმარის არგუმენტებს პროექტის

განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებლად. შეუძლებელი ხდება იმის გადამოწმება, თუ რატომ არის პროექტის განხორციელება მიზანშეწონილი ეროვნულ დონეზე ელექტროენერგიაზე არებული მოთხოვნისა და მინოდების კონტექსტში, ან რატომ არის შერჩეული ჰიდროენერგეტიკა როგორც ელექტროენერგიის გენერირების წყარო, ან რატომ უნდა იყოს აშენებული ჰიდროელექტროსადგური მდინარე ენგურის აუზში“, – ვკითხულობთ კომისიის დასკვნაში.

ექსპერტების განმარტებით, იგნორირებულია ისეთი ასპექტები, როგორცაა საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები, მათ შორის საკუთრებისა და შემოსავლის დაკარგვა, განსახლება, გარემოს დეგრადაცია, ფლორისა და ფაუნის განადგურება, პროექტის ზეგავლენა ეროვნულ ენერგომომარაგებაზე და მოთხოვნა ელექტროენერგიაზე და სხვა. გარდა ამისა, იგნორირებულია მდინარე ენგურზე ორი კაშხლის ექსპლუატაციისგან მოსალოდნელ სარგებელთან დაკავშირებული საკითხები.

კომპანია „ტრანსელექტრიკამ“ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი ანგარიში კომისიის საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებიდან დაა-

17 სექტემბერს სოფელ ხაიში საჯარო შეხვედრა პროტესტის ფონზე შედგა. ადგილობრივებმა კომპანიის წარმომადგენლებს პრეზენტაციის გაცემის საშუალება არ მისცეს.

■ „კომპანია მიაჩნია, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასება არ შეიცავს საკმარის არგუმენტებს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად. შეუძლებელი ხდება იმის გადამოწმება, რატომ არის შერჩეული ჰიდროენერგეტიკა როგორც ელექტროენერჯის გენერირების წყარო, ან რატომ უნდა იყოს აშენებული ჰიდროელექტროსადგური მდინარე ენგურის აუზში“.

ხლოებით ორ თვეში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში კიდევ ერთხელ შეიტანა და საჯარო განხილვაც მოაწყო, თუმცა ხაიში ადგილობრივებმა კომპანიის წარმომადგენლებს პრეზენტაციის გაკეთების საშუალება არ მისცეს.

„არ გისმენთ!“ „მოგვშორდით!“ „ჩვენი უბედურების ხარჯზე კერძო კომპანიას არ ვამდიდრებთ!“ – ისმოდა შეძახილები ხაიშის სკოლის ეზოში. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი აცხადებდა, რომ პროექტი ქვეყნისთვის აუცილებელია და მოსახლეობას სთხოვდა 10-15-კაციანი სამუშაო ჯგუფი შეექმნათ, რომელიც მიწისა თუ სხვა პრობლემურ საკითხებზე მთავრობასა და კომპანიასთან ერთად იმუშავებდა. მაგრამ ხაიშელებმა შეთავაზებაზე უარი თქვეს. „ჩვენ არ გვჭირდება მოლაპარაკებები, ვამბობთ, რომ ამ სიმაღლის კაშხალი არ უნდა აშენდეს, გააკეთონ როგორმე ისე, რომ სოფელი არ დაიტბოროს და დაგვიბრუნონ მიწები, რომელიც წაგვართვეს“, – ამბობს ხაიშის მკვიდრი ზურაბ გელოვანი.

განვითარებისა თუ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელებას დიდი ეკონომიკური სარგებლისა და დიდი ეკოლოგიურ-სოციალური რისკების დაპირისპირება თითქმის ყოველთვის ახლავს. წინ იწევს ხოლმე ისეთი თემებიც, რომლებიც პირდაპირ ენერგეტიკულ სარგებელთან არაა დაკავშირებული. მაგ. მატერიალურად გაჭირვებული რეგიონების მოსახლეობას, ხშირ შემთხვევაში, დიდი ჰესის აშენება მხოლოდ სამუშაო ადგილების არცთუ გრძელვადიან, მაგრამ მაინც სანუგეშო პერსპექტივად ესახებათ ხოლმე.

ეს თემა არც სხვა ქვეყნებისთვისაა უცხო, საპროტესტო აქციების ფონზე იწყება რუმინეთში ოქროსა და ვერცხლის მოპოვებაც. როშია მონტანა ტრანსილვანიაში ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით ცნობილი დასახლებაა. კანადური კომპანია „Gabriel Resources“ თითქმის 15 წელია ცდილობს დადებითი ეკოლოგიური დასკვნის მოპოვებას. პროექტის მესვეურთა შეფასებით, როშია მონტანას საბადოში წელიწადში 314 ტონამდე ოქროსა და 1 500 ტონა ვერცხლის მოპოვება იქნება შესაძლებელი. მაგრამ ამისთვის 12 000 ტონამდე კალიუმის ციანიდის გამოყენებაა საჭირო. განადგურდება 4 მთის წვერი და 3 სოფელი. პროექტის მონინალმდეგეები ამბობენ, რომ ეს უძველეს რუმინულ ღირსშესანიშნავ ადგილებს დააზიანებს და ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს.

საპროტესტო კამპანია მას შემდეგ გააქტიურდა, რაც მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიზანია დაუშვას ამერიკული კომპანია Chevron-ის მიერ ბუნებრივი აირისა და Gabriel Resources-ის მიერ ოქროსა და ვერცხლის მოპოვება და ამას „ეროვნულ პრიორიტეტად“ აცხადებს. პარლამენტს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. დემონსტრანტები პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტას წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ და მის გადადგომასაც მოითხოვენ, რადგან თანამდებობის დაკავებამდე პონტა ორივე პროექტს ეწინააღმდეგებოდა, ამჟამად კი აცხადებს, რომ ეს პროექტები იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შესამცირებლად აუცილებელია. ადგილობრივების ნაწილი დასაქმების პერსპექტივის გამო პროექტს არ ეწინააღმდეგება.

დასაქმების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო საქართველოშიც აჭარასა თუ ყაზბეგში მიმდინარე და დაგეგმილი მშენებლობების სასარგებლოდ. თუმცა, ადგილობრივები წუხან, რომ მათ ან ისეთ კვალიფიკაციას სთხოვენ, რომელიც არ გააჩნიათ, სულ არ დასაქმებენ, ანდა ძალიან ცოტას და დაბალანაზღაურებულ ვაკანსიებზე იღებენ.

დღეს ხუდონჰესის თემა გარკვეულწილად განსაზღვრავს იმასაც, თუ რა პოლიტიკას ირჩევს ხელისუფლება – წინასაარჩევნოდ ერთ-ერთი პოპულარული დაპირების შესრულებას და დიდ ჰესებზე უარის თქმას, თუ ადგილობრივების დიდი ნაწილის პროტესტის მიუხედავად, სტრატეგიულ პროექტად გამოცხადებული ჰესის მშენებლობის დაწყებას.

ხუდონჰესის პროექტს ქვეყნისთვის სასარგებლოდ არ მიიჩნევენ „მწვანე ალტერნატივაში“. ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სამინისტროში შეტანილ დოკუმენტში კვლავ არის მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებზეც ჰოლანდიელი ექსპერტებიც მიუთითებდნენ. მათ მიერ მომზადებულ მასალებში ვკითხულობთ, რომ პროექტის ეკონომიკური დასაბუთება და ჰესის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები საფუძველსაა მოკლებული. გარემოსდამცველებს საეჭვოდ მიაჩნიათ ანგარიშში მითითებული მონაცემები იმ მტკიცების სასარგებლოდ, რომ ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად 10%-ით იზრდება. ორგანიზაციის განმარტებით, ეს რეალობის დამახინჯების მცდელობაა, რადგან თუ მითითებულ წლებში მოთხოვნა იზრდებოდა, 2012-2013 წლების შედარებით ირკვევა, რომ

ენერგიაზე მოთხოვნა წინა წელთან შედარებით 3 %-ით შემცირდა. მათი შეფასებით, გადაჭარბებულია ჰესის საექსპორტო მნიშვნელობაც, რადგან იმ 4 თვის განმავლობაში, როდესაც ჰესს მაქსიმალური გამოიმუშავება ექნება, მან ეს ენერგია საქართველოს უნდა მიჰყიდოს.

„გაუგებარია ისიც, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებენ გზმ-ის ავტორები,

რომ ქვეყანაში ენერგომომხარების რეალისტური ზრდის ტემპი 5-6%-ს შეადგენს, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია არათუ ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა, არამედ ზოგადად, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმაც კი. 2001 წლის შემდეგ კი არ შედგენილა ენერგო-ბალანსი. ან როგორ ასკვნიან ექსპერტები, რომ წელიწადში 200 მილიონის



ფოტო ბიონაი ბევა

ხაიშის თემის მცხოვრებნი უფიქრებით იმაზე, რომ გამოეხატათ წესის ხედონსების მშენებლობის საწინააღმდეგოდ, რადგან მოგეპოვება, რომ ეს მშენებლობა მიმართულია არა მხოლოდ ხაიშის, არამედ სენაქეთის და შესაბამისად საქართველოს საზონოდ და ავტომატურად უფიქრით ქვეყნის ურთიანად მოცილებით გადაწყვეტილებებს ხედონსების მშენებლობასთან დაკავშირებით.

ფიცის ტექსტი

უფიქრად არ დაფიქრებ ძალ-ღონეს და კლეა გონებას, რომ ხაიშის წმინდა კათოლიკის მოქმედი ტაძარი, სასაფლაოები, ხაიშის თემა და მისი შემოგარენი სოფლებით არ მოეცემა წყალქვეშ.

ფიცის ხინამდევლეს ვადისტურებით ხელმოწერით

#	სახელი, გვარი	ხელმოწერა	7	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	აქტი წყნაძე	<i>[Handwritten signature]</i>	8	მ. მელიქიძე	<i>[Handwritten signature]</i>
2	ზესაძე ნათიაძე	<i>[Handwritten signature]</i>	9	მეტი თვალაძე	<i>[Handwritten signature]</i>
3	ნათია ჭავჭავაძე	<i>[Handwritten signature]</i>	10	ბაჩყალი ფაქაძე	<i>[Handwritten signature]</i>
4	მეტი მეთოქიძე	<i>[Handwritten signature]</i>	11	ხომინი ფაქაძე	<i>[Handwritten signature]</i>
5	სემონი მეთოქიძე	<i>[Handwritten signature]</i>	12	სენტიანო მთეწახიაძე	<i>[Handwritten signature]</i>

17 სექტემბერს, ხაიშის თემის მცხოვრებთა ნაწილი ფიცს შეუერთდა. სულ 90-მდე ოჯახმა დაიფიცა, რომ ხედონსების მშენებლობას და სოფლის წყლით დაფარვას არ დაუშვებენ.

ინვესტიცია მშპ-ს 1.1 %-ით გაზრდის, ანდა გამოაცოცხლებს რეგიონში ეკონომიკურ აქტივობას, როდესაც ეს არც ერთ სხვა ჰესს ეს არ გამოუწვევია“, – წერია შენიშვნებში.

ასოციაციის წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი ამბობს, რომ კვლევის ავტორთა მტკიცება, თითქოსდა საქართველოს ჰესების მიერ გამოძლეული ელექტროენერჯის მოცულობის გაზრდა შეუძლებელია, რეალობასაა მოკლებული.

„დღეის მდგომარეობით, საქართველოში არსებული არც ერთი საშუალო და დიდი ჰიდროელექტროსადგური არ გამოიძლევა დადგმულ სიმძლავრეს ვინაიდან ყველა არსებული ჰესი სრულმასშტაბიან რეაბილიტაციას საჭიროებს. ტექნიკური გადაიარაღებისა და არსებული რეზერვუარების ნატანისგან განმედი ჩათვლით. ეს გაზრდიდა ამ ჰესების სიცოცხლის ხანგრძლივობას და გაიზრდებოდა დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტიც“, – ამბობს ჭიპაშვილი. კიდევ ერთი, რაზეც რეაბილიტაციის გარდა გარემოსდამცველი მიუთითებს, ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებაა, რაც ენერჯის მოხმარებას ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებდა ქვეყანაში.

გზმ ანგარიშის მიხედვით, 4 თვის განმავლობაში, ადგილობრივ ბაზარზე ხუდონჰესის ენერჯია ფიქსირებულ ფასად 5.84 ცენტად გაიყიდა და 2018 წლიდან ის ჩანაცვლებს 134 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იმპორტირებულ ენერჯიას. „ირკვევა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად მიიღებს 133 მლნ კვტ/სთ ენერჯიას 5.84 ცენტად, დამატებითი საჭიროების შემთხვევაში კი სახელმწიფოს კომპანიისგან ელექტროენერჯის შექნა საერთაშორისო ფასად მოუწევს, გაუგებარია რაში გვჭირდება ამხელა ზიანის მომტანი ჰესი, თუ მასში იმდენივე უნდა გადავიხადოთ? ხუდონჰესის ამ პირობებით აშენება, საქართველოს ბუნებრივი რესურსების განიავება“, – აღნიშნა ჭიპაშვილმა.

გარემოსდამცველები ამბობენ, რომ პროექტი მხოლოდ საშემოსავლო და ქონების გადასახადს მოუტანს ქვეყანას, რაც მშენებლობის ეტაპზე 26 მილიონ ლარს არ აღემატება, მოგების გადასახადს კი ინვესტორი მხოლოდ მას შემდეგ გადაიხდის, რაც ინვესტიციას ამოიღებს.

ენერჯეტიკის მინისტრი გარემოსდამცველებს პასუხობს, რომ ქვეყანაში ელექტროენერჯის არსებული დეფიციტის გამო, ხუდონჰესს ალტერნატივა არ აქვს. „ჩვენ ზამთრის თვეებში იმპორტი გვიხდება რუსეთიდან 6.5 ცენტად. არის ფასის ზრდის ტენდენციაც. ყოველწლიურად ქვეყანა მიიღებს 45 მილიონ ლარს, 20 მილიონი ლარი მხოლოდ სვანეთის მუნიციპალიტეტს დარჩება. დაიზოგება იმპორტის თანხების 50-70 მილიონ ლარი. ექსპორტზე გატანისას კი მათ აქვთ ვალდებულება გადაიხადონ გამტარი ხაზების საფასური. ამ ენერჯით მთლიანად შეივსება ის დეფიციტი, რაც გვაქვს. მას მერე კი, რაც კომპანია ინვესტიციას ამოიღებს, გვაქვს უფლება, მოვაქციოთ ეს ჰესი რეგულაციებში და მივიღოთ ენერჯია თუნდაც ენგურჰესის ფასად“, – აცხადებს კალაძე.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ ჰესის მშენებლობა შეჩერდეს თუ ადგილობრივებთან შეთანხმება არ მოხდება, ვიცე-პრემიერი პასუხისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ ეს ყველაფერი კონკრეტული ნაბიჯების და გეგმების შემდეგ იქნება ნათელი.

გზმ ანგარიშში მითითებულია, რომ პროექტი განხორციელდება საქართველოს კანონის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ მიხედვით. თუმცა „მწვანე ალტერნატივაში“ განმარტავენ, რომ ექსპროპრიაციას დაქვემდებარებულ ღონისძიებებთან ხუდონჰესის, კერძო პროექტის მისადაგება შეუძლებელია.

პროექტის სარგებლიანობას ეჭვქვეშ აყენებს ეკონომისტი მიხეილ ადიშვილიც, მისი თქმით, იმის იმედად ყოფნა, რომ 15-20 წლის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტში 56 მილიონი შემოვა, გაუმართლებელია და სამინისტრომ დადებითი დასკვნა არ უნდა გასცეს. მას, ზოგადად, ჰესებზე ორიენტირებული ენერგოპოლიტიკა მიუღებლად მიაჩნია.

„საუბარი იმაზე, რომ 100%-ით უნდა ავითვისოთ ჰიდრორესურსები, მცდარია, მოძველებული, ექსტენსიური პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის წარმოშობს პრობლემებს. საკითხავია, რატომ არ ატარებს ენერჯეტიკის სამინისტრო ღონისძიებებს ენერგოეფექტურობის მიმართულებით. გზმ-დანაც კი ირკვევა, რომ ენერჯის 95 % ექსპორტზე უნდა გავიდეს, მაშ ქვეყნისთვის რაღა სარგებელზეა საუბარი?“ – ამბობს ადიშვილი.

მის პოზიციას არ იზიარებს ენერჯეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გურამ ნიკოლაშვილი. ასოციაცია, რომელიც წელს მაისში შეიქმნა, ჰესების აშენებას აქტიურად ემხრობა. ნიკოლაშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში ენერჯეტიკოსების ხმა პრაქტიკულად არ ისმოდა და აუცილებელია, ენერჯეტიკულ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე

■ **ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კომპანია ვალდებულია განსახლება მსოფლიო ბანკის სტანდარტით განახორციელოს. თუმცა, „მწვანე ალტერნატივაში“ განმარტავენ, რომ შეუძლებელია საუკეთესო სტანდარტებზე და ნების თავისუფლად გამოვლენაზე ლაპარაკი მაშინ, როცა მინა უკვე კომპანიის საკუთრებაა.**



ფოტო აბა მალაღამე

ცალ-ცალკე ვისაუბროთ და არა ერთბაშად. მისივე აზრით, მოსახლეობის წინააღმდეგობა გარკვეული ჯგუფების მიერაა ორგანიზებული.

„ჰესების მიმართ პოლიტიკა გაგრძელდა, მაგრამ თუ ადრე ხელისუფლება ცალმხრივად იღებდა გადაწყვეტილებებს, ახლა მოსახლეობის კომპონენტმა წინ წამოინია, საჯარო სივრცეში კი დაგროვილია სტერეოტიპები, ხუდონი ხალხისთვის უკვე ცუდთან ასოცირდება“, – ამბობს ნიკოლაშვილი.

მისივე თქმით, 17 სექტემბერს ხაიშში შეკრებილი ადამიანები ორ ნაწილად იყოფოდნენ.

„იყო ხალხის ჩვეულებრივი ნაწილი და აქტივისტები, რომლებიც პროცესს მართავდნენ. განხილვაზეც ნაწილი შევიდა, შემდეგ ამ ორგანიზებულმა ჯგუფმა უთხრა გავიდეთო. გარკვეული ძალები ამას თბილისიდანაც ეხმარებიან. მათი ინტერესია, რომ ნებისმიერი ჰესის აშენებას ყველანაირად შეუშალონ ხელი. დღეს კი შეიძლება ეს პროექტი ისე განხორციელდეს, რომ უშუალოდ სვანეთის რეგიონიც განვითარდეს. იმის ნაცვლად, რომ გარემოსდამცველებმა მოსახლეობას აუხსნან, რომ ინვესტორთან მოლაპარაკებისას ადეკვატური პოზიცია დაიჭირონ, ისინი აბსოლუტურ წინააღმდეგობაზე მიდიან და მათაც უბიძგებენ, რომ სრულ გაუგებრობაზე წავიდნენ,“ – აცხადებს ნიკოლაშვილი.

ხაიშის მცხოვრებთა ნაწილისთვის ეს უკვე მეორე იძულებით განსახლება იქნება, ისინი საბჭოთა პერიოდში ერთხელ უკვე გაასახლეს, მაგრამ მშენებლობის შეჩერების შემდეგ დიდი ნაწილი თავის სახლ-კარს დაუბრუნდა.

„ტრანსელექტრიკას“ დირექტორი პაატა წერეთელი ამბობს, რომ თუ კერძო საკუთრებასა და მათთვის გადაცემულ ქონებას შორის რაიმე სახის ზედდება გამოიკვეთება, ისინი თავისივე ხარჯით დაეხმარებიან ხალხს ქონების რეგისტრაციაში და უკვე ამის შემდეგ შესთავაზებენ თავიანთ პირობებს. თუკი მოსახლეობა ამას არ მიიღებს, მაშინ მზად არიან მათი პირობებიც მოისმინონ.

ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, კომპანია ვალდებულია განსახლება მსოფლიო ბანკის სტანდარტით განახორციელოს. თუმცა, „მწვანე ალტერნატივაში“ განმარტავენ, რომ შეუძლებელია საუკეთესო სტანდარტებზე და ნების თავისუფლად გამოვლენაზე ლაპარაკი მაშინ, როცა მინა უკვე კომპანიის საკუთრებაა. დავით ჭიპაშვილის აზრით, ეს შესაძლოა ერთგვარი შანტაჟის საფუძველიც გახდეს. „შეიძლება მოსახლეობას გასახლებაზე დათანხმება მოსთხოვონ იმის სანაცვლოდ, რომ მინა დაურეგისტრირონ და კომპენსაცია მისცენ“, – ამბობს ჭიპაშვილი. ნიკოლაშვილი კი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტორი სახელმწიფო იქნება და არავინ დაზარალდება.

17 სექტემბერს საღამოს ხაიშელები ამბობდნენ, რომ იმ დღეს ბრძოლა მოიგეს, თუმცა ომი ჯერ კიდევ წინ აქვთ. კანონმდებლობის თანახმად, „ტრანსელექტრიკამ“ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და შემდეგ უკვე მშენებლობის ნებართვა 2013 წლის მარტამდე უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პროცესის თავიდან დაწყება მოუწევთ. ■

1989 წლამდე ხუდონჰესის პირველადი პროექტით მშენებლობისას სამუშაოების ნაწილი უკვე შესრულებული იყო.

2012 წელი - ლოპოტას ხეობა

„კავკასიური უზელმა“ ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ სტატია გამოქვეყნა. „ლიბერალი“ სტატიის თარგმანს გთავაზობთ.

ლოპოტა 30 კილომეტრზე გაჭიმული ხეობაა საქართველოში, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარეობს და კახეთს, თელავის რაიონს ეკუთვნის. ხეობაში გამავალი მდინარე ლოპოტას სამხრეთით მდებარეობს სოფელი ლაფანყური, სადაც დაახლოებით 900-მდე ადამიანი ცხოვრობს (რუსეთის საზღვრამდე 18-20 კილომეტრია) ამას გარდა, ხეობიდან გამოსასვლელში განლაგებულია ტურისტული კომპლექსი „ლოპოტა-რეზორტი“.

1912 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში საქართველოს ხელისუფლებამ სპეცოპერაცია ჩაატარა – შეიარაღებული მებრძოლებს მისდევდნენ, რომელებიც თითქოსდა დაღესტნიდან გადმოვიდნენ და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები მძევლად აიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია ხეობაში საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაიძაბა, დღემდე მრავალი პასუხგაუცემელი კითხვაა დარჩენილი და კამათიც გრძელდება.

**დაჯგუფების აღმოჩენის და
სპეცოპერაციის ოფიციალური ვერსია**

2012 წლის 28 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნიდან კარგად შეიარაღებული მებრძოლების ჯგუფი, დაახლოებით 20 ადამიანი შემოიჭრა.

27 აგვისტოს დაღესტანთან ახლო მდებარე სოფელ ლაფანყურის მახლობლად, ხუთი ახალგაზრდა დაიკარგა. ტელეკომპანიები „იმედი“ და „რუსთავი2“ გადმოსცემდნენ, რომ დაკარგულები მძევლად ავტომატებითა და ნაღმტყორცნებით შეიარაღებულმა ადამიანების ჯგუფმა აიყვანა. მძევლების თქმით, ჯგუფში 17 კაცი იყო. მებრძოლებმა, ხელისუფლების ცნობით, ადგილობრივი



მცხოვრებლების სამი ჯგუფი, სულ 10 ადამიანი დაატყვევეს.

28 აგვისტოს გვიან ღამით შსს-მ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნის ტერიტორიიდან 26-27 აგვისტოს შემოიჭრა კარგად შეიარაღებული მებრძოლების ჯგუფი. ამას გარდა, თქვეს ისიც, რომ მძევლების პირველი ჯგუფი, ხუთი ადამიანი უკვე გათავისუფლებულია.

29 აგვისტოს დილით შსს-მ განაცხადა, რომ



ფოტო: გ. ლაშა მთივარეშვილი

მებრძოლები ბლოკირებულები არიან ლოპოტას ხეობაში. პოლიციამ თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის გზა გადაკეტა. სოფელში შსს-ს თანამშრომლებისა და სამხედროების 30-ზე მეტი მანქანა შევიდა. ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილმა სოფელი შემოვლითი გზებით დატოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იუნყებოდა სპეციალური კრიზის-ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც შედიოდნენ შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ბაჩო ახალაიაც ამ ჯგუფის წევრი იყო.

29 აგვისტოს, მთელი დღის განმავლობაში შსს-ს საიტი მებრძოლების დაჯგუფებასა და ძალოვნებს შორის მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებაზე წერდა. გავრცელდა ცნობა მძევალთა კიდევ ერთი ჯგუფის გათავისუ-

ფლებსა და ერთი მებრძოლის განადგურების შესახებ.

29 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში შსს-მ განაცხადა, რომ მძევალთა მესამე ჯგუფიც გაათავისუფლეს. გაათავისუფლების ოპერაციის დროს, ქართველი ძალოვნების მონაცემებით, გაიმართა ბრძოლები და რამდენიმე მებრძოლი მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მებრძოლებმა მძევლად სამი ჯგუფი, სულ ათი მშვიდობიანი მოსახლე აიყვანეს. ასევე, შსს-ს ცნობით სპეცოპერაციის დროს დაიღუპა საქართველოს შსს-ს სამი თანამშრომელი, ხუთი კი – დაიჭრა. ასევე სავარაუდოდ, მოკლეს თერთმეტი მებრძოლი. 29 აგვისტოს მდგომარეობით, შსს-ს მინისტრის მოადგილის, შოთა უტიაშვილის თქმით, ექვსი მებრძოლი ალყაში ჰყავდათ მოქცეული. მათი შემდგომი ბედის შესახებ ცნობები არ ვრცელდებოდა.

30 აგვისტოს საქართველოს შინაგან სამინისტრომ განაცხადა, რომ ოპერაციის ძირითადი ნაწილი დასრულდა.

დაჯგუფების წევრების შესახებ

2012 წლის 3 სექტემბერს საქართველოს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ რომ თერთმეტი მოკლული მებრძოლიდან შვიდის ვინაობა დაადგინეს. მათ შორის სამი საქართველოს მოქალაქე იყო – პანკისის ხეობის მკვიდრნი – ასლან მარგოშვილი, ბაჰაუდინ ალდამოვი და ბაჰაუდინ ბაკარაშვილი. ამას გარდა, დაჯგუფების ხუთი წევრი რუსეთის მოქალაქე გახლდათ – ჩეჩნეთის მცხოვრებლები – დუკვახა დოშუევი, სალამ ზაურვეკოვი და მუსა ადუევი, ასევე ინგუშეთში დაბადებული ჯაბრაილ ხაშიევი.

30 აგვისტოს სოფელ ლაფანყურში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა. ტელეარხ „რუსთავი2“-ის ეთერით გადაიკვან მისის სიტყვები: „დარწმუნდა მემგონი ყველა, რომ ვერც ბასაევის 90-იან წლების თარეშს და ვერც მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეების ლეკიანობას კახეთში ვერავინ ვერ გაიმეორებს. იქითაც ჩვენი ძმები არიან, ქედს იქით, მაგრამ ჩამოვიდნენ, როგორც ყოველთვის დადიოდნენ მშვიდობიანად სამეგობროდ, სავაჭროდ, სუფრაზე დიდი სიამოვნებით ყველას მივიღებთ... მაგრამ ახლა იარაღით გამოვისეირნებ, ვისაც მინდა დავიჭერ, ვისაც მინდა ავიყვან, რასაც მინდა ვიზამ და თქვენ არაფერი არ ქნათ, ეს ვის ინტერესებში შედის, ჩვენ ძაან კარგად ვი-

ცით, ჩვენი მტრის, ჩვენი საქართველოს დამპყრობლის. მე ვფიქრობ კახეთის ხალხი და თქვენც მათ შორის დარწმუნდით, რომ საქართველოში ხალხი დაცულია“.

შვიდი ამოცნობილი მებრძოლი, ნათესავების თქმით, ჩუმად დაკრძალეს პანკისის ხეობაში. მათი საფლავები ადგილობრივმა ვაჰაბიტებმა მაშინვე გათხარეს, როგორც კი ლოპოტაში დაჯგუფების განადგურების შესახებ გახდა ცნობილი.

ლოპოტას მოვლენების ხელახალი

ამოქიპა

2012 წლის 12 ნოემბერს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების და კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კვიციანი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი უწყება დეტალურად გამოიძიებდა ლოპოტას სპეცოპერაციის გარემოებებს და ამისთვის სპეციალური კომისიაც იყო შექმნილი.

2012 წლის 10 დეკემბერს, პანკისის ხეობის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს შსს-ს მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი მათ დაპირდა, რომ კონტროლზე აიყვანდა ლოპოტას მოვლენების გამოძიებას.

ლოპოტას საქმეზე გამოძიებას საქართველოს შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს. ინციდენტს ცხრა გამოძიებული სწავლობს, ხოლო მასალების რაოდენობა 2013 წლის 23 იანვრის მონაცემების მიხედვით 26 ტომია.

2013 წლის მაისში სამი დაღუპული მებრძოლის გვამების ექსგუმაცია ჩაუტარდა ხელახალი ექსპერტიზისთვის.

ახმედ ჩატაევის საქმე

დაჯგუფების ერთადერთი წევრი, რომლის დაკავების შესახებაც ინფორმაცია ოფიციალურად გავრცელდა, ახმედ ჩატაევი, რომელიც ქართველმა სამართალდამცავებმა 2012 წლის სექტემბერში, ლოპოტას სპეცოპერაციის მიმდინარეობისას დააკავეს.

ახმედ ჩატაევი რუსეთის მოქალაქეა, ეთნიკურად – ჩეჩენი. 2003 წლიდან ის რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იძებნება, რომლებიც მას დასავლეთ ევროპაში მებრძოლთა ლიდერის, დოკუ უმაროვის წარმომადგენლად თვლიან. ჩატაევი ავსტრიაში შეიჭრა, როგორც პოლიტიკური დევნილი, მაგრამ მოგვიანებით მან საქართველოს მოქალაქეობაც

მიიღო და პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ცხოვრობდა.

დაკავების შემდეგ ჩატაევს ასაფეთქებელი ნივთიერებების შექმნაში, შენახვასა და ტარებაში წაუყენეს ბრალი, რადგან გამოძიების ვერსიით, ორი ხელყუმბარა უპოვეს. ჩატაევის დაპატიმრებისას ძალოვნებმა აჩვენეს, რომ მას ქურთუკის მარჯვენა და მარცხენა ჯიბეებში ხელყუმბარები ეწყო, რომლებიც საკუთარი ნებით გადასცა პოლიციას. სწორედ ეს ბრალდება დაედო საფუძვლად ახმედ ჩატაევის დაკავებას. აღსანიშნავია, რომ ჩატაევმა მარჯვენა ხელი ჩეჩნეთის ომის დროს დაკარგა, და ამიტომაც მას „ცალხელა ახმედად“ იცნობენ. ასე რომ, ხელყუმბარის გამოყენება, რომელიც მას თითქოსდა მარჯვენა ჯიბეში ედო, არარსებული მარჯვენა ხელით ნამდვილად გაუჭირდებოდა. საქმის სასამართლო განხილვის დროს, სამმა მონემ, რომლების მის დაკავებას შეესწრნენ, დაადასტურა, რომ იარაღი მას არ ჰქონია.

ჩატაევის საქმის პირველი მოსმენა 2012 წლის 1 ნოემბერს გაიმართა, სასამართლო ნოემბერსა და დეკემბერში გაგრძელდა.

2013 წლის 18 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ ახმედ ჩატაევი უდანაშაულოდ ცნო.

ჩატაევს საქართველოს მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ“ კანონის ფარგლებში გათავისუფლება ელოდა, მაგრამ მან ბრძოლის სასამართლოში გაგრძელება არჩია. ჩატაევის ადვოკატმა, ნინო ანდრიაშვილმა მისი გადანყევტილების შესახებ განაცხადა: „პროკურატურა ელოდა ამნისტიის კანონის ძალაში შესვლას, რომელიც ჩატაევსაც ეხება, რათა არ დადგენილიყო, რეალურად რა მოხდა და ვინ არის დამნაშავე ამ საქმეში“.

დაცვის ვერსიით, ახმედ ჩატაევს კანონსა-ნინალმდეგო არაფერი ჩაუდენია, და მოლაპარაკებების დროს მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა ძალოვან სტრუქტურებსა და ლოპოტას ხეობაში ალყაშემორტყმულ მებრძოლებს შორის. საქართველოს შსს კი ამტკიცებდა, რომ მოსალაპარაკებლად მონვეული ჩატაევი არ არწმუნებდა მებრძოლებს დანებებულობის და მათთან ერთად მონაწილეობა და პოლიციის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ჩატაევის, როგორც შუამავლის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით პანკისის ხეობის მკვიდრი დალუპული მებრძოლების ნათესავებმაც დაადასტურეს, რომელთაც განაცხადეს, რომ

ჩატაევი შუამავლად ზელიმხან ხანგოშვილმა, პანკისის ხეობაში ვაჭაბიტების ჯამათის ერთ-ერთმა ლიდერმა მიიწვია, ამას გარდა, ლოპოტაში მოკლული ქისტების ნათესავები აღნიშნავდნენ, რომ პანკისელი ვაჭაბიტები ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, კერძოდ, ზელიმხან ხანგოშვილი არაერთხელ უნახავთ საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის შტაბ-ბინაში.

2013 წლის მაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის ტერიტორიაზე გაიმართება შარიათის სასამართლო ლოპოტას მოვლენების შესახებ, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ახმედ ჩატაევიც მიიღებს მონაწილეობას.

მოვლენების ალტერნატიული ვერსიები

ექვები ლოპოტას მოვლენების ოფიციალურ ვერსიასთან დაკავშირებით მაშინვე გაჩნდა, როგორც კი საქართველოს შსს-მ ოპერაციის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება.

2012 წლის 31 აგვისტოს სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის დირექტორმა მამუკა არეშიძემ „კავკაზკი უზელს“ განუცხადა, რომ დაღესტანში მისი წყაროებისთვის უცნობია რაიმე შეიარაღებული ფორმირების შესახებ, რომელიც საქართველოს საზღვარზე მოქმედებს.

არეშიძეს სამი ვერსია ჰქონდა: დაღესტანიდან მართლაც გადმოვიდა მებრძოლების ჯგუფი, რომელთაც უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ქართველ ძალოვანებს; საქართველოში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ან ფსბ-ს დანაყოფი შემოვიდა, დაზვერვითი, ან დივერსიული მოქმედებებისთვის; მთელი ოპერაცია ინსცენირებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომლებსაც რაღაც მიზეზები ჰქონდათ 1 ოქტომბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

2012 წლის 4 სექტემბერს ახმედ ზაკაევმა, ტელეკომპანია „მეცხრე არხს“ (ეს არხი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის) განუცხადა, სპეცოპერაციის დროს მოკლული დუკვახა დუშუევი რუსეთიდან საქართველოში ვერ გადმოვიდოდა, რადგან უკანასკნელ ხანებში სწორედ საქართველოში, პანკისის ხეობაში ცხოვრობდა.

2012 წლის 28 სექტემბერს, ვიდეოხიდის დროს თბილისი-მოსკოვი „ლოპოტას ხეობის მოვლენები საქართველოში, საფრთხე რეგიონის სტაბილურობისთვის“ იქვერის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყოფილმა წარმომადგენელმა საქართველოში ხიზრი

■ ჩატაევს საქართველოს მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ“ კანონის ფარგლებში გათავისუფლება ელოდა, მაგრამ მან ბრძოლის სასამართლოში გაგრძელება არჩია. ჩატაევის ადვოკატმა, ნინო ანდრიაშვილმა მისი გადანყევტილების შესახებ განაცხადა: „პროკურატურა ელოდა ამნისტიის კანონის ძალაში შესვლას, რომელიც ჩატაევსაც ეხება, რათა არ დადგენილიყო, რეალურად რა მოხდა და ვინ არის დამნაშავე ამ საქმეში“.

აღდამოვმა განაცხადა, რომ ლოპოტას ხეობაში საბრძოლო შეტაკებაში მონაწილეობდნენ ჩეჩნები და ქისტები, რომლებიც წვრთნას საქართველოს შსს-სთან არსებულ ანტიტერორისტულ ცენტრში გადიოდნენ და მათ რუსეთში გადასვლაში მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი თანამოაზრე, პეტრე ცისკარიშვილი უნდა დახმარებოდა.

“ბოლო 2-3 წელია იქ ჩეჩნების ჯგუფს ჩრდილოეთ კავკასიაში შესასვლელად წვრთნიდნენ. ვიცნობდი ამ ბიჭებს და ვეუბნებოდი მათ – რა დროს ომია, უნდა ისწავლოთ.”

2013 წლის 21 ოქტომბერს, უკვე არჩევნების შემდეგ, ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ტელეკომპანია „მესტროს“ ეთერში გავიდა სტუდია GNS-ის ჟურნალისტური გამოძიება, სადაც წარმოდგენილი იყო ვერსია, იმის შესახებ, რომ ლოპოტას ხეობაში მოვლენები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული.

2012 წლის 19 ნოემბერს უმარ იდიგოვმა, ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის ბიძაშვილმა „კავკაზსკი უზელს“ განუცხადა, რომ 2012 წელს ევროპაში მცხოვრებ ჩეჩენტა შორის გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ კორიდორს სთავაზობდა ჩრდილოთ კავკასიაში ჯიჰადის საწარმოებლად.

„ევროპაში მყოფმა მეგობრებმა მთხოვეს, შემემოწმებინა ეს ინფორმაცია. მე ვუპასუხე: „არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენთან, საქართველოში ორ თვეში არჩევნებია და არაა გამორიცხული, რომ მათი გამოყენება სურთ. მაშინ ჩემს მეგობრებს ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, ეს ოთხი ჩეჩენი ბიჭი ახლა ცოცხალი იქნებოდა“, – განუცხადა უმარ იდიგოვმა „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს.

2013 წლის 22 იანვარს მამუკა არეშიძემ „კავკაზსკი უზელთან“ ისაუბრა იმის შესახებ, რომ მათ, ვინც მოგვიანებით ლოპოტას ხეობაში მოკლეს, თავდაპირველად რუსეთის ტერიტორიაზე დივერსიისთვის ამზადებდნენ, მაგრამ დივერსიული ოპერაციის მომზადების დროს მათი გეგმები შეიცვალა და ჯგუფი წინასაარჩევნოდ დაძაბულობის შესაქმნელად გამოიყენეს.

2013 წლის 1 აპრილს ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც ლოპოტას მოვლენების სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებაა წარმოდგენილი. ნანუაშვილის მონაცემებით, დასტურდება

ცნობები იმის შესახებ, რომ შეიარაღებული დაჯგუფება შეიქმნა, მომზადდა და შეიარაღდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელი ხელმძღვანელობის მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველმა ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების სრულად გამოსაძიებლად დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნა მოითხოვა.

2013 წლის 17 აპრილს, უჩა ნანუაშვილისა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატების შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ არ შეექმნათ საპარლამენტო კომისია ლოპოტას მოვლენების გამოსაძიებლად. მოგვიანებით პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განმარტა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, როცა საქმეს სამართალდამცავები იძიებენ, პარალელურად საპარლამენტო კომისიის შექმნა აკრძალულია.

2013 წლის 18 აპრილს სოციალურ ქსელში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის დათა ახალაიას ჩანაწერი გავრცელდა, სადაც ის ამბობდა, რომ „ლოპოტას ხეობის ავანტიურა“ ვანო მერაბიშვილის მიერ იყო ორგანიზებული და მიმართული იყო მისი ძმის, თავდაცვის მაშინდელი მინისტრის წინააღმდეგ.

2013 წლის 14 მაისს „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ გამოქვეყნა ლოპოტას მოვლენებისადმი მიძღვნილი მასალა, სადაც ნაჩვენებია იყო, რომ არც სოფელ ლაფანყურში და არც პანკისის ხეობაში არ სჯერათ ოფიციალური ვერსიისა, სტატია სახალხო დამცველის ვერსიისკენ იხრებოდა, და მომხდარს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან აკავშირებდა.

სტატიის მიხედვით ლოპოტას მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ყოფილი მძევლები ზენოლას განიცდიდნენ შსს-ს მხრიდან და სწორედ ამ მიზეზით ამბობდნენ უარს, რაიმე ეთქვათ პრესისთვის.

ასევე, სტატიაში ეწერა, რომ ლოპოტას ხეობაში მოკლული სამართალდამცავის ნათესავებს არ აჩვენეს ექსპერტიზის დასკვნა და მათი აზრით „ის თავისიანებმა მოკლეს“.

ვერსია თავდაცვის სამინისტროს

მხრიდან პროპოკაციის შესახებ

ხეობაში განვითარებულ მოვლენებამდე

2012 წლის თებერვლიდან საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსანთა მითითებით დაიწყო

მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ჩეჩენ მებრძოლებს ჰპირდებოდნენ, რომ მოამზადებდნენ, შეაიარაღებდნენ და „კორიდორს“ გაუხსნიდნენ ჩეჩნეთში გადასასვლელად.

შედეგად, საქართველოში ევროპიდან 120 ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიელი ჩამოვიდა. მათ თბილისში ბინები დაუქირავეს, მართვის მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტები გაუფორმეს, ასევე მისცეს და გაუფორმეს იარაღიც. დაჯგუფების წევრები წვრილთა თბილისის ახლოს, ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ. მათ ინსტრუქტორებად საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები, და აგრეთვე ის ჩეჩენი მებრძოლები მუშაობდნენ, რომელთაც საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ.

საქართველოს ომბუდსმენის მონაცემებით, ჩეჩენ მებრძოლებთან ურთიერთობდა და ყველა პრობლემას წყვეტდა შსს-ს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე. მოგვიანებით ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ეს ბრალდება „აბსურდული ცილისწამება“ იყო.

ასევე, ზოგიერთი ცნობით, ჩეჩნებს ასმედ ჩატაევი და რუსლან პაპასკირი (ჩეჩენი, სავარაუდოდ რუსეთის და საქართველოს ორმაგი აგენტი) არწმუნებდნენ, რომ საქართველოში ჩამოსულიყვნენ.

მამუკა არეშიძის მონაცემებით და მოკლული მებრძოლების ნათესავების თქმით, 2012 წლის ივლისიდან თითქმის ყველა მებრძოლმა დატოვა საქართველო. მაგრამ ივლისის ბოლოს რატომღაც ისევ დაიწყეს ამ ხალხის მობილიზება. შედეგად 17 კაციანი ჯგუფი შედგა.

ჯგუფს, ჩაჩნური უმარ იდიგოვის თქმით, საქართველოს შსს-ს ექს მინისტრი ბაჩო ახალაია წვრილდა.

მოვლენები ხეობაში

სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე მებრძოლები სოფელ ლაფანყურში შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოყოფილი პიკაპებით შევიდნენ. მათ თან საჭირო შეიარაღება, სურსათი და სხვა საჭირო საგნები ჰქონდათ.

სპეცოპერაციამდე ორი დღით ადრე რეგიონში მესაზღვრეები და სპეცდანიშნულების რაზმები ვერტმფრენებით ჩაიყვანეს. მათი მიზანი ჩეჩნეთისკენ მიმავალი მებრძოლების შეჩერება იყო.

ლოპოტას ხეობაში მყოფი მებრძოლები ქართველ ძალოვანებს სთხოვდნენ, რომ გაეხსნათ მათთვის კორიდორი რუსეთის მხარეს, მაგრამ საქართველოს შსს-მ რატომღაც უარი თქვა კორიდორის გახსნაზე და ჩეჩენ მებრძოლებს მოსთხოვა, იარაღი ჩაებარებინათ და ან პანკისის ხეობაში, ან სამხედრო ბაზებზე დაბრუნებულიყვნენ. სიტუაცია სწორედ ამ მოთხოვნამ დაძაბა.

შსს-მ მოლაპარაკებებში ავტორიტეტის მქონე ჩეჩნების ჩართვა სცადა. მათ შორის, მიინვიეს ასმედ ჩატაევიც, რომელიც დათანხმდა, ყოფილიყო შუამავალი, და უმარ იდიგოვი, რომელმაც შსს-ს დახმარებაზე უარი უთხრა.

მოლაპარაკებების დროს ჩეჩენი მებრძოლებმა უარი თქვეს იარაღის დაყრაზე და თავიდან პანკისის ხეობაში გადაყვანა მოითხოვეს. უარის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ოპერაცია დაიწყეს, რომლის დროსაც შვიდი მებრძოლი და სამი სამართალდამცავი დაიღუპა. საქართველოს ომბუდსმენის მონაცემებით, სპეცოპერაციის დროს დაღუპული შეიარაღებული ძალების თანამშრომლები თვითონვე იღებდნენ მონაწილეობას ჩეჩენი მებრძოლების მომზადებაში.

ზოგიერთი ცნობით, იმ დროს როცა ქართველმა ძალოვანებმა მებრძოლებს შეუტყეს, ისინი უკვე იძინებდნენ და ისინი პირდაპირ საძილე ტომრებში ჩახოცეს.

მამუკა არეშიძის ვერსიით, საქართველოს შსს ასმედ ჩატაევის მოკვლასაც გეგმავდა, რომელიც შემთხვევით გადარჩა.

შეტაკების შემდეგ ცხრა (ზოგიერთი ცნობით, ათი) მებრძოლი გადარჩა, რომლებიც საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებმა თურქეთში ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან გადაიყვანეს. რამდენიმე მათგან მოგვიანებით ავსტრიაში გადავიდა.

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, 2012 წლის შემოდგომაზე საქართველოდან წასული შსს-ს ექს მინისტრი ბაჩო ახალაია იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, რადგან დაღუპული ჩეჩნების ნათესავები მას ლოპოტას სპეცოპერაციის ხელმძღვანელობის გამო სიკვდილით დაემუქრნენ. ■

■ 2012 წლის თებერვლიდან საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსანთა მითითებით დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ჩეჩენ მებრძოლებს ჰპირდებოდნენ, რომ მოამზადებდნენ, შეაიარაღებდნენ და „კორიდორს“ გაუხსნიდნენ ჩეჩნეთში გადასასვლელად.

სირია: სხელი შინა

ძალაუფლების შესანარჩუნებლად ბაშირ ასადი ქიმიური იარაღის დათმობას აპირებს. გაეროს ქიმიური იარაღის ამკრძალავი კომისიის 23 სექტემბერს ანგარიშში ნათქვამია, რომ სირიის მთავრობისაგან მიიღეს სრული ინფორმაცია ქიმიური იარაღის არსენალის შესახებ. სირიაში კი მომავლის სურათი ასეთია: ასადის რეჟიმი საკუთარ მოსახლეობის ამბოხებული ნაწილის ხოცვას ქიმიური იარაღის გარეშე გააგრძელებს.

ვასო კუჭუხიძე

სირიაში საპროტესტო აქციები 2011 წლის იანვარში დაიწყო და სხვა არაბულ ქვეყნებში მიმდინარე გამოსვლების მსგავსად, არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობით იყო გამოწვეული. დემონსტრანტთა ძირითადი მოთხოვნები სოციალური პირობების გაუმჯობესებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და, რაც მთავარია, 1963 წელს ბა-ასისტური მთავრობის მიერ მიღებული „საგანგებო კანონის“ გაუქმებას ეხებოდა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში ოპოზიციური პარტიები და საპროტესტო აქციები იკრძალებოდა.

ბაშირ ალ-ასადის ავტორიტარული რეჟიმი გამოსვლების განეიტრალებას რამდენიმე თვე რეპრესიებისა და რეფორმების მონაცვლეობის საშუალებით ახერხებდა. სწორედ ეს აძლევდა ხელისუფლებას საკმაოდ მშვიდად ყოფნის საშუალებას. მაგალითად, 2011 წლის მარტში Wall Street Journal-ისთვის მიცემული ინტერვიუდან ჩანს, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს სირიის პრეზიდენტი. უურნალისტთან საუბრისას მან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ახალი ერის დასაწყისადაც კი შეაფასა, არაბი ხალხის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას გაუსვა ხაზი და რეფორმების აუცილებლობაზე ისაუბრა. თუმცა, იმავე ინტერვიუში ასადმა კატეგორიულად გამორიცხა საკუთარ ქვეყანაში გამოსვლების სისხლიან კონფლიქტად გარდაქმნის ალბათობა.

ასადს საკმაოდ თამამი პროგნოზის გაკეთების საშუალებას ქვეყანაში არსებული საკმაოდ გამართული რეპრესიული მანქანა აძლევდა. ამას ხელს უწყობდა მოსახლეობაში გამეფებული შიშის სინდრომი, რომელიც განპირობებული იყო ხელისუფლების მიერ 1982 წელს მუსულმანურ საძმოზე განხორციელებული

■ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი სირიის ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე სისხლიანი შეტაკებების ხანგრძლივ სამოქალაქო ომად გარდაქმნის საშიშროებას წინასწარმეტყველებდა და მართლაც, ვითარება ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდა. უკვე ორ წელზე მეტია ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, რომელმაც 100 ათასზე მეტი სირიელის სიცოცხლე შეინირა, ხოლო ორ მილიონამდე ლტოლვილი მეზობელ ქვეყნებს აფარებს თავს.

სასტიკი რეპრესიებით. „ჰამას უღელტადა“ ცნობილმა ამ ინციდენტმა დაახლოებით 35 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინირა და ათწლეულების განმავლობაში შიშის ზარს სცემდა სირიის ოპოზიციას. სწორედ ამიტომაც ქვეყნის ყველაზე დიდ ოპოზიციურ მოძრაობას, მუსლიმურ საძმოს მის განკარგულებაში მყოფი მილიონამდე აქტივისტის მიუხედავად, წარმატებული გამოსვლების დაწყებაში შიშის ფაქტორი უშლიდა ხელს.

კონტროლის სადავეები ასადის რეჟიმს 2011 წლის მარტში გაექცა ხელიდან. გამოსვლების ძლიერმა ტალღამ სირიაში 16 მარტს იფეთქა და უკვე მთელი ქვეყანა მოიცვა. თითქმის ყველა დიდ ქალაქში მიმდინარე დემონსტრაციებზე ტერორის ძეგლებური მეთოდები აღარ მუშაობდა. სპეცსამსახურებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებებმა უკვე სისტემატიური სახე მიიღო. შეტაკების დროს დაღუპული თითოეული მოქალაქის დასაფლავება ახალი გამოსვლებითა და კიდევ რამდენიმე ადამიანის დაღუპვით სრულდებოდა. ამჯერად მკაცრმა რეპრესიებმა რეჟიმს საპირისპირო შედეგები მოუტანა და თითოეულმა მოკლულმა დემონსტრანტებს ათეულობით ახალი მომხრე შესძინა. მოთხოვნებმაც ტრანსფორმაცია განიცადა და ხალხი უკვე არა პოლიტიკურ რეფორმებს, არამედ სისხლიანი რეჟიმის გადადგომას ითხოვდა.

ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი სირიის ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე სისხლიანი შეტაკებების ხანგრძლივ სამოქალაქო ომად გარდაქმნის საშიშროებას წინასწარმეტყველებდა და, მართლაც, ვითარება ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდა. უკვე ორ წელზე მეტია ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, რომელმაც 100 ათასზე მეტი სირიელის



სიცოცხლე შეინირა, ხოლო ორ მილიონამდე ლტოლვილი მეზობელ ქვეყნებს აფარებს თავს. საერთაშორისო საზოგადოება კი უძღური აღმორჩნდა რაიმე ქმედითი ღონისძიების საშუალებით კონფლიქტი აღეკვეთა. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ სირიის კონფლიქტის მიმართ ბევრი დაინტერესებული მხარე არსებობს და მათი ინტერესები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სირიის საკითხთან დაკავშირებით დიდ

აქტიურობით გამოირჩევა რუსეთი, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში, მოსკოვი ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წამყვან მოთამაშედ დაბრუნდა და მის გარეშე სირიის საკითხის გადანყვევტას არ დაუშვებს. რუსეთში დიდ შეცდომად შეფასდა დასავლეთთან დათმობაზე წასვლა ლიბიის საკითხთან დაკავშირებით და უკვე კრემლში კატეგორიულად გამორიცხავენ სირიასთან მიმართებაში იმავს

გაკეთებას. სწორედ ამიტომაც 2011-12 წლებში მოსკოვმა სამჯერ დაადო ვეტო დასავლური სახელმწიფოებისა და არაბული ლიგის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოში ინიცირებულ რეზოლუციას სირიასთან დაკავშირებით.

რუსეთს სირიაში გააჩნია გეოპოლიტიკური ინტერესებიც. ცივი ომის დროიდან დამასკო მოსკოვის მთავარი მოკავშირე და დასაყრდენი იყო ახლო აღმოსავლეთში. ტარტუსის საზღვაო ბაზა სირიაში ერთადერთი რუსული ბაზაა მსოფლიოში, რომელიც პოსტ-საბჭოთა სივრცის გარეთ მდებარეობს. ეს კი საშუალებას აძლევს მოსკოვს ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ფლოტის ნაწილი განლაგოს. გარდა ამისა, სირია მოსკოვისთვის სტაბილური იარაღის ბაზარს წარმოადგენს. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წინ ასადის რეჟიმმა რუსეთისგან მილიარდი დოლარის სხვადასხვა ტიპის იარაღი შეიძინა. ხოლო უკვე სამოქალაქო ომის დროს დამასკომ 550 მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა მოსკოვთან Yak-130-ის ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების შესაძენად. ზემოხსენებული ინტერესებიდან გამომდინარე, რთული მისახვედრი არ არის, რატომ ცდილობს კრემლი თავგამოდებით ასადისთვის ძალაუფლების შენარჩუნებას.

რუსეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესები გააჩნია თურქეთს. სირიაში განვლილი სამოქალაქო ომის შედეგად თურქეთი დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი და არაპროგნოზირებადი სასაზღვრო კრიზისის წინაშე დგას. ერთი მხრივ, ანკარას უწევს ყოველდღიურად ათასობით დევნილის მიღება, თუმცა, მთავარი თავის ტკივილი დესტაბილიზირებული ქვეყნიდან თურქეთის ქუროთულ ნაწილში იარაღის უხვად შედინების საფრთხეა. გარდა ამისა, ანკარას გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ასადმა რამდენიმეჯერ პირდაპირ დასდო ბრალი თურქეთს მეამბოხეების დახმარებაში და თურქეთის საზღვართან სამხედრო ოპერაციებიც კი ჩაატარა. აქედან გამომდინარე, თურქეთის ინტერესებში შედის კონფლიქტის რაც შეიძლება სწრაფად დასრულება საერთაშორისო ძალების ინტერვენციით და სამშვიდობო შენაერთების ჩაყენებით ქვეყანაში სტაბილურობის გარანტირება.

ირანში კი ასადის რეჟიმის გადარჩენა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად ითვლება. ახლო აღმოსავლეთში სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებულ დაპირისპირებაში სირია თეირანის ერთადერთი მოკავშირე სახელმწიფოა. მეამბოხეთა უდიდესი ნაწილი კი სირია-

■ ირანში კი ასადის რეჟიმის გადარჩენა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად ითვლება. ახლო აღმოსავლეთში სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებულ დაპირისპირებაში სირია თეირანის ერთადერთი მოკავშირე სახელმწიფოა. მეამბოხეთა უდიდესი ნაწილი კი სირიაში სუნიტია, ამიტომაც ირანი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევს ასადის რეჟიმს.

ში სუნიტია, ამიტომაც ირანი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევს ასადის რეჟიმს. სამხედრო ექსპერტთა მოსაზრებებით, ირანის სპეცსამსახურები სადაზვერვო ინფორმაციითაც ამარაგებენ სირიის სამთავრობო ძალებს და იარაღსაც აწვდიან. ებრაელი ანალიტიკოსები კი აცხადებენ, რომ განვლილ სამოქალაქო ომს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ირანის ბირთვული პროგრამიდან სირიაზე გადააქვს და თეირანს დროის მოგების საშუალებას აძლევს, რომ ბირთვულ იარაღზე მუშაობა დაასრულოს. შესაბამისად, მათი გათვლით, ასადის დამარცხება არა, მაგრამ სირიაში სისხლისღვრის გაგრძელება ირანის ინტერესებში შედის.

ისრაელს კი, ასადთან დაპირისპირების მიუხედავად, ავტორიტარული, თუმცა განონანსორებული და პროგნოზირებადი რეჟიმი უფრო აწყობს სირიაში, ვიდრე ფუნდამენტური და არაპროგნოზირებადი მუსლიმური საძმო. თუმცა დასავლური ძალების ინტერვენცია სირიაში, ასევე შედის ისრაელის ინტერესებში.

რაც შეეხება აშშ-ს, ობამას ადმინისტრაციას სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ საგარეო პოლიტიკურ იმპოტენციაში. თუმცა ამგვარი შეფასებებით ძირითადად იდეალისტები და მორალისტები შემოიფარგლებიან. რეალურად კი თეთრი სახლის სიფრთხილე სირიასთან მიმართებაში სტრატეგიულ გათვლებს და სახელმწიფო ინტერესებს ეფუძნება. არსებობს რამდენიმე სერიოზული მიზეზი რის გამოც აშშ სირიაში ინტერვენციას თავს არიდებს.

პენტაგონის გათვლებით, სირიელი მეამბოხეებისთვის მხოლოდ საზღვაო-საჰაერო ძალებით დახმარება ასადის რეჟიმის დასამხობად საკმარისი არ იქნება. ამ შემთხვევაში იდეალისტურია ინტერვენციის მომხრეთა მიერ პარალელის გაწვდის ლიბიასთან. კადაფისაგან განსხვავებით, ასადს გააჩნია მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მხარდაჭერა. გარდა ამისა, სირია ლიბიისაგან განსხვავებით არ არის „ერთი კაცის დიქტატურა“ და წარმოადგენს ე.წ. „კლანურ დიქტატურას“, რაც მას გაცილებით რთულად დასამარცხებელს ქმნის. შიიტი რელიგიური ჯგუფი ალავიტები, რომელთა წარმომადგენელი გახლავთ ასადი, სირიის მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს წარმოადგენენ და 50-წლიანი დიქტატურის დროს ძირითადი პოლიტიკური თუ სამხედრო თანამდებობები სწორედ მათ ეკავათ. ალავიტები რეჟიმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევიან. გარდა ამისა, მეამბოხეებში მათდამი დიდი ზიზღის გამო, ასადის დამხობას შესაძლოა „სირიული ბარ-



თლომეს ღამე“ მოჰყვეს (ალავიტების მასობრივი ჟლეტა), ამიტომაც ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძობებენ ასადის რეჟიმის გადასარჩენად.

მმართველი რეჟიმი ათწლეულების განმავლობაში უზრუნველყოფდა სირიის ქრისტიანი და იუდეველი მოსახლეობის უსაფრთხოებას და კეთილდღეობას, ამიტომაც მათი დიდი ნაწილი მხარს დღეს ასადს უჭერს. რეჟიმის გადასარჩენად იბრძვის სუნიტი მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც, რომლებიც წლების განმავლობაში საჯარო სამსახურებში საშუალო და დაბალ რგოლს წარმოადგენდნენ. სამოქალაქო ომის განმავლობაში ბევრი მათგანი ოპოზიციური შენაერთების მხარეზე გადავიდა, მაგრამ უკანასკნელი მონაცემებით, სუნიტთა 20% კვლავ ასადის მომხრედ რჩება. ჯამში მმართველ რეჟიმს მხარს ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40% უჭერს, მათ მხარეზეა კარგად შეიარაღებული და განვრთნილი არმია, ასეთ დროს კი მხოლოდ საჰაერო იერიშებით რეჟიმის დამხობა თითქმის წარმოუდგენელია. კადაფიმაც კი, რომელსაც მხარს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი უჭერდა და საერთაშორისო მხარდაჭერა თი-

თქმის არ გააჩნდა, საჰაერო იერიშებს 6 თვე გაუძლო. ასადს კი კადაფისგან განსხვავებით 3-ჯერ მეტი და უკეთესად შეიარაღებული ჯარისკაცი ჰყავს, თანამედროვე რუსული ანტისაჰაერო სისტემა აქვს, რუსეთის და ირანის საერთაშორისო მხარდაჭერა და უკეთესი გეოპოლიტიკური მდებარეობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საჰაერო იერიშებით ვაშინგტონს და მის მოკავშირეებს გაუჭირდებოდა ასადის რეჟიმის დამხობა. აშშ-ში არსებული ფინანსური კრიზისი და ჯერ კიდევ მძლავრი ე.წ. „ერაყის და ავღანეთის სინდრომი“, რაც გრძელვადიან სამხედრო კონფლიქტში ჩათრევის შიშს უკავშირდება, თეთრ სახლს ფართომასშტაბიანი კამპანიის წარმოების საშუალებას არ აძლევს. რას შეეხება საერთაშორისო არენაზე არსებულ ვითარებას, სირიაში ინტერვენციამ, შესაძლოა, რუსეთი და ირანი საკითხის გარშემო კიდევ უფრო დააახლოვოს, რადგანაც მათი ინტერესები ასადის გადარჩენასთან დაკავშირებით დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, ვაშინგტონის რეპუტაციიდან გამომდინარე ახლო აღმოსავლეთში, ამერიკის კიდევ ერთხელ გამოჩენამ რეგიონში მეამბოხეების

მიმართ კეთილგანწყობილი არაბული ქვეყნებიც კი შესაძლოა დააფრთხოს.

ზემოსხენებული მიზეზებიდან გამომდინარე აშშ სირიასთან მიმართებაში საკმაოდ ფრთხილ პოზიციას იკავებდა. თეთრი სახლიდან „ნითელი ხაზი“ მხოლოდ ქიმიური იარაღის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით გაივლო. 2013 წლის 21 აგვისტოს დამასკოს აღმოსავლეთით მდებარე ლოტას რეგიონში ორ ადგილას ქიმიური იარაღი გამოიყენეს, რასაც 1400 ადამიანის სიცოცხლე შეენირა. ამ შემთხვევამ საერთაშორისო საზოგადოების მიერ თითქმის დინებაზე მიშვებული სირიის სამოქალაქო ომი კვლავ დღის წესრიგში დააყენა. დაუყოვნებლივი ინტერვენციის მოთხოვნით დასავლეთის ბევრ დედაქალაქში გაიმართა აქციები, თუმცა საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი ნაწილი შემთხვევის საფუძვლიან გამოძიებას მოითხოვდა.

ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი 16 სექტემბერს სირიაში გაგზავნილ გაეროს ინსპექტორთა დასკვნის შედეგად დადასტურდა, თუმცა დასკვნაში არაფერია ნათქვამი, თუ რომელმა მხარემ გამოიყენა იგი. 2012 წლის დეკემბერში თეირანმა ინფორმაცია მიანოდა აშშ-ს, რომ ირანული დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაციით სირიაში ქიმიური იარაღი მემბოხებმა შეიტანეს. თუმცა, მაშინ ამერიკელებმა საკითხის ბოლომდე შესასწავლად ირანთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ეს ფაქტი კი აჩენს ეჭვს, რომ ქიმიური შეიარაღება მემბოხეთა არსენალშიც არსებობს. გარდა ამისა, მრავალ ანალიტიკოსს გაუჩნდა შეკითხვა, რაში დასჭირდა ასადს ქიმიური იარაღის გამოყენება მაშინ, როდესაც ეს მის ინტერესებში არანაირად არ შედიოდა და მისი გამოყენების არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა.

საკითხის გარშემო არსებულმა ბუნდოვანებამ კრემლს საშუალება მისცა დასავლეთი მწვავედ გაეკრიტიკებინა. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა საერთაშორისო ტრიბუნებზე რამდენიმეჯერ გაუსვა ხაზი, რომ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მთლიანი პასუხისმგებლობის დამასკოს მთავრობაზე გადატანა და ოპოზიციური ძალების ბრალეულობის გამორიცხვა არასერიოზული და მიუღებელია.

დასავლეთის ქვეყნებშიც კი არ იყო ერთსულოვნება სირიაში ინტერვენციასთან დაკავშირებით. ბრიტანეთში პარლამენტმა სირიის კონფლიქტში საკუთარი სამხედროების მონაწილეობას მხარი არ დაუჭირა, რამაც აშშ მთავარი

■ რაც შეეხება აშშ-ს, ობამას ადმინისტრაციას სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ საგარეო პოლიტიკურ იმპოტენციაში. თუმცა ამგვარი შეფასებებით ძირითადად იდეალისტები და მორალისტები შემოიფარგლებიან. რეალურად კი თეთრი სახლის სიფრთხილე სირიასთან მიმართებაში სტრატეგიულ გათვლებს და სახელმწიფო ინტერესებს ეფუძნება. არსებობს რამდენიმე სერიოზული მიზეზი რის გამოც აშშ სირიაში ინტერვენციას თავს არიდებს.

მოკავშირის გარეშე დატოვა. ნატომაც უარი განაცხადა სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობაზე. „ბებერი კონტინენტიდან“ აშშ-ს მხარდაჭერა მხოლოდ საფრანგეთმა და რამდენიმე აღმოსავლეთევროპულმა ქვეყანამ აღუთქვა. ისრაელმა და კანადამ საკმაოდ ორაზროვანი პოზიცია დაიკავეს. თავად აშშ-ში გამოკითხული მოსახლეობის 60% წინააღმდეგია სირიაში საჭაერო იერიშების განხორციელებისა. ამერიკელთა აზრით, ვაშინგტონის ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია წინააღმდეგობაში მოდის სირიის მემბოხეების მხარდაჭერასთან, რადგანაც მათ მხარეზე, გავრცელებული ინფორმაციით, სხვადასხვა ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფების, მათ შორის ალ-ქაიდას წევრები იბრძვიან. ამერიკელი სენატორი ტედ კრუზი უფრო შორს წავიდა და ობამას მოუწოდა, ამერიკული ავიაცია არ გამოიყენონ, როგორც ალ-ქაიდას საჭაერო ძალები.

შიდა და გარე წნეხმა თეთრი სახლი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააგდო, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროის გასაწელად ობამამ საკითხი განსახილველად კონგრესშიც კი შეიტანა. პარალელურად კი ერთობლივ პრესკონფერენციაზე სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ ალ-მაულენმა და სერგეი ლავროვმა გაახმოვანეს რუსეთ-ირანის მიერ შემუშავებული ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ასადის რეჟიმი მზად არის საკუთარი ქიმიური არსენალი საერთაშორისო კონტროლს დაუქვემდებაროს და 2013 წლის 14 ოქტომბერს ქიმიური იარაღის გამოყენებლობის შესახებ კონვენციასაც კი შეუერთდეს.


საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ასადი რომ ქიმიური იარაღის დათმობას აპირებს, ეს უკვე გამოჩნდა გაეროს ქიმიური იარაღის ამკრძალავი კომისიის 23 სექტემბერს ანგარიშში, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ სირიის მთავრობისაგან მიიღეს სრული ინფორმაცია ქიმიური იარაღის არსენალის შესახებ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შორის ყენევაში სირიის საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და შეერთებული შტატების პოზიციები შეჯერდა, მათი ლიდერები შანს არ უშვებენ ხელიდან, რომ სირიასთან მიმართებაში ერთმანეთის პოზიციები არ გააკრიტიკონ. სირიაში კი მომავლის რეალური სურათი ასეთია: ასადის რეჟიმი საკუთარ მოსახლეობის ამბოხებული ნაწილის ხოცვას ქიმიური იარაღის გარეშე გააგრძელებს. ■

სამხრეთ კავკასიის ხმები



ჰაინრიხ ბიოლის სახელობის ფონდისა და „ლიბერალის“ ერთობლივი, ორენოვანი პროექტის ფარგლებში კავკასიელი ავტორები, მათ შორის აფხაზი და ოსი ჟურნალისტები, ყოველკვირეულად წერენ ჩვენი ჟურნალისათვის. „ლიბერალის“ სტატიები კი რეგიონის რუსულენოვანი აუდიტორიისათვის რუსულ ენაზე ითარგმნება. ორენოვანი სტატიების არქივი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, www.liberali.ge

სტატიები მომზადებულია ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და ბიოლის ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ჟურნალის რედაქციისა და „ბიოლის ფონდის“ პოზიციას.



აფხაზეთი

პიუზიდეტი, ხომეიის ნი უყვანი

დემის პოლანდოვი, რადიო „ეზო კავკასიას“ აფხაზეთი
ბლოკის ხელმძღვანელი, „რადიო თავისუფლება/
თავისუფალი ევროპა“-ს მიმომხილველი

აფხაზური „ცვლილებათა ქარი“ – ასეთი იყო ამ მასალის თავდაპირველი სათაური. ამ გაცვეთილი გამოთქმით იმ განცდათა ერთობლიობის გამოხატვა ვცადე, რომელთაც ჩემში აფხაზეთის ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრება იწვევს. შაბლონური ფრაზა ჟურნალისტიკისთვის ცუდი ტონია, მაგრამ ხანდახან, როცა საქმე იმის შეფასებაზე მიდგება, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება – მაგალითად, სახელდაურქმეველ განცდაზე ლაპარაკი, შეიძლება წინათგრძნობაზე კი – აზრის გადმოსაცემად სწორედ შაბლონებს ვიშვებოთ ხოლმე. თქვენც ხომ გქონიათ განცდა, თითქოს კარს სერიოზული მოვლენებია მომდგარი?

აფხაზეთში დღეს შექმნილ სიტუაციას მშვიდსა და დანყნარებულს, რასაკვირველია, ვერ ვუნდებთ. პირიქით, წლის დასაწყისიდან პოლიტიკური ძალები ბოლოს და ბოლოს გამოვიდნენ კომატოზური მდგომარეობიდან, რომელშიც ჯერ არჩევნებში ალექსანდრე ანქვაზის დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ აღმოჩნდნენ, შემდეგ კი, სულ რამდენიმე თვის მერე კი – ანქვაზზე თავდასხმის გამო. ხალხის ნდობის მანდატის მოპოვება, რასაც ძლიერი მეტოქეების – სერგეი შამბას და რაულ ხაჯიმბას დამარცხება მოასწავებდა, უკვე თავისთავად იყო მომგებიანი კარტი ალექსანდრე ანქვაზის ხელში, მასზე მოწყობილმა თავდასხმამ კი „ხალხის რჩეული“ სულაც „მოუხელთებლის“ შარავანდედით შემოსა. თუმცა, სახალხო მანდატიც და ეს შარავანდედიც თანდათანობით გაილია - ანქვაზის რეიტინგი დღეს უდავოდ ძალზე დაბალია. და მაინც, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს ის უფსკრულის თავზე გამოკიდებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ლოგიკის მოშველიებით ამის დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ განცდა სწორედ ასეთი მაქვს.

იმის ნიშნები, რომ ხელისუფლება ბოლო ხანს შესამჩნევად კარგავს პოპულარობას, ცხადად ჩანს ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს. მაგალითად, ამ თვეში აფხაზეთის დედაქალაქის ე.წ. ახალ რაიონში ჩატარებული დამატებით საპარლამენტო არჩევნები ხელისუფლებისთვის გამანადგურებელი გამოდგა. ხელისუფლება ღიად უჭერდა მხარს ძალზე ძლიერ კანდიდატურას – ირინა აგრბას, ცნობილ მეცნიერსა და სატელევიზიო წამყვანს, მაგრამ, როგორც

ჩანს, ამ მხარდაჭერით მხოლოდ დათუერი სამსახური გაუნია. დამაჯერებელი გამარჯვება ოპოზიციის კანდიდატურამ, აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმის წარმომადგენელმა დაურ არშამ მოიპოვა. არადა, უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაზმა ახალ რაიონში ხმების 60%-ზე მეტი დააგროვა.

ამ შედეგს წინ გარდაუვალი მარცხის არაერთი სიმპტომი უძღვოდა. პირველ რიგში, მასობრივი გამოსვლები ელექტროენერგიაზე ფასების მატების წინააღმდეგ. არანაკლებ მწვავე ატმოსფეროში წყდებოდა საბიუჯეტო სფეროს ხელფასების გაზრდის საკითხი. და, ორივე შემთხვევაში, მტკიცე პოლიტიკოსმა – როგორც ზოგიერთი უნოდებს, „რკინის ალიკმა“, მოქალაქეების ნების გაუთვალისწინებლობა ვერ გაბედა და მთვარობის არაპოპულარული გადაწყვეტილებები უკან გაიწვია.

მერე იყო გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების ქართველთა პასპორტიზაციის სკანდალი. ძნელი წარმოსადგენია აფხაზეთისთვის ამაზე უფრო მტკივნეული თემა. აფხაზები მთლიანობაში კორუფციის მიმართ მეტ შემწყნარებლობას იჩენენ, ვიდრე ომის შემდგომდროინდელი დემოგრაფიული სტატუს კვოს შესაძლო ცვილებისადმი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემაზე მიდგება საქმე.

მომდევნო მსგავსი ეპიზოდი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის, „ერთიანი აფხაზეთის“ ოპოზიციაში გადასვლა გახდა. უცნაურია, მაგრამ ამ დროს გაჩნდა განცდა, რომ საქმის ამგვარად მოტრიალება ანქვაზისთვის მოულოდნელი გამოდგა. ამას მოყვა ყველა სახელმწიფო მოხელისათვის მიცემული მითითება „ერთიანი აფხაზეთის“ დატოვების შესახებ, რაც ამ უკანასკნელმა არა „ინგლისურად“, არამედ დემონსტრაციულად, პარტიული ხელმძღვანელობისთვის საჯარო „მიფურთხებით“ გააკეთეს და რაც, არა მგონია, გონივრულ ნაბიჯად ჩათვალოს – მეტი დაცინვა და მასხრად აგდება სოციალურ ქსელებში ალბათ მხოლოდ ამავე მოხელეების ახალშექმნილ ორგანიზაციაში გადასვლას ხვდა წილად, ორგანიზაციაში, რომელიც ვეტერანთა ორგანიზაცია „ამცახარა“-სგან ნაუცბათევედ შეიქმნა და მისივე სახელწოდება შეერჩა.

უკანასკნელი ექსცესები ახალ რაიონში

■ იმის ნიშნები, რომ ხელისუფლება ბოლო ხანს შესამჩნევად კარგავს პოპულარობას, ცხადად ჩანს ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს. მაგალითად, ამ თვეში აფხაზეთის დედაქალაქის ე.წ. ახალ რაიონში ჩატარებული დამატებით საპარლამენტო არჩევნები ხელისუფლებისთვის გამანადგურებელი გამოდგა.

■ დღეს უკვე ცხადია: ანქვები ლიდერი ვერ გახდა. მისი მმართველობის პირველმა ორმა წელიწადმა ცხადყო, რომ მთავარი, „ნესრიგის დამყარების“ შეპირება ვერ შეასრულა. ანქვების მოღვაწეობა, რომელიც რუსული ფულით დაუსრულებელ მშენებლობასა და ყოველ ორ ნაბიჯზე ახალ-ახალი საფეხბურთო მოედნების მოწყობაში გამოიხატებოდა, ეკონომიკური ეფექტის მხრივ იმდენად აზრსმოკლებული საქმე იყო, ამის მიხედვით არც ერთ გლენს არ გაუჭირდება.

ჩატარებული არჩევნების შემდეგ მოხდა. პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოში აფხაზეთის პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანდა, რასაკვირველია, ზემოხსენებული „ამცახარას“ გარდა. ერთ მაგიდას მიუსხდნენ პოლიტიკოსები, რომელთა ერთად წარმოდგენაც კი ადრე შეუძლებელი ჩანდა. მაგალითად, სახალხო ერთობის ფორუმიდან გამოსული ოპოზიციური საბჭოსა და ორგანიზაცია „ახიაცას“ კავშირი „ერთიან აფხაზეთთან“. თუმცა, ფაქტი, რომ მათ ეკონომიკური განვითარების პარტიაც შეუერთდა – ანუ, ძალა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თავი ცენტრისტულ პარტიად გამოაცხადა, გადაუჭარბებლად შეიძლება მოვლენად ჩაითვალოს: ამ პარტიის ლიდერი ხომ თავად ანქვებმა დანიშნა აფხაზეთის წარმომადგენლად ლათინურ ამერიკაში.

ახალშექმნილი საკოორდინაციო საბჭოს მიზანი, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის სახელმწიფო მოწყობის რეფორმირებისათვის ხელშემწყობი რეკომენდაციების მომზადებაა. მასში გაერთიანებული პოლიტიკოსები არ მალავენ, რომ დღევანდელი საპრეზიდენტო რესპუბლიკა მმართველობის მისაღებ ფორმად არ მიაჩნიათ. და თუ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტის საინფორმაციო სამმართველოს ადვილად შეეძლო, ოპოზიციის მსგავს ინიციატივაზე არცთუ დიპლომატიური ტონით ეპასუხა, დღეს ანქვები იძულებულია განაცხადოს, რომ საბჭოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზად არის. საინფორმაციო სამმართველოს განცხადებაში ამგვარი პასაჟიც კი იყო: „შესაძლოა, აფხაზეთში ზოგიერთი ხელისუფლებასთან ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე ოცნებობდეს, როგორც ეს უკანასკნელ ხანს ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, მაგრამ ამგვარი დაპირისპირებების სავალალო შედეგების გათვალისწინებაც აუცილებელია. ეს ქვეყნები დღემდე სერიოზულ ძვრებს განიცდიან. ალბათ ძნელი არ იქნება იმის წარმოდგენა, რას მოუტანს მსგავსი სცენარი აფხაზეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს. “მაგრამ აფხაზურ პოლიტიკაში მკვეთრი ცვლილებების მოახლოების განცდას ჩემში არც ამ „ჩინოვნიკების“ გაცხადებული შიში ინვესტ რევოლუციების მიმართ, არც ოდესღაც მტკიცე „რკინის ალიკის“ უკანდახევეები და არც

ოპოზიციის კონსოლიდაცია, თანაც მის რიგებში ყოფილი სახელისუფლებო პარტიისა და ცენტრისტების გარევა. საქმე სულ სხვაა – შესაძლოა, ეს უფრო იმის განცდა იყოს, რომ ანქვები აფხაზეთს „არსაით“ მიაქანებს, რომ ამ პოლიტიკას აფხაზეთისადმი განკუთვნილი ხვალისდელი დღის არანაირი ხედვა არ გააჩნია.

და რადგან განცდების სივრცეში შევაბიჯეთ, თავს უფლებას მივცემ, საკუთარი განცდა გაგიზიაროთ. ალექსანდრ ანქვები ჩვეულებრივი აფხაზი ლიდერი არ არის. ისტორიაში ჩალრმავებას არ დავინწყებ, მაგალითად, ნესტორ ლაკობას ფენომენის გაანალიზებას არ შევუდგები, მხოლოდ პრეზიდენტებს შევადარებ ერთმანეთს. ვლადისლავ არძინბა უდავო ეროვნული გმირი და წინამძღვარია აფხაზთა უმეტესობისთვის, იმისდა მიუხედავად, რაც მისი მმართველობის ომის შემდგომ, განსაკუთრებით, მისი მძიმე ავადმყოფობის პერიოდში ხდებოდა. სერგეი ბალაფში წარმოსადგეი (კავკასიაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს) პოლიტიკოსი იყო, რომელმაც, სხვა დანარჩენთან ერთად, კონტროლისა და ბალანსის სწორი სისტემის შექმნა მოახერხა. ესეც რომ არა, აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა მის დროს აღიარა. ეჭვგარეშეა: ანქვები აფხაზეთის ერთდერთი პრეზიდენტია, რომელიც ხალხს არ უყვარს.

თავიდანვე ასე იყო. ანქვების არჩევა მოსალოდნელი მხოლოდ მისი ოპონენტების მრავალი შეცდომის გამო მეჩვენებოდა, მაგრამ ვალიარებ, პირველ ტურში მის გამარჯვებას მაინც არ მოველოდი. ამომრჩეველი ანქვებს არც ნამდვილ ლიდერად აღიქვამდა, არც „ერთ კარგ და წესიერ კაცად“ თვლიდა. ანქვები მისთვის ერთი საბჭოთა მილიციონერი იყო, რომელიც ხალხს „ჩასასმელების“ ჩასმას ჰპირდებოდა. „მტკიცე ხელის“ და წესრიგის მოთხოვნილება ხალხში იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ამომრჩეველმა მას „უბრალოდ“ ხმა მისცა – განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე და არაერთი წართქმით.

დღეს უკვე ცხადია: ანქვები ლიდერი ვერ გახდა. მისი მმართველობის პირველმა ორმა წელიწადმა ცხადყო, რომ მთავარი, „ნესრიგის დამყარების“ შეპირება ვერ შეასრულა. ანქვების მოღვაწეობა, რომელიც რუსული ფულით დაუსრულებელ მშენებლობასა და ყოველ ორ ნაბიჯზე ახალ-ახალი სა-

ფეხბურთო მოედნების მონყობაში გამოიხატებოდა, ეკონომიკური ეფექტის მხრივ იმდენად აზრსმოკლებული საქმე იყო, ამის მიხედვით არც ერთ გლესს არ გაუჭირდება. პოლიტიკური ალლო ახლანდელ აფხაზ ლიდერს აშკარად ლალატობს – ძალიან უნდა მოინდომო, რომ შენს წინააღმდეგ განაწყო ლამის ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალა, იმ საერთო კონფორმიზმის ფონზე, რომლითაც მრავალრიცხოვან მეზობლებთან შედგარი საზოგადოება ტრადიციულად გამოირჩევა.

რასაკვირველია, გარკვეულ მომენტამდე ამ ყველაფრის პატიება შეიძლებოდა, აპა-

ტიებდნენ კიდევ – ნებისმიერ პრეზიდენტს, რომელსაც პოზიტიური ქარიზმა მაინც ექნებოდა. ბოლოს და ბოლოს, მისი არჩევის მომენტიდან ჯერ ორი წელიც არაა გასული. როგორც ლიდერს, მას რესურსების სოლიდური ჩამონათვალი გააჩნია, თან აფხაზური საზოგადოება ნებისმიერ შინაგან დაპირისპირებას დიდი სიფრთხილით ეკიდება. ამიტომ რომელიმე სხვა პრეზიდენტს ბევრ რამეზე თვალს წაუხუჭავდნენ, ოლონდ, ასეთი განცდა მაცხს, არა ალექსანდრე ანქვაბს. **□**

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 18.09.2013

„გებრიუდერ ვაისმა“ საქართველოში ახალი, პრემიუმ კლასის ლოგისტიკური ჰაბი გახსნა

ახალი ობიექტის ანალოგი სამხრეთ კავკასიაში არ არსებობს

სატრანსპორტო და ლოგისტიკურმა ავსტრიულმა კომპანია „გებრიუდერ ვაისმა“ საქართველოში ახალი, პრემიუმ კლასის ლოგისტიკური ჰაბი გახსნა. „გებრიუდერ ვაისმა“ ქართულ ბაზარზე ოპერირება ერთი წლის წინ დაიწყო და რეგიონალური საწარმო „Gebruder Weiss LLC“ დააფუძნა. იგი რეგიონში საამანათო, მათ შორის, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტვირთების გადაზიდვასა და სხვა ლოგისტიკური სერვისებით მომსახურებას უზრუნველყოფს.

ახალი ლოგისტიკური ცენტრი უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს, აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებითა და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. ქართულ ბაზარზე შემოსვლით კომპანია კიდევ უფრო აძლიერებს რეგიონულ ორგანიზაციას და ავითარებს ბიზნესს კავკასიის რეგიონშიც.

„გებრიუდერ ვაისი“ ტერმინალები მსოფლიოს 162 წერტილშია წარმოდგენილი. საქართველოს შერჩევა დადებითი ეკონომიური კლიმატისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული, გეოეკონომიკური მდებარეობის გათვალისწინებით მოხდა. ახალი ობიექტის ანალოგი სამხრეთ კავკასიაში არ არსებობს. იგი კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პლატფორმა გახდება, რომელიც სომხეთს, აზერბაიჯანსა და აზიის ქვეყნებს ერთმანეთთან დააკავშირებს, – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა საქართველოში ალექსანდრე ხარლამოვმა.

„ჩვენ მზად ვართ ვემსახუროთ ჩვენს პარტნიორებს! ჩვენ მზად ვართ ვემსახუროთ საქართველოს! ჩვენ მზად ვართ ვემსახუროთ ევროპას და აზიას!“

ქვეყანაში გამართული ლოგისტიკის აუცილებლობასა და მის მნიშვნელობაზე საუბრობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი:

„მსოფლიოში ცნობილმა კომპანიამ რეგიონულ ცენტრად საქართველო აირჩია და ეს ძალიან მისასალმებელია. მიმაჩნია, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პოტენციალის განვითარებას. იგი უზრუნველყოფს გაზიდვებს ევროპიდან საქართველოს გავლით, რომელიც ევროპაში და სხვა ქვეყნებში გასასვლელად გარკვეულ ჭიმკარს წარმოადგენს“.



რეგიონალური განვითარების მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით კი, საქართველოში ლოგისტიკურ ცენტრებზე მოთხოვნა არსებობს. მისი თქმით, „გებრიუდერ ვაისი“ სხვა ლოგისტიკურ კომპანიებს ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს და ამით დარეგულირდება გადაზიდვების ფასი და ხარისხი. მინისტრი მიიჩნევს, რომ რეგიონული ცენტრის მშენებლობა ადამიანთა დასაქმებასა და სტრატეგიულ პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„გებრიუდერ ვაისი“ 5 საუკუნის განმავლობაში ვაისების ოჯახის საკუთრებაში მყოფი ოჯახური ფირმაა. კომპანიის ბრუნვა მილიარდ ევროს აჭარბებს და ევროპის წამყვანი სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებში ლიდერის პოზიციებზეა. „გებრიუდერ ვაისის“ საქმიანობის ძირითად სფეროს სახმელეთო ტრანსპორტი, საზღვაო და საჰაერო ტვირთების გადაზიდვა და ლოგისტიკა წარმოადგენს. კომპანიის საკუთრებაშია 162 ფილიალი ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, ხორვატიაში, სერბეთში, რუმინეთში, აშშ-ში, იაპონიაში და სხვა.

ძირითადი საქმიანობის გარდა, კომპანია და „Gebruder Weiss Holding AG“-ის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული მისი ფილიალები მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობენ მომხმარებელს. ეს კი შესაძლებლობას იძლევა, სწრაფად და მოქნილად დაკმაყოფილდეს მომხმარებლის საჭიროებები.

სამხრეთი ოსეთი

სხინვანის სახიძორო შემახთაზ მისი ჰოზისნიზის შესუსტებითა ბაზონვანი

ვალერი ძუცევი, კავკასიის საკითხების ანალიტიკოსი



ივლისის ბოლო დღეები სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის ხმამაღალი განცხადებების სერიით აღინიშნა. ცხინვალში 24 ივლისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე რესპუბლიკის მეთაურმა გულახდილად განაცხადა: „თუ სამხრეთ ოსეთი მისი მოქალაქეების სურვილით რუსეთს მიუერთდება და ოსების ნანატრი გაერთიანება მოხდება, ჩემს საპრეზიდენტო მისიას შესრულებულად ჩავთვლი“. თიბილოვი იმას გულისხმობდა, რომ სამხრეთ ოსეთის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის მკვიდრთ ჩრდილოეთ ოსეთში, ანუ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრების საშუალებას მისცემს. ამავე დღეს, რუსული გამოცემა РБК-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან ერთი ხელის მოსმით უარყო საქართველოში ხელისუფლების ცვლის შემდეგ ოფიციალურ თბილისთან ურთიერთობის გაუმჯობესების ნებისმიერი შესაძლებლობა. „ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ დღეს არც საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასთან, არც ზოგადად, საქართველოსთან

არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს და არც შეიძლება გვექონდეს“, - თქვა სამხრეთ ოსეთის ლიდერმა. 29 ივლისს თიბილოვმა კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მისი მუშაობის მეთოდებს, საკუთარ ხელქვეითებს კი დაავალა, საფუძვლიანად შეამოწმონ, აუცილებელია თუ არა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ მისიის ფუნქციონირება. კომიტეტზე მიტანილი იერიშის მიზეზი რესპუბლიკის მოქალაქეების საქართველოში სამკურნალოდ გაყვანა და გავრცელებული ხმები გახდა, თითქოს ამ პაციენტებს აიძულებდნენ, საქართველოს მოქალაქეობა მიეღოთ. იმავდროულად, თიბილოვმა განაცხადა, რომ ყველანაირად ხელს შეუშლის „აგრესიული ისლამის შემოჭრას“ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამას გარდა, სრულიად მოულოდნელად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა რუსეთის იმ კამპანიას შეუერთდა, რომელიც სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის იღვწის.

თიბილოვის მიერ ნახსენებ თემათა სიჭრელის მიუხედავად, მათი გამაერთიანებელი ხაზის ამოცნობა მაინც შესაძლებელი იყო: რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ გაკეთებული რევერანსები და ქართულ მხარესთან ნებისმიერი ურთიერთქმედების ხაზგასმული უარყოფა. რესპუბლიკის ლიდერის ეს მჭახე განცხადებები მით უფრო გაუგებარი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას ბოლო ხანს სამხრეთ ოსეთის მიმართ არც ერთი გამოკვეთილი ნაბიჯი არ გადაუდგამს. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის ესკაპადები იმ მოტივებით იყო განპირობებული, რომელთაც რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლასთან, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარებასთან თუ წითელი ჯვრის ქმედებებთან საერთო არაფერი აქვს.

ცხინვალის საქართველოსა და რუსეთის დაახლოების მცდელობებს თვალს ადევნებს და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაში ნევროზულობა მატულობს. მასმედიის დაინტერესებულ საშუალებებს არც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსკოვში ვიზიტი გამოპარვია ივლისის ბოლოს და არც მის მიერ ვლადიმერ პუტინის ბუნდოვანი დაპირების ხსენება, თითქოს პუტინი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში დევნილების დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

ამგვარი შეპირების სათუოობისა და რუსეთ-საქართველოს დაახლოების ერთობ საეჭვო პერსპექტივის მიუხედავად, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა შესამჩნევად შეშფოთებულია.

მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობებში პოზიტიური გარდატეხა რომ მომხდარიყო, ცხინვალს, პოლიტიკური თვალსაზრისით, წყალი შეუდგებოდა და დაახლოებით იმ მდგომარეობას დაბრუნდებოდა, როგორც 2008 წლის ომამდე და იმავე წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აღიარებამდე ჰქონდა. უკეთეს შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის პოზიციები ამ დაახლოების შემთხვევაში ნამდვილად არ გაძლიერდებოდა, თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად რეალური იქნებოდა რუსეთის მიერ საკუთარი აღიარების „განვევა“. აშკარაა, რომ მოსკოვი, ამ თვალსაზრისით, გარკვეული ვალდებულებებითაა ხელ-ფეხშეკრული, რომლებიც მხოლოდ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ლიდერების ქცევაზე არაა დამოკიდებული. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა საკუთარი მწირი შესაძლებლობებით ცდილობს რუსეთის ხელმძღვანელობას მანევრირების ველი შეუვიწროვოს, რათა მან რესპუბლიკის „ღალატი“ ვერ მოახერხოს. აქედან მომდინარეობს განცხადება სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლის თაობაზე, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე ზრუნვის შესახებ და სხვა.

РБК-ს ჟურნალისტის კითხვაზე საქართველოსთან შესაძლო შერიგების პირობების შესახებ, ლეონიდ თიბილოვა განაცხადა: „სანამ საქართველოს ხელისუფლება ოსი ხალხის გენოციდის ფაქტს არ აღიარებს, არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ჩვენს ხალხს სამხედრო ოპერაციის დროს მიყე-

ნებულ ზარალს არ აუნაზღაურებს, ჩვენი სახელმწიფოს მიმართ ძალის გამოყენებლობის შესახებ შეთანხმებას ხელს არ მოაწერს, საქართველოსთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა გამორცხულია“. გასაგებია, რომ ეს მოლაპარაკების პოზიცია არ არის - ეს პირნმინდად კონფრონტაციული, ნებისმიერი შესაძლო შეთანხმების ჩასაშლელად გამიზნული პოზიციაა.

საინტერესოა, რომ ცხინვალისა და მოსკოვის პოზიციებს შორის პრაქტიკულად არანაირი კორელაცია არ არსებობს. ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის მოსვლის შემდეგ რუსეთისაგან დროდადრო გაცილებით უფრო მშვიდობიანი მოსაზრებები გაისმის. თუ სააკაშვილი საბოლოოდ წავა პოლიტიკური არენიდან და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი მოსკოვისთვის ნაკლებად გამაღიზიანებელი ფიგურა გახდება, ცხინვალის პოლიტიკური ინტერესები შეიძლება უფრო დაზარალდეს.

ცხინვალის პოზიციის გამკაცრება საქართველოს მიმართ ერთი მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ცხინვალში ეჭვქვეშ დგას რუსეთის შეპირება, თითქოს იგი არასდროს გაინვესტის მის მიერ რესპუბლიკის აღიარებას, მეორე მხრივ კი, თვალსაჩინოდ ასახავს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისადმი ანგარიშგაუნწევლობას, როცა საქმე საქართველოს ეხება. აშკარაა, რომ რთულ დიპლომატიურ თამაშში სამხრეთ ოსეთს სტატისტიკის როლი აქვს მიკუთვნებული, რომელიც ისე უნდა მოიქცეს, როგორც მოსკოვიდან დაავალდებენ. ძნელი წარმოსადგენია, სამხრეთ ოსეთი უცებ „აუჯანყდეს“ რუსეთს – მოსკოვთან კონფრონტაციის მაგიერ, რესპუბლიკის ლიდერებს მოსკოვთან „მიტმანვის“ პოლიტიკა აქვთ არჩეული, რათა მისი მხრიდან არამეგობრული ქმედებები ამის ხარჯზე მაინც არ დაუშვან. რაკი რეგიონში ვითარება ერთობ დინამიურად ვითარდება, შეიძლება საკმაოდ დაინტერესებით ითქვას, რომ მოსკოვი-თბილისი-ცხინვალის სამკუთხედში პოლიტიკური მოთამაშეების როლები უახლოეს თვეებში შესამჩნევ ტრანსფორმაციას განიცდის. ■

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 07.08.2013

■ მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობებში პოზიტიური გარდატეხა რომ მომხდარიყო, ცხინვალს, პოლიტიკური თვალსაზრისით, წყალი შეუდგებოდა და დაახლოებით იმ მდგომარეობას დაბრუნდებოდა, როგორც 2008 წლის ომამდე და იმავე წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აღიარებამდე ჰქონდა. უკეთეს შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის პოზიციები ამ დაახლოების შემთხვევაში ნამდვილად არ გაძლიერდებოდა.

სამხრეთი ოსეთი

მსიხა სასაზღვრო ჰიობლემის დიდი ეფექტი

ვალერი ძუცევი, კავკასიის საკითხების ანალიტიკოსი

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვრის ცალმხრივ დელიმიტიზაციას ამ უკანასკნელის მხრიდან ქართულ საზოგადოებაში და სამთავრობო წრეებში დიდი შეშფოთება მოჰყვა. ოფიციალური თბილისი ამ გამყოფ ხაზს ადმინისტრაციულ საზღვრად მიიჩნევს, ცხინვალის ხელისუფლება კი – სახელმწიფოთა შორის საზღვრად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ მხარეს შორის მომხდარი შეირაღებული კონფლიქტიდან ხუთი წელიწადი გადის, ბუნებრივია, სტატუს-კვოს ნებისმიერი ცვლა საქართველოში მტკივნეულ რეაქციას იწვევს. დიციის და დვანის მიდამოებში ეკლიანი მავთულხლართების ზოლის გადმოტანა და შესაბამისი დავის წამოჭრა ბევრმა ქართველმა დამკვირვებელმა ოფიციალური მოსკოვის მცდელობად შეაფასა. მათი აზრით, რუსეთს სურს ზენოლა მოახდინოს თბილისზე და ასე დაიყოლიოს ის ახალ დათმობებზე, მათ შორის იმაზეც, რომ პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთიდან რუსეთზე გადმოატანინოს.

რუსეთი მართლაც ყველა ღონეს ხმარობს, რომ თბილისს მოსკოვისადმი მაქსიმალურად ლოიალურად განწყობილი ხელისუფლება ჰყავდეს, ამის უარყოფა მართლაც გაჭირდება. 11 ივნისს როგორც საქართველოს, ისე დასავლეთის მიმართ უჩვეულოდ კეთილგანწყობილმა პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოსა და



რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას, შესაძლოა, მართლაც შეეტანა წვლილი საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზის გაუქმების საქმეში.

ნიშნავს თუ არა პუტინის განცხადება იმას, თითქოს თავის დროზე რუსულმა მხარემ საქართველოს სავიზო რეჟიმი იმიტომ დაუნესა, რომ მასა და რუსეთის ორგანოებს შორის თანამშრომლობა არ არსებობდა? რასაკვირველია, არა. პუტინის პირით გამოთქმულმა წინადადებამ „თანამშრომლობის“ შესახებ შეფარულ მცდელო-



ფოტო: შიოკაი გიგაია

ბად უფრო გაიჟღერა. მას სურს ძალოვანი სამინისტროების გარკვეულ თანამდებობებზე საქართველოს რუსეთისთვის სასურველი პირების დანიშვნა გადაწყვეტინოს – დაახლოებით ისე, როგორც ეს ედუარდ შევარდნაძისდროინდელ საქართველოში იყო. ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთისთვის არ არის საკმარისი საქართველოს მხრიდან მხოლოდ სიმბოლური ჟესტების კეთება – სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება, ან თუნდაც რუსული ენის პოპოულარიზაციისთვის დაბრკოლებების მოხსნა.

მოსკოვს სურს, საქართველოს ნატოში განწევრიანების გეგმებზე უარი ათქმევინოს. ამ რეალობის დასაფიქსირებლად ქვეყნის მთავრობაში პრორუსული ფიგურების დანიშვნა ძალზე შესაფერისი რამ იქნებოდა. თუმცა, საქართველო-სამხრეთ ოსეთის ნახევრადოფიციალურ საზღვარზე გამწვავებულ მდგომარეობას სხვა, უფრო მარტივი ახსნაც მოეძებნება. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობა ხელს არ აძლევს. ცხინვალში შეშფოთებით ადევნებენ თვალს ქართული პროდუქციის და-


■ მოსკოვსა და ცხინვალს შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს სამხრეთ ოსეთის საკადრო საკითხების გარშემო. რაკი ცხინვალის პოზიციებს არ თმობს, მოსკოვი ცდილობს მსუბუქი ზენოლა მოახდინოს რესპუბლიკის ხელისუფლებაზე.

ბრუნებას რუსეთის ბაზარზე, ზოგადად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამოცოცხლებას. ცხადია, რომ სამხრეთ ოსეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის არსებობა რუსეთის მიერ მის აღიარებას და მხარდაჭერას ეფუძნება. რუსეთმა რომ მოულოდნელად უარი თქვას ხუთი წლის წინანადელ აღიარებაზე, სამხრეთ ოსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. საზღვრის ხაზთან დაკავშირებული გართულებები, შესაძლოა, ამ მოსალოდნელი დათბობის გამო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების რეაქცია იყოს. სამხრეთ ოსეთის ზემოქმედების ხერხები ძალიან მწირია საიმისოდ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დინამიკაზე რაიმე გავლენა მოახდინოს. საზღვართან დაკავშირებული საკითხები სწორედ ასეთ მექანიზმებს განეკუთვნება.

მეორე მხრივ, ბოლო დროს სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ურთიერთობის გამოც არაერთი კითხვა ჩნდება. ივნისის დასაწყისში რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრი, იგორ სლიუნიაევი სამხრეთ ოსეთს ვიზიტით ეწვია. რესპუბლიკის ხელისუფლების საინფორმაციო რესურსი WWW.cominf.org ოპტიმიზმით იუწყებოდა: „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ხუთი წლის თავზე ჩვენი რესპუბლიკის ხალხი საჩუქრად გარკვეულ ობიექტებს, სამუშაო ადგილებს და ქვეყნის მართვასთან დაკავშირებულ გონივრულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.“ რუსეთის რეგიონული განვითარების სამინისტროს საიტმა გაცვილებით მეტი თავშეკავება გამოიჩინა: „ყოველი რუბლი, რომელიც რესპუბლიკის საგზაო ობიექტებისთვის, სოციალური თუ სხვა საჭიროებებისთვის გამოიყოფა, მაქსიმალური ეფექტურობით უნდა დაიხარჯოს.“ რუსული უწყების საიტზე ინფორმაცია ბევრად უფრო დეტალური იყო და იუწყებოდა, რომ სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამა 47 ობიექტს და ლონისძიებას მოიცავს, რისთვისაც მთლიანობაში 8 მლრდ. რუსულ რუბლზე მეტია (დაახლოებით 270 მილიონი ამერიკული დოლარი) გამოყოფილი. თუმცა ამასთან 7,5 მლრდ. რუბლი რესპუბლიკას ჯერ კიდევ 2011 – 2012 წლებში გამოეყო, ხოლო 2013 წლისთვის მხოლოდ 1 მლრდ. რუბლის გამოყოფა დაგეგმილი. მეტიც, რუსული სამინისტროს ინფორმაციით, „მიმდინარე წელს რესპუბლიკაში ფულადი სახსრები ჯერ არ შემოდინებულა. ამის მიზეზია სამხრეთ ოსეთის მიერ რუსული დახმარების თანხების გამოყენებასთან დაკავშირებული ორმხრივი რეგლამენტით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების დარეგულირების აუცილებლობა. რუსეთის რეგიონალური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელი მზად არის ოპერატიულად მოხსნას საინვესტიციო პროგრამის ფინანსირების ხელახალი დაბრკოლებები (სტილი შენარჩუნებულია).“

თუ ამ ბიუროკრატიულ ევფემიზმს გულდასმით ნავიკითხავთ, გასაგები გახდება, რომ რფ-ს რეგიონალური განვითარების სამინისტროს პრესრელიზი ადასტურებს არაოფიციალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მოსკოვსა და ცხინვალს შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს სამხრეთ ოსეთის საკადრო საკითხების გარშემო. რაკი ცხინვალის პოზიციებს არ თმობს, მოსკოვი ახლა ცდილობს მსუბუქი ზენოლა მოახდინოს რესპუბლიკის ხელისუფლებაზე. საინვესტიციო პროგრამის ფინანსირების „დროებით შეჩერება“ სწორედ საამისო ბერკეტია. საგვებით შესაძლებელია, რომ სამხრეთ ოსეთში ამგვარი წნეხის ამუშავებას რუსულ-ქართული ურთიერთობის დათბობას მიაწვდენ. ამიტომ, სავარაუდოდ ცხინვალის გააგრძელებს ზენოლის იმ ხერხების მცირე დოზით გამოყენებას, რომლებიც, როგორც ვთქვით, მის ხელთაა. ეს კი ხელს შეუწყობს რუსულ-ქართული ისედაც დაძაბული ურთიერთობების განუმუხტაობას.

ნაკლებ საფიქრებელია, რომ მოსკოვს ერთდროულად სურდეს სამხრეთ ოსეთთან და საქართველოსთან ურთიერთობების დაძაბვა. საქმე, ალბათ, უფრო იმ რეალობასთან გვაქვს, როცა არსებული უთანხმოებისა და ურთიერთუნდობლობის პირობებში (რაც, უმეტეს შემთხვევაში, საფუძვლიანია), ყოველი ინციდენტი დაუყოვნებლივ დიდ პრობლემად იქცევა-ხოლმე, რომელსაც შემდეგ მრავალგვარი ინტერპრეტაცია უკეთდება. ეს კი ხელს უწყობს იმას, რომ დაპირსპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობა ახლანდელ, ძალზე არადაამაკმაყოფილებელ დონეს ვერა და ვერ სცდება. 

ნაკლებ საფიქრებელია, რომ მოსკოვს ერთდროულად სურდეს სამხრეთ ოსეთთან და საქართველოსთან ურთიერთობების დაძაბვა. საქმე, ალბათ, უფრო იმ რეალობასთან გვაქვს, როცა არსებული უთანხმოებისა და ურთიერთუნდობლობის პირობებში (რაც, უმეტეს შემთხვევაში, საფუძვლიანია), ყოველი ინციდენტი დაუყოვნებლივ დიდ პრობლემად იქცევა-ხოლმე, რომელსაც შემდეგ მრავალგვარი ინტერპრეტაცია უკეთდება. ეს კი ხელს უწყობს იმას, რომ დაპირსპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობა ახლანდელ, ძალზე არადაამაკმაყოფილებელ დონეს ვერა და ვერ სცდება. 

გამოქვეყნებულია www.liberali.ge-ზე, 21.06.2013

■ **ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთისთვის არ არის საკმარისი საქართველოს მხრიდან მხოლოდ სიმბოლური ყესტების კეთება – სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება, ან თუნდაც რუსული ენის პოპულარიზაციისთვის დაბრკოლებების მოხსნა. მოსკოვს სურს, საქართველოს ნატოში გაწევრიანების გეგმებზე უარი ათქმევინოს. ამ რეალობის დასაფიქსირებლად ქვეყნის მთავრობაში პრორუსული ფიგურების დანიშვნა ძალზე შესაფერისი რამ იქნებოდა.**



სომხეთი

ბუნდუხუც თანასწორობას სოლომისა და ბოზოხისხან მიჰყავს?

კარინა ასატრიანი

სომხეთის რესპუბლიკის კანონი „მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ დღევანდელი სახით მხოლოდ ერთი-ორი თვე იარსებებს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა კანონს ხელი 2013 წლის 11 ივნისს მოაწერა, ეროვნული კრების უახლოეს სესიაზე კი, საზოგადოებრივი პროტესტის გათვალისწინებით, მასში ცვლილებებს შეიტანენ.

პროტესტის ტალღა კანონში შეტანილმა იმ განსაზღვრებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც „გენდერი სხვადასხვა სქესის პირთა შექმნილი ან სოციალურად დამკვიდრებული ქცევაა, მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობის სოციალური მდგომარეობა, რომელიც

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გამოიხატება“.

საზოგადოების წარმომადგენლები სწორედ სიტყვა „შექმნილი“ გააბრაზა და შეაშფოთა. მათი პროტესტი იმ წარმოდგენას ეფუძნება, თითქოს ეს სიტყვა სქესის საკუთარი სურვილსამებრ არჩევას ეფუძნებოდეს და ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ იყოს მიმართული.

„რა არის ეს, თუ არა გარყვნილი აზროვნება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ღირებულებათა ეროვნული სისტემა, ხოლო კატასტროფული მაგალითები ჯერ არ გაგვაჩნია, მაგრამ მთელ მსოფლიოში ყველასთვის ცნობილია, რომ გენდერის შესახებ კანონის ამნაირი კანონის მიღების უკან სხვანაირი კანონების მიღების

პერსპექტივა დგას: ესენია კანონი ჰომოსექსუალიზმის შესახებ, კანონი სისხლის აღრევის შესახებ. ჩვენ ასეთი რამეების წინააღმდეგ ვიბრძვი“, – აცხადებს პუბლიცისტი ლია ავეტისიანი, რომელიც ახალი კანონის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს შეუერთდა.

„არსებობენ ქალები, და არსებობენ მამაკაცები. რატომაა კანონში გამოყენებული სიტყვა „გენდერი“? – კითხულობს ლია ავეტისიანი.

მას ეთანხმება პარტიის „ქრისტიანულ-ხალხური აღორძინება“ თავმჯდომარე სოს გიმიშიანი და კანონს სამარცხვინოს უწოდებს. ისიც დარწმუნებულია, რომ კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მისაღწევად სულაც არაა ჩაფიქრებული.

სოს გიმიშიანი თვლის, რომ ამ კანონის მიზანი გარყვნილების დამკვიდრებაა. „ჩვენში ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას მკაფიო პოზიცია აქვს ამ მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს, ამგვარი გადახრის (გიმიშიანი ამ სიტყვაში არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას გულისხმობს) მქონე ადამიანები მაინც დაცულნი არიან. ასეთი ადამიანები არიან ეროვნულ კრებაშიც, მთავრობაშიც, პრეზიდენტის რეზიდენციაშიც, და თითქოს პრობლემა არც ერთ მათგანს ექმნება“, – აცხადებს სოს გიმიშიანი.

ეროვნული კრების ვიცე-სპიკერი ელინე ნაგდალიანი ღიზიანდება, როცა კანონის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ესმის, განსაკუთრებით კი იმის გამო ბრაზობს, რომ მისი მონაწილეობის აცხადებენ, თითქოს კანონი გასაიდუმლოებით იქნა მიღებული. პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ის მკითხველს ახსენებს, რომ კანონმა „მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ მიღებამდე დიდი გზა გაიარა.

კანონის იდეა პარტიას „ორინაც ერკირ“ ეკუთვნის და ის ძველი პარლამენტის სხდომის პირველივე კითხვაზე გავიდა. იგივე მოხდა მეორე და მესამე კითხვაზეც, შემდეგ საბოლოო ვარიანტი იქნა განხილული, ხოლო მიღებით ახლანდელმა პარლამენტმა მიიღო 2013 წლის 20 მაისს. ნაგდალიანის თქმით, თითოეული კითხვის დროს განხილვას ყველა ფრაქციის დეპუტატები ესწრებოდნენ.

„ჩვენს საზოგადოებაში შეინიშნებოდა ბრძოლა გენდერული თანასწორობის იდეის წინააღმდეგ და ეს წინააღმდეგობა ძალიან საგრძნობი იყო. სხვადასხვა ადგილას დღემდე შეიძლება ამგვარი აზროვნების ადამიანების

ნახვა. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ის მამაკაცები ჩაერთნენ, რომლებიც სტერეოტიპების ტყვეობაში იმყოფებიან და რომლებიც საკუთარ ცოლებზე „ძალაუფლების დაკარგვას“ უფრთხიან, ან დაგულეული „თბილი“ ადგილების დაკარგვა ეშინიათ“, პასუხობს კრიტიკას სახალხო კრების ვიცე-სპიკერი.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, თეოლოგ ვარდან ხაჩატრიანს რამდენიმე მაგალითი მოაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ფორმულირება „სოციალურად დამკვიდრებული, შექნილი ქცევა“ ზოგიერთი ჯგუფის ადამიანებს კანონი უსაფუძვლო დაცვით უზრუნველყოფს.

„გამოდის, რომ თუ გამოვალ, განვაცხადებ, რომ ქალი ვარ და შესაბამის ქცევასაც ავირჩევ, არავის ჰქონია ჯარში ჩემი წაყვანის უფლება“, – ამბობს ის და დასძენს, რომ ამ პუნქტის გამო ადამიანები ტრადიციულ ღირებულებებს დასცილდებიან და ზოგიერთი პრივილეგიის მისაღებად ისე მოიქცევიან, რომ კანონით იქნან დაცულნი. კანონის „მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ გამო ატეხილ ხმაურს შრომის და სოციალური საკითხების მინისტრის მოადგილე ფილარეტ ბერიკიანი კანონის არასწორ ინტერპრეტაციას მიანერს.

„ამ კანონის მიზანი ის კი არაა, საზოგადოების სხვადასხვა ფენები ერთმანეთს დააშოროს – პირიქით, მათ გაერთიანებას უნდა შეინწყოს ხელი“, – აღნიშნავს მინისტრის მოადგილე.

კანონში გამოყენებულ ტერმინს „გენდერი“ ის სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევს. მისი თქმით, ეს პროფესიონალური, ნორმალური, კლასიკური განსაზღვრებაა. მინისტრის მოადგილის აზრით, გენდერის ტერმინოლოგიას სქესის შეცვლასთან არაფერი აქვს საერთო. მეტიც, ის არ ეთანხმება განცხადებებს, რომ კანონის მიღება საზოგადოების მორალზე უარყოფითად აისახება. იგი აღნიშნავს, რომ სამინისტრომ, კრიტიკის უსაფუძვლობის მიუხედავად, მაინც მიიღო დავალება, შეცვალოს კანონში გამოყენებული ფორმულირება, რომელმაც ამოდენა უკმაყოფილება და გაკიცხვა გამოიწვია.

„ჩვენ უკვე ვემზადებით საშემოდგომო სესიაზე ფორმულირების შესაცვლელად. გადაწყდა, რომ მიღებული იქნება საზოგადოებისათვის მისაღები ვარიანტი,“ – აღნიშნა ბერიკიანმა.

საინტერესოა, რომ გენდერის საკამათო გაგება, რომელიც ფორმულირებაში „შექნი-

■ **კანონის მიღების საჭიროება იმ ვალდებულებებიდან მომდინარეობს, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკას მის მიერ ხელმოწერილი სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით აკისრია.**

ლი, სოციალურად დამკვიდრებული ქცევა“ არის ჩადებული, კანონის ყველა პროექტში არსებობდა, პირველიდან უკანასკნელ კითხვამდე. კენჭისყრის დროს კანონის წინააღმდეგ 108 ხმიდან მხოლოდ ერთმა დეპუტატმა მისცა ხმა, რვამ თავი შეიკავა, თუმცა იმ დეპუტატებმა, რომლებმაც ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს, საკუთარი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთეს:

„ჩვენ ვამბობთ, რომ კანონი „მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ სერიოზულ მექანიზმებს უნდა შეიცავდეს საიმისოდ, რომ ეს უფლება განხორციელდებოდეს იყო, და მხოლოდ ქალაქში არ დარჩეს“, - განაცხადა კანონის განხილვის დაწყებამდე დეპუტატმა არცეიქ მინიასიანმა. ფრაქცია „მემკვიდრეობის“ მდივანი ზარუი პოსტანჯიანი ერთადერთი დეპუტატი ქალია, რომელმაც ხმა კანონის სასარგებლოდ კი არ მისცა, არამედ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა, რაც ასე ახსნა: „კანონის „მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ პროექტი ბევრი საკითხის გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა.“


სხვათა შორის, საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის საკითხში მნიშვნელოვანი როლი

ითამაშა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის პოზიციამ.

„ადამიანი მამაკაცად ან ქალად ბუნებისა და ღვთის ნებით იბადება და აზრი, თითქოს წლების განმავლობაში საკუთარი სურვილით შეუძლია ამის შეცვლა, - ანუ, იმის წარმოდგენა, რომ ქალი მამაკაცით შეიძლება იქცეოდეს, მამაკაცი კი - ქალივით, აბსურდია,“ - განაცხადა წმინდა ერმიადინის კანცელარიის ხელმძღვანელმა, ბერმონაზონმა შაგე ანანიანმა.

წმინდა სარქისის (არღვანდი) ეკლესიის პასტორი, მამა გრიგორი კანონის მიღების შემთხვევაში უფრო მძიმე შედეგებსაც მოელოდა. ის სოდომსა და გომორას იხსენებს.

„ეს ცოდვაა, და შედეგი ისეთივე იქნება, როგორც სოდომსა და გომორაში იყო. ჩვენ ამ ღვთისგმობის დაკანონებას ვცდილობთ, და ბუნებრივია, ამის წინააღმდეგ ყველა შესაძლო და შეუძლებელი ხერხებით არის საჭირო ბრძოლა. ჯობია, მონამეობრივი სიკვდილით მოკვდე, ვიდრე ღვთის სასჯელი დაიმსახურო,“ - განაცხადა მან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კანონის მიღების საჭიროება იმ ვალდებულებებიდან მომდინარეობს, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკას მის მიერ ხელმოწერილი სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით აკისრია. 

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge



ილუსტრაცია რედაქციის პირი

ბუნახდაბუდი ბუდოდა ბედოოსთოვის

მანანა ვარდიაშვილი



2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სატელევიზიო მედიის ბაზარზე ახალი გადანაწილება დაიწყო. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში მედიის სამთავრობო კონტროლისგან გათავისუფლებაზე ბევრს საუბრობდა, ტელევიზიებზე გავლენის დაკარგვა აღარ უნდა – ტელევიზია საქართველოში კვლავ პოლიტიკური ბრძოლის და გავლენის მოპოვების მთავარი იარაღია.

■ 16 სექტემბრიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყო. საინფორმაციო გადაცემები უფრო დინამიური და საინტერესო გახდა. განახლებული „მოამბე“, შესაძლოა, „ქრონიკის“ კონკურენტი გახდეს. თუმცა, „მოამბემ“, ისევე როგორც „ქრონიკამ“, ჯერ კიდევ უნდა დაარწმუნოს მაყურებელი, რომ მისი სარედაქციო პოლიტიკა თავისუფალია, ახლა უკვე, ახალი ხელისუფლების გავლენისაგან.

„შევიძენ ნებისმიერ ქართულ ტელევიზიას, რომელსაც საინფორმაციო გადაცემის ლიცენზია გააჩნია. იმისათვის, რომ მეპატრონეს (თუკი არსებობს სააკაშვილის გარდა) გაყიდვის რეალური ინტერესი გაუჩნდეს, ვთავაზობ შემდეგს: გადავიხდი საბაზრო ღირებულებაზე სამჯერ მეტ თანხას“, – ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის წინ, 2011 წლის ნოემბერში გააკეთა. მას ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული ის დროც, რა ხნის განმავლობაშიც ტელეკომპანია დასჭირდებოდა: ივანიშვილი პირობას დებდა, რომ „მაქსიმუმ ორ წელიწადში“ ტელევიზიების მფლობელებს ქონებას სიმბოლური, ერთი ლარის სანაცვლოდ უკან დაუბრუნებდა, თანაც ძირითადი საშუალებების, სულ მცირე 15%-ით გაზრდილი ღირებულებით. მილიარდერი ბიზნესმენის ეს შეთავაზება მაშინ არავინ მიიღო.

ამ განცხადებიდან 6 თვის თავზე, 2012 წლის 30 აპრილს მაუწყებლობა დაიწყო ტელეკომპანია „მე-9 არხმა“, ბიძინა ივანიშვილის მეუღლის – ეკატერინე ხვედელიძის კუთვნილმა ტელევიზიამ. მაუწყებლობის დაწყებიდან მოკლე პერიოდში „მე-9 არხი“ პროსამთავრობო ტელეკომპანიების – საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი2“-ის და „იმედის“ ალტერნატიულ საინფორმაციო საშუალებად ჩამოყალიბდა. არჩევნებიდან ერთ თვეში, როცა არხის მფლობელმა „მე-9 არხის“ დირექტორად ლუბა ელიაშვილი დანიშნა, ტელეკომპანია დატოვა მენეჯმენტისა და საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტების ნაწილი.

„მე-9 არხში“ მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრემიერ-მინისტრს მისი ოჯახის საკუ-

თრებაში არსებული ტელეკომპანიის გასხვიება სურდა, თუმცა, ივანიშვილმა ყველაზე მკაფიო განცხადება მხოლოდ 2013 წლის 19 აგვისტოს გაავრცელა და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირველ სექტემბრამდე „მეცხრე არხი“ და „ინფო 9“ არ გაიყიდებოდა, არხს დახურავდა.

„მეცხრე არხმა“ მაუწყებლობა იმ დღესვე შეწყვიტა. ივანიშვილმა საკუთარი გადაწყვეტილება სამართლიანი და თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის აუცილებლობით ახსნა და განაცხადა, რომ პირველი სექტემბრის შემდეგ ტელევიზიის დახურვა დაგვიანებული და უხერხული იქნებოდა, 47 მილიონი ლარის ღირებულების ტექნიკური ბაზის მქონე ტელეკომპანიას კი მესამედ ფასშიც გაყიდვა იმ შემთხვევაში, თუ რეალური მყიდველი გამოჩნდებოდა.

„მეცხრე არხის“ ყიდვის სურვილი გამოთქვა ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელმა და ტელეკომპანია „იბერიის“ მფლობელმა ზაზა ოქუაშვილმა, რუსეთის ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილმა არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა „ევრაზიის ინსტიტუტმა“... ივანიშვილის განცხადებით, ყველა რეალურმა მყიდველმა ტელეკომპანიის და საინფორმაციო სააგენტოს ყიდვაზე უარი თქვა.

პრემიერ-მინისტრმა გაითვალისწინა საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის ხელმძღვანელობის თხოვნა და საინფორმაციო სააგენტოს არამატერიალური ქონება – ბრენდი, სახელი – „ინფო 9“, ვებმისამართი, არქივით სარგებლობის უფლება და სააგენტოს კუთვნილი ტექნიკის ნაწილი „ინფო 9“-ის მენეჯმენტს უსასყიდლოდ გადასცა. საჯარო რეესტრში უკვე დარეგისტრირდა ახალი კომპანია

– შპს „ინფო 9“, რომლის 40%-იანი წილიც ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს, ლუბა ელიაშვილს ეკუთვნის, 30% მის დას, „ინფო 9“-ის დირექტორს მანანა ელიაშვილს, 20% – თენგიზ ქირიას, ხოლო 10% – შალვა ჯოხაძეს.

„ინფო 9“-ში დარჩენილი ტექნიკა სატელევიზიო მაუწყებლობის საშუალებასაც იძლევა (არჩევნებამდე სააგენტომ საკუთარ ვებგვერდზე ინტერნეტ-ტელევიზია აამუშავა. თუმცა, ლუბა ელიაშვილის „მეცხრე არხის“ დირექტორად დანიშვნის შემდეგ, ინტერნეტ-ტელევიზიის თანამშრომლების უმრავლესობა სამუშაოდ „მეცხრე არხზე“ გადავიდა).

ლუბა ელიაშვილი, ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად ახსენებს ტელეკომპანია „იბერიას“, რომელიც, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვის შემდეგ, 2004 წელს დახურა. ელიაშვილი „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო. ტელეკომპანიის მფლობელმა ზაზა ოქუაშვილმა 11 სექტემბერს გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც ტელეკომპანია „იმედმა“ მას „იბერია TV“-ის კუთვნილი სამაუწყებლო ლიცენზია სასამართლო მოსმენის გარეშე დაუბრუნა („იბერიის“ კუთვნილი სამაუწყებლო სიხშირე 2004 წელს ტელეკომპანია „აისის“ გადაეცა, გიორგი არველაძის გენერალური დირექტორობის პერიოდში კი „აისი“ „იმედის“ მედიაჰოლდინგის მფლობელობაში შევიდა).

„მოხარული ვარ და მინდა მივულოცო „იბერია TV“-ს გულშემატივებებს, „იბერიის“ ყოფილ თანამშრომლებს, საქართველოში სამართლიანობის აღდგენის მხარდამჭერებს, მთელს საზოგადოებას, რომ „იმედისა“ და „იბერია TV“-ს ამჟამინდელმა მფლობელმა მიიღო გადანაცვები, უანგაროდ დაუბრუნოს „იბერია TV“-ს კუთვნილი ლიცენზია სასამართლო მოსმენის გარეშე, რომელიც ჩანიშნულია სექტემბერში... ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მოსახლეობას მალე ექნება კიდევ ერთი დამოუკიდებელი წყარო ინფორმაციის მიღებისა „იბერია TV“-ს სახით და „იბერია TV“-ს მომავალ ჟურნალისტებს კვლავაც ექნებათ საშუალება თავისი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული მასმედიის განვითარებაში“, – ვკითხულობთ ზაზა ოქუაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სავარაუდოდ, ლუბა და მანანა ელიაშვი-

ლები „იბერიის“ სიხშირეზე „ინფო9“-ის ტექნიკით მცირებიუჯეტო ტელევიზიას აამუშავებენ.

„მეცხრე არხის“ ყიდვის და სააქციო საზოგადოების შექმნის სურვილი გამოთქვა საინიციატივო ჯგუფმა. ამ მიზნით ჯგუფმა უკვე დააფუძნა სააქციო საზოგადოება „ტელევიზია“. „ტელევიზიის“ დამფუძნებლები არიან: ჟურნალისტი ია ანთაძე, „მე-9 არხის“ გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე ვასილ მაღლაფერიძე და ცოტნე გამსახურდია. 20 სექტემბერს ისინი პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ. სააქციო საზოგადოება „ტელევიზიის“ დაფუძნებელთა ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი თანახმაა, რომ „მე-9 არხის“ ტექნიკის ნაწილი სააქციო საზოგადოებას გადასცეს. ტექნიკის გადაცემის ფორმა ჯერ განსაზღვრული არ არის. ივანიშვილი არ მალავს, რომ სააქციო საზოგადოების მეშვეობით ტელეკომპანიის წარმატებით მართვის პერსპექტივის მიმართ სპეკულურად არის განწყობილი. როგორც media.ge-სთან საუბარში ია ანთაძემ განაცხადა, პრემიერ-მინისტრმა „გამოთქვა სურვილი, რომ აქციონერთა მიერ ახალი ტელევიზიის შექმნით არ დაზარალდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ხელისუფლების ყურადღება ახლა ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ არის მიპყრობილი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივ მაუწყებელში ცვლილებები ხელისუფლების შეცვლისთანავე დაიწყო. ბიუჯეტის წინაშე 3.8 მლნ ლარის ოდენობით დაგროვილი საგადასახადო დავალიანების გამო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა 2012 წლის 6 ნოემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური შემოწმება დაიწყო. შემოწმების დროს, რომლის შედეგების შესახებ საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გია ჭანტურამ თანამდებობა დატოვა. საბჭომ მის ადგილზე გიორგი ბარათაშვილი დანიშნა, რომელიც მანამდე არხის ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი იყო. ბარათაშვილი პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ახლო მეგობრის და პარლამენტარ ირაკლი ტრიპოლსკის ნათესავია. მაუწყებლის ახალმა დირექტორმა 2013 წლის მარტში თანამდებობიდან გაათავისუფლა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ხათუნა ბერძენიშვი-

ლი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდაჭერით იყო ცნობილი, მის ადგილზე კი სოფო მოსიძე დანიშნა, თანაც უკონკურსოდ. სოფო მოსიძე ყურნალისტიკაში ცნობილი სახეა. ის საზოგადოებრივ მაუწყებელში ადრეც მუშაობდა. მოსიძეს კარგი ურთიერთობა აქვს კოკა ყანდიაშვილთან, რომელიც ამჟამად პრემიერ-მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ხათუნა ბერძენიშვილის გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილს უნდობლობა გამოუცხადა და სამსახურიდან დაითხოვა. გათავისუფლების მიზეზად საბჭომ შექმნილი კრიზისული ვითარება დაასახელა, რომელსაც „ბარათაშვილმა თავი ვერ გაართვა“. მაუწყებლის გათავისუფლებულმა დირექტორმა სასამართლოს მიმართა და დავის მოგების შემდეგ თანამდებობაზე დაბრუნდა.

„ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კოჰაბიტაციური რეჟიმი საზოგადოებრივ მაუწყებელში სექტემბრის დასაწყისში დასრულდა: საბჭომ გენერალური დირექტორის გადაყენების ბოლო შესაძლებლობით ბოლო წამს ისარგებლა. საბჭოს 12-მა წევრმა გენერალური დირექტორის უნდობლობის საკითხის სხდომაზე დაყენებას ხელი აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოაწერა. იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭოს წევრები გენერალური დირექტორისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხის სხდომაზე განხილვას 1 სექტემბრამდე არ მოაწერდნენ ხელს, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს ახალი წევრებით დაკომპლექტებამდე, ანუ 2014 წლის 1 იანვრამდე გენერალური დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს ვეღარ განიხილავდა: კანონით, გენერალური დირექტორის გადაყენებისთვის 10 ხმაა საჭირო. 1 სექტემბერს საბჭოს ოთხ წევრს – ლევან გახელაძეს, ზაზა კორინთელს, ოთარ კობერიძეს და ბაკურ სულაკაურს მეურვის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურებოდათ, რის გამოც 1 სექტემბრიდან საბჭოს შემადგენლობაში 9 წევრი რჩებოდა.

6 სექტემბერს სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან მეორედ გადააყენა, გენერალური დირექტორის მო-

ვალეობის შემსრულებლად კი თამაზ ტყემალაძე დანიშნა. ტყემალაძე მანამდე გენერალური დირექტორის მოადგილე იყო. ის ამ თანამდებობაზე ბარათაშვილმა დანიშნა.

16 სექტემბრიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყო. შეიცვალა არხის გაფორმება – ლოგო და ფერები. ახალი შეფუთვით და წამყვანებით გადის ეთერში საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“. საინფორმაციო გადაცემები უფრო დინამიური და საინტერესო გახდა. განახლებული „მოამბე“, შესაძლოა, „ქრონიკის“ კონკურენტი გახდეს. თუმცა, „მოამბემ“, ისევე როგორც „ქრონიკამ“, ჯერ კიდევ უნდა დაარწმუნოს მაყურებელი, რომ მისი სარედაქციო პოლიტიკა თავისუფალია, ახლა უკვე, ახალი ხელისუფლების გავლენისაგან.

მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 17 სექტემბერს ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის გადაცემები „აქცენტები“ და „დიალოგი“ დახურა. ტყემალაძემ აღნიშნა, რომ კვესიტაძეც და პაიჭაძეც მხარეები იყვნენ და მათი ტონი საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

„გიორგი ბარათაშვილის საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა, თავის დროზე, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მისი თანამდებობიდან გადაყენებაც,“ – ამბობს სტუდია „მონიტორის“ დამფუძნებელი და კოალიცია „მედის ადვოკატირებისთვის“ წარმომადგენელი ნინო ზურიაშვილი.

„საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები საქართველოში არსებული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ახლა იქ გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს: რადგან საბჭომ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დაკომპლექტებული და ყოფილი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს, გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ვალში არც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დარჩნენ და ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის გადაცემები დახურეს, თანაც ყოველგვარი არგუმენტებისა და დასაბუთების გარეშე. პარალელურად კი საზოგადოებრივ მაუწყებელში „მე-9 არხის“ ყურნალისტებს დერეფანი გაუკეთეს“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენე-

რალური დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი 12 სექტემბერს გამოცხადდა. კანონის თანახმად, კანდიდატთა განსახილველად საბჭოს 30 დღე აქვს. ცხადია, რომ საბჭო, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დაკომპლექტებული და დღემდე ყოფილი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიუღებელ კანდიდატს არ დანიშნავს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ალბათ ის ფაქტიც, რომ საბჭოს ბოლო რამდენიმე სხდომას ესწრებოდა ლევან გახელაძე, სამეურვეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ამ ეტაპზე საბჭოს წევრიც აღარ არის. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატად ინფორმირებულ წრეებში ლევან გახელაძე სახელდება. ის „ნაციონალური მოძრაობის“ კადრია და მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მისი დანიშვნა ნიშნავს იმას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს და მინიმუმ კიდევ 6 თვე საზოგადოებრივ მაუწყებელს ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ გააკონტროლებს.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ამ დროისთვის ორ ტელეარხს – „პირველ არხს“ და „მეორე არხს“ და ორ რადიოს – „საზოგადოებრივ რადიოს“ და „რადიო ორს“ აერთიანებს. „მეორე არხის“ მაუწყებლობა ჯერჯერობით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ვერ ვრცელდება, მაგრამ სურვილის შემთხვევაში მისი დაფარვის ზონის გაზრდა მოკლე პერიოდში შეიძლება.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ბრძოლა ასე მარტივად, სავარაუდოდ, არ დასრულდება. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა განმარტებისთვის უკვე დაიბარა. „ეს არის პოლიტიკური ძიძგილაობა „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის და ეს ძიძგილაობა საზოგადოებრივ მაუწყებელში არაკონკურენტულ და არაჯანსაღ მდგომარეობას ქმნის“, – ამბობს ნინო ზურიაშვილი.

„მამსტრო“

სატელევიზიო მედიის ბაზარზე არსებულ არაჯანსაღ ვითარებაზე საუბრობს ტელეკომპანია „მაესტროს“ მფლობელი მამუკა ლლონტიც. ლლონტი აცხადებს, რომ „მაეს-

ტროს“ დასუსტების მიზნით ხელისუფლების ერთი ფრთა მასზე სისტემურ შეტევას ახორციელებს. ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე „მაესტროდან“ ტელეკომპანია „იმედში“ გადავიდნენ სამუშაოდ ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი – თეა სიჭინავა, არხის თოქ-შოუების მთავარი პროდიუსერი, საინფორმაციო გამოშვების მთავარი რეჟისორი და პოლიტიკური განყოფილების პროდიუსერი. „პრობლემა არის იმ დავალიანებაში, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ „იმედს“, „რუსთავი 2“-ს და „პიკს“ აპატია, მაგრამ არ აპატია „კავკასიასა“ და „მაესტროს“ და ამით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაგვყენეს“, – ამბობს მამუკა ლლონტი, – „იმედის“ განზრახვა აშკარა იყო. მას ჩვენი თოქ-შოუების გარეშე დატოვება უნდოდა, რადგან გადასვლაზე მოლაპარაკებებს ანარმოებდა არა ერთ წამყვანთან და ერთ პროდიუსერთან, არამედ ჩვენი თანამშრომლების 80%-თან. „იმედი“ „მაესტროს“ წინააღმდეგ ახლა „ბიუჯეტში გადაუხდელი იმ 14 მილიონით მუშაობს, რომელიც სააკაშვილის მთავრობამ აპატია, ახალმა ხელისუფლებამ კი ეს საქმე არ გამოიძია“. ლლონტი აცხადებს, რომ ახალ ხელისუფლებას ამ დავალიანების ჩამოჭრის გამოუძიებელი საქმე მედიაზე გავლენის შენარჩუნებისთვის სჭირდება: „როდესაც სახელმწიფოს მიმართ 14 მილიონი ლარი გმართებს და ამ დროს მთავრობიდან დაგირეკავენ და რალაციის გაშვებას, ან არგამშვებას გთხოვენ, გააკეთებ, აბა რას იზამ“.

საქმე იმაშია, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა ძალაუფლება კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ აიღო, რამდენიმე კვირაში იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო ბრძანება გამოსცა და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს, „იმედს“ და „პიკს“ ჯამში 20 მილიონამდე ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოაწერა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ მფლობელი ამბობს, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან „მაესტროზე“ განხორციელებულ სისტემურ შეტევაზე უფრო დეტალურად მას შემდეგ ისაუბრებს, როცა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მის მიერ მოთხოვნილ ოფიციალურ ინფორმაციაზე პასუხს მიიღებს.

„ლიბერალთან“ საუბარში მამუკა ლლონტი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია კომპანიის წილებთან და მეწილეებთან კავშირში

■ „ეს არის პოლიტიკური ძიძგილაობა „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის და ეს ძიძგილაობა საზოგადოებრივ მაუწყებელში არაკონკურენტულ და არაჯანსაღ მდგომარეობას ქმნის“, – ამბობს ნინო ზურიაშვილი.

არ არის. საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით, ტელეკომპანია „მანეტროს“ 15% მამუკა ლლონტს ეკუთვნის, 15% – ლევან ჩიკვაიძეს, 5% – ეკა აკობიას, 15% – გიორგი ებრაღიძეს, 25% – მაკა ასათიანს და 25% – გიორგი გაჩეჩილაძეს (უცნობი). ტელეკომპანიის მენეჯმენტში აქტიურად არის ჩართული მაკა ასათიანის მეუღლე კოტე გოგელია (ირაკლი ამბოზს, რომ გოგელიას მეშვეობით მანეტროს ბიძინა აფინანსებს), უცნობის კუთვნილი 25% კი მართავს „მანეტროს“ გენერალურ დირექტორს, ბაჩო კიკაბიძეს აქვს გადაცემული. უცნობს დიდი ხანია უნდა, რომ საკუთარი წილი, რომელიც მას თავის დროზე 400 ლარად აქვს ნაყიდი, გაყიდოს. „მანეტროს“ წილები ამჟამად დაყადაღებულია. ლლონტი აცხადებს, რომ ყადაღის მოხსნის შემთხვევაში ამოქმედდება ხელშეკრულების პირვანდელი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც „უცნობს“ საკუთარი წილის გადაცემა მხოლოდ პირვანდელი დამფუძნებლებისთვის შეუძლია. ახალი განხეთქილების მიზეზიც, შესაძლოა, სწორედ ეს საკითხი გახდეს.

„რუსთავი2“

„რუსთავი2“-ის 60%-იანი წილის სასამართლოს გზით დაბრუნებისთვის დაიწყეს სამართლებრივი ბრძოლა ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის დამფუძნებლებმა და ყოფილმა მფლობელებმა დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ.

30-30%-იანი წილები ყოფილი ხელისუფლების ზენოლით მათ 2004 წლის 16 ივნისს დათმეს. 28 ივნისს საკუთარი 30% ეროსი კონმარიშვილმაც გაყიდა და ტელევიზია ახალ პატრონს ჩაბარდა. ახალი პატრონი მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ახლო მეგობარი, ქიბარ ხალვაში იყო, რომელიც ტელევიზიის 90 პროცენტის მფლობელი გახდა. მას შემდეგ ტელეკომპანია ხელისუფლებასთან დაახლოებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე არაერთხელ გადაფორმდა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ტელეკომპანიის 51 პროცენტს შპს „ტელეკომპანია საქართველო“ ფლობს, 18 პროცენტს – გიორგი ყარამანიშვილი, 22 პროცენტს – ლევან ყარამანიშვილი, 9 პროცენტი კი ტელეკომპანიის ყოფილ დირექტორს გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნის.

ბოლო პერიოდში მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რუსთავი2“-ის ამჟამინდელი

მფლობელები ტელეკომპანიის კანონიერი მესაკუთრებისთვის არხის დაბრუნების პროცესის კიდევ უფრო გართულების მიზნით „რუსთავი2“-ის გასხვისებას გეგმავენ, ტელეკომპანიის შეძენას კი რუსული გიგანტი „გაზპრომ მედია“ აპირებს. აქიმიძემ და დვალმა „რუსთავი2“-ის წილების დაყადაღების მოთხოვნით პროკურატურას მიმართეს. თუმცა, მათ მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება პროკურატურაში ჭიანჭურდება. როგორც ჩანს, პროკურატურა ამ საქმის გამოძიებას საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე არ აპირებს.

„ლიბერალის“ კითხვაზე, თუ რატომ შეფერხდა „რუსთავი2“-ის წილებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება და ხომ არ უკავშირდება ამ პროცესის შენელება რაიმე სახის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „რუსთავი2“-ის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების პროცესებში პოლიტიკური ჩარევა არ ხდება და „პროცესები მიდის ისე, როგორც უნდა მიდიოდეს“.

არ არის გამორიცხული, რომ ახალ ხელისუფლებას „რუსთავი2“-ის კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნება არ აწყობდეს. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების აქტიური გამტარებელი აღარ არის და ის კარგად ახერხებს ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის ლავირებას.

„რუსთავი2“ ყველაზე მაღალშემოსავლიან ტელევიზიად რჩება. 2013 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ტელეკომპანიამ 12.3 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო (აქედან 9.6 მილიონი ლარი სარეკლამო შემოსავალი იყო). ეს 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31%-იანი ზრდაა.

ტელეკომპანია „იმედს“, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მის პირველ მფლობელს – გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა, ამავე პერიოდში შემოსავლები 29%-ით შეუმცირდა.

ახალი მოთამაშეები

წელს ქართულ სატელევიზიო მედიაბაზარზე რამდენიმე ახალი მოთამაშეც გამოჩნდა. 2013 წლის 10 იანვარს საცდელი მაუნყებლობა დაიწყო ტელეკომპანია „ტაბულამ“. ტელეკომ-

პანია „ტაბულას“, ისევე, როგორც ჟურნალ „ტაბულას“ მფლობელი „სამოქალაქო განათლების ფონდი“. „სამოქალაქო განათლების ფონდის“ დირექტორი ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი და უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩერგოლიშვილია. ფონდმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ტელეკომპანია „საქართველოს“ სამაუწყებლო ლიცენზია 2012 წლის 12 ოქტომბერს შეიძინა.

„ტაბულა“, რომელიც ყოფილი ხელისუფლების ლიბერტარიანული ფრთის იდეოლოგიურ მხარდამჭერად მოიაზრება, რუსული „დოჟდის“ ანალოგი და მცირე-ბიუჯეტის ტელევიზია იქნება. ახალი ტელეკომპანია ფინანსების დაზოგვის მიზნით საინფორმაციო ქონების „რუსთავი2-დან“ შეიძენს. სულ რამდენიმე დღეა, რაც „ტაბულას“ ეთერში ყოველდღიური ტოკშოუ გაუშვებს. ტოკშოუ ახალ და გამოუცდელ სახეებს მიჰყავთ, ამიტომ შთაბეჭდილების შესაქმნელად ჯერ დროა საჭირო

TV 3

„რეალტივის“ კუთვნილი ლიცენზიით და ოფისიდან ამჟამად ტელეკომპანია TV 3 მაუწყებლობს. „რეალტივის“ მფლობელმა ლალი ეგაძემ 2012 წლის 16 ოქტომბერს 30 ათას ლარად ნაყიდი ტელევიზიის 90 პროცენტი 2013 წლის მაისში 200 ათას ლარად გაყიდა. სამენარმეო რეესტრში არსებული ინფორმაციით, TV 3-ის 9% სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტს და ფინანსთა ყოფილ მინისტრს კახა ბაინდურაშვილს ეკუთვნის, 30% სავაჭრო სამრეწველო პალატის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ლაშა ჩხენკელს, ხოლო 51% ბიზნესმენ დავით მჭავიას. აქციათა 10% კვლავ ლალი ეგაძის საკუთრებაშია. თV 3-ის დირექტორი კახა ბაინდურაშვილია.

TV 3-ის დირექტორი კახა ბაინდურაშვილი აცხადებს, რომ ტელეკომპანია დამფუძნებლების კუთვნილი კაპიტალით ფინანსდება. თუმცა, საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ამ ჯგუფის უკან ენერგეტიკის და შინაგან საქმეთა ამჟამინდელი მინისტრების, კახა კალაძის და ირაკლი ლარიბაშვილის ინტერესები დგას და ტელეკომპანიასაც ისინი აფინანსებენ.

ამ ფონზე ყველასთვის მოულოდნელი იყო არხზე „ნაციონალური მოძრაობის“ სატელევიზიო „ქრისტიან დემოკრატიული“ პარტიის

ყოფილი სახის – ინგა გრიგოლიას გამოჩენა. წარსულში ცნობილი ჟურნალისტი ეთერს პოლიტიკური ტოკშოუ – „დიდი პოლიტიკით“ დაუბრუნდა, „დიდი პოლიტიკა“ კი ედუარდ შევარდნაძის ჩინოვნიკების რეანიმაციით დაიწყო.

ბაინდურაშვილის, ჩხენკელის და მჭავიას ჯგუფმა სულ მოკლე დროში შექმნა მედიაჰოლდინგი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ინგლისურენოვანი გაზეთი Commercial Time, ინგლისურენოვანი საინფორმაციო სააგენტო – Commercial News Agency და ქართულენოვანი სააგენტო „მონიტორინფო“. კახა ბაინდურაშვილისა და ლაშა ჩხენკელის კუთვნილმა „ენერჯი გრუპმა“ 2013 წლის 26 აგვისტოს რადიომაუწყებლობის ლიცენზიაც მიიღო – მათი კუთვნილი რადიო „ზენიტი“ FM 93.5 სიხშირეზე ეთერში ოქტომბრის ბოლოდან უნდა გავიდეს.

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მედია საქართველოში ისევ პოლარიზებული და პოლიტიზებულია“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ყოფილი მედია-ანალიტიკოსი მამუკა ანდლულაძე, – „მას შემდეგ, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სახელისუფლებო ბერკეტები დაკარგა, ქართული ტელემედიის სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. დაიხურა ტელეკომპანია „პიკი“ და „რეალტივი“, შეიცვალა „იმედის“ მფლობელი და ბაზარზე რამდენიმე ახალი მედიამოთამაშეც გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მხრიდან მედია აღარ იზღუდება, მაგრამ მედიის კონტენტს ძირითადად ისევ მედიასამუშაოების მფლობელები და ხელმძღვანელები განსაზღვრვენ. სატელევიზიო მედია გარემო კვლავ ღრმად პოლიტიზებულია. ამაზე მეტყველებს „მე-9 არხის“ შექმნის და დახურვის გადანაცვებებიც. როცა პოლიტიკური ნება და საჭიროება იყო, „მე-9 არხის“ სახით ძალიან დიდი სატელევიზიო არხი შეიქმნა და მასში ძალიან დიდი ფინანსური რესურსიც ჩაიდო. როცა არხის არსებობის პოლიტიკური მიზანშეწონილობა აღარ არსებობდა, არხი ერთი ხელის მოსმით დაიხურა და 700-მდე ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა“.

პოლარიზებული მედიის ერთ მხარეს მოიაზრებენ „იმედი“, „მაცენტრო“ და TV 3, მეორე მხარეს კი „ტაბულა“ და „რუსთავი 2“. ახლა გადამწყვეტი ბრძოლა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიდის. ■

■ არ არის გამორიცხული, რომ ახალ ხელისუფლებას „რუსთავი2“-ის კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნება არ აწყობდეს. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების აქტიური გამტარებელი აღარ არის და ის კარგად ახერხებს ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის ლავირებას.

"იპოვე შენი ფიროსმანი"

გურამ კაპანაძე



პროექტი „იპოვე შენი ფიროსმანი“ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების ახლებურ ხედვას, გააზრებას გულისხმობს. ეს კურატორ ირინა პოპიაშვილის და სამხატვრო აკადემიის მაგისტრანტების ნინო ასანიძის, მარი გვახარიას, გურამ კაპანაძის, მარიამ ლორიას და მარიამ წიქარიძის ერთობლივი პროექტია.

პროექტის განსახორციელებლად აუცილებლად მივიჩნიეთ ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გავსაუბრებოდით ბატონ ყარამან ქუთათელაძეს, გოგი ხოშტარიას, ვახტანგ რურუას, ასევე ქალბატონ ნანა ყიფიანს, თეა ტაბატაძეს და ნელი გობეჯიშვილს. მოვისმინეთ ფიროსმანის გააზრების მათი ვერსია, რის საფუძველზეც შევიმუშავეთ ნიკო ფიროსმანაშვილის „ალტერნატიული“ ისტორია.

პროექტის ფარგლებში ორი გამოფენა გაიმართა. პირველი, ამ პროექტის ანონსი თბილისში, გალერეა „ნექტარში“ წარმოდგენილი გამოფენა იყო, სახელწოდებით „ქალაქი, ქათამი, ლორი...“, სადაც თანამედროვე ქართველი მხატვრების: თუთუ კილაძის, კოტე სულაბერიძის, მიშა შენგელიას და ლევან ჭელიძის, ასევე ფოტოგრაფ ნათელა გრიგალაშვილის ნამუშევრები გამოიფინა, რომლებიც გარკვეულწილად ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეხმიანება და მასთან ერთგვარ დიალოგს გვთავაზობს. ამ გამოფენის გავრცობილი ვერ-


სია მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმში გადაინაცვლებს და ყოველწლიურ ტრადიციად ქცეულ დღესასწაულზე, „ფიროსმანობაზე“ 19 ოქტომბერს, გაიხსნება.

მეორე გამოფენა სახელწოდებით „ქართული მოდერნიზმი“ კახეთში, მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მოენყო. წარმოდგენილი გამოფენა თბილისური მოდერნიზმის ხიბლის გადმოცემის მცდელობაა. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული მოდერნიზმის რამდენიმე ნიმუში, კერძოდ: 1910-30 წლებში, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა თეატრისთვის ისეთი მხატვრების მიერ შექმნილი გრაფიკული ნამუშევრების ფოტო ასლები, როგორებიც არიან დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი, ელენე ახვლედიანი, კირილე ზდანევიჩი და სხვა. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი მოდერნისტების მიერ შექმნილი ფუტურისტული და დადაისტური ნიგნები და ჟურნალები, ასევე იმ ეპოქის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან შეირჩა. ეს გამოფენა ნიუ-იორკში, 2009 წელს, კეისი კაპლანის გალერეაში, შვეიცარიელი კურატორის დანიელ ბაუმანის და ქართველი კოლეგების: ნანა ყიფიანის, მზია ჩიხრაძისა და თეა ტაბატაძის მიერ ორგანიზებული გამოფენის „ფანტასტიკური სამიკიტნო – თბილისური ავანგარდის“ ჩვენს მიერ რედაქტირებულ ვერსიას წარმოადგენს.



გამოფენა „ქართული მოდერნიზმი“, ფიროსმანის სახლ-მუზეუმი, მირზაანი

პროექტის „იპოვე შენი ფიროსმანის“ ფარგლებში ასევე იგეგმება თანამედროვე ქართველი მხატვრების ვორკშოფი, რომელსაც ისინი მირზაანსა და მის მიმდებარე სოფლების არბოშის, ზემო მაჩხაანის და გამარჯვების სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარებენ. მოსწავლეებს ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ გამოყენებულ სხვადასხვა მეთოდებს გააცნობენ და საშუალებას მისცემენ, თავადაც მოსინჯონ ეს მხატვრული ხერხები. ეს იქნება არა უბრალოდ კოპირება, არამედ თავისუფალი გამოყენება იმ მხატვრული მეთოდებისა, რასაც მხატვარი XX საუკუნის დასაწყისში მიმართავდა. ვორკშოფის დროს შექმნილი ნამუშევრებიდან შეირჩევა რამდენიმე და გამოიფინება მესამე გამოფენის სახით, თანამედროვე არტისტებისა და ქართველი მოდერნისტების გვერდით, რომელიც კვლავ მირზაანის მუზეუმში ყოველწლიურ ტრადიციად ქცეულ დღესასწაულზე, ფიროსმანობაზე გაიმართება ამა წლის 19 ოქტომბერს.

პროექტი ხორციელდება „სამხრეთ კავკასიის ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროგრამის“ ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. 



ქართველი მოდერნისტების მიერ შექმნილი ფუტურისტული და დადასტურებული ნივთები, გამოფენა „ქართული მოდერნიზმი“, ფიროსმანის სახლ-მუზეუმი, მირზაანი



გამოფენა „ქალაქი, ქათამი, ლორი...“, ნამუშევრის ავტორი მიზა შენგელია, გალერეა ნექტარი, თბილისი



იაპონიის ელჩმა და მოწვეულმა სტუმრებმა ჩრდილების თეატრის მსახიობების მიერ დადგმული სპექტაკლი იხილეს.

სალოვნება ომის წინააღმდეგ

სოფო აფციაური

სოფელ ნიქოზში 19 სექტემბერს საგანმანათლებლო ცენტრის რეაბილიტაციის პროექტის გახსნა სკოლის მოსწავლეებს იაპონიის სრულუფლებიანმა ელჩმა ტომიო კაიტანიმ მოულოცა. მან ქართულ ენაზე სკოლის გახსნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2008 წელს ნიქოზის მოსახლეობამ დიდი სირთულეები გადაიტანა, ამიტომ ბავშვებისთვის საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„მობარული ვარ, რომ საგანმანათლებლო ცენტრის რეაბილიტაცია დასრულდა და ბავშვები ახალ გარემოში შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. ეს მათ ომით გამოწვეული სირთულეების დაგინყებაში ცოტათი მაინც დაეხმარებათ“, – განაცხადა ტომიო კაიტანიმ.

2008 წლის ომის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლურ სოფლების ბავშვები ნიქოზის საეპარქიო რეზიდენციის პატარა ოთახში სწავლობდნენ. ახალ შენობაში, რომელიც იაპონიისა და ამერიკის მთავრობების ფინანსური დახმარებით შეკეთდა, 100 ბავშვი სხვადასხვა საგანთან ერთად, ანიმაციას,

სახვით ხელოვნებას, კლასიკურ და საგუნდო მუსიკას, ჩრდილების თეატრის ხელოვნებას სწავლობს და ამისთვის სულ 116,805 აშშ დოლარია გამოყოფილი. პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი 2012 წლის 11 სექტემბერს მოეწერა და მისი მიზანი ნიქოზის, ზემო ნიქოზის, ფხვენისის და ზემო ხვითის მოსახლეობის საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაა.

გახსნის ცერემონიალს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია), გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი პაპუნა კობერიძე და სხვადასხვა მონვეული სტუმარი ესწრებოდა.

ხელოვნების სკოლის დაარსების ინიციატორი სწორედ ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია) იყო.

იგი პროფესიით ანიმატორია და მანვე დააარსა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ნიქოზში უკვე მესამე წელია ტარდება. ბოლო ფესტივალი, რომელიც 2 სექტემბერს დაიწყო, ტონინო გუერას ნახატების გამოფენით გაიხსნა და მას გერ-



ნიქოზის საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა მოსწავლეებს იაპონიის ელჩმა, ტომიო კაიტანიმ მიულოცა.

მანიის, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელორუსის, პოლონეთის, ჩინეთის და რუსეთის ცნობილი ანიმატორები ესწრებოდნენ.

საგანმანათლებლო ცენტრის გახსნაზე მეუფე ისაიამ იმ სირთულეებზე ისაუბრა, რისი გადალახვაც ამ ოთხი წლის განმავლობაში მოუხდათ.

„თავდაპირველად არ გვქონდა სკოლისთვის ნაგებობა, ორი წელი ბავშვები დაზიანებულ შენობაში დადიოდნენ, რომელიც გამგეობამ საკუთრებაში გადმოგვცა. შარშანწინ, კობერნის საერთაშორისო ორგანიზაციის საშუალებით, მეოთხედი ნაწილის რეაბილიტაცია მოხდა. ამის შემდეგ იაპონიის საელჩოში შენობის სრულიად აღდგენის თხოვნით პროექტი შევიტანეთ, „ამერიკელი მეგობრებისა“ და იაპონიის საელჩოს დახმარებით საბოლოოდ შენობა გარემონტდა და დღეს მადლობა მინდა გადავუხადო იაპონელ ხალხს, მათ უდიდესი დახმარება გაგვინიეს“, – განაცხადა მეუფემ.

საგანმანათლებლო ცენტრში დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ჩრდილების თეატრის ფუნქციონირებას. გელა კანდელაკმა, რომელიც ამ თეატრის დამაარსებელია, თავის მოსწავლეებთან ერთად, სკოლის რეაბილიტაციის გახსნის ცერემონიაზე იაპონიის ელჩსა და სხვა სტუმრებს ოთხი წლის განმავლობაში დადგმული რამდენიმე სპექტაკლი უჩვენეს.

ნიკა 16 წლისაა და 4 წელია უკვე ხელოვნების სკოლის მოსწავლეა, მონაწილეობას იღებს ჩრდილების თეატრის მუშაობაში და ყოველდღიურად, გარდა თეატრისა, სხვადასხვა სასკოლო საგნებში მეცადინეობს: „ყოველდღე სკოლის მერე აქეთ გამოვრბივართ ხოლმე, აქვე ვსწავლობთ ხატვას, გოგოები ქარგავენ და კერავენ, ვემზადებით ინგლისურში, ქართულში.... ძალიან მიხარია აქ მოსვლა და ანიმაციური თეატრის გუნდში ყოფნა“, – ამბობს ნიკა მჭედლიძე.

ბავშვების აზრს მშობლებიც იზიარებენ და თვლიან, რომ მათი შვილებისთვის 2008 წლის ომის შემდეგ ხელოვნების სკოლაში სიარულს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქეთევან ლომსაძე აღნიშნავს, რომ ომამის შვილს დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა, სკოლაში სიარული კი მას ამ პრობლემების დავინწყებაში ეხმარება.

„ხელოვნებას საზღვრები არ აქვს, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს სკოლა ოსი და ქართველი ბავშვებისთვის ხიდის ფუნქციას შეასრულებს“, – ეს კი, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პაპუნა კობერიძის სიტყვებია. მისი განცდებით, იაპონელი ხალხის დახმარება ბევრი კარგი საქმის გაკეთების საშუალებას მისცემს ბავშვებს და დიდ როლს ითამაშებს ქართველი და ოსი ერის დაახლოებაში. ■

ჩვენსი

ხეივანიანი მოზაიკა

კახა ჯამბურია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი



ნიგნის სათაური – „კერძთაყვანისცემა“ – გარკვეულ ირონიასაც შეიცავს და თითქოს ლუარსაბ თათქარიძის უკვდავი მხატვრული სახის ალუზიასაც იწვევს, მაშინვე რომ „საზოგადოებრივ“ და ეროვნულ ხასიათზე დაფიქრებას ითხოვს. ვერ გეტყვით, რატომ შეურჩია თავის ნიგნს რუსუდან გორგილაძემ ასეთი უჩვეულო სათაური, მაგრამ ფაქტია, რომ იგი თავისებურად მიგვანიშნებს ამ ნიგნის უჩვეულო ხასიათზეც. უჩვეულო ჯერ ნიგნის გარეგანია (რომელზედაც საკვები პროდუქტებით შექმნილი, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ფიგურაა გამოსახული), შემდეგ კი – თავად ნიგნის თემა. მას, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ზუსტად გამოხატავს ამ ნაშრომის მეორე სათაური – „კულინარიული მოზაიკა დროსა და სივრცეში“. რატომ აირჩია კულტუროლოგიური კვლევისთვის ავტორმა ასეთი ორიგინალური ხედვა? ამას ძალიან კარგად განმარტავს თავად რუსუდან გორგილაძე:

„კვება თავისთავად თითქოს ცხადი რამაა. ალბათ ამიტომაც მიიჩნევს მას ხშირად მრავალი ადამიანი სრულიად რუტინულ, ბანალურ, ყოველდღიურ და ზოგჯერ მდაბიურ თემად. ზოგიერთ საზოგადოებაში კვებაზე სერიოზული საუბარი ცუდ ტონადაც კი ითვლება.“

ალბათ ამით აიხსნება, რომ ძალიან დიდხანს საკვების ისტორიისა და კულინარიის მიმართ ერთნაირად გულგრილნი იყვნენ სხვადასხვა

დარგის წარმომადგენლები. ამ ოცდაათი წლის წინ კი ერთბაშად დაიწყო ე. წ. „კულინარიული ბუმი“, რის შედეგადაც ისტორიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის სპეციალისტებმა მრავალი თვალსაჩინო და, ბევრ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი ინტერდისციპლინარული ნაშრომი შექმნეს.

კულტურის ისტორიკოსისათვის საკვების წარმოშობისა და მისი მოძრაობისათვის თვალის გადავლება შეიძლება იდეალური გზა აღმოჩნდეს ისტორიაში მიჩქმალული ამბებისა და სოციალური ურთიერთობების გამოსავლენად. საკვები ხომ მუდამ წარმოდგენდა როგორც დღესასწაულებისა და რელიგიური ცერემონიების, ისე სოციალური სტატუსისათვის ეთნიკურ-რელიგიური მიკუთვნებულობის სიმბოლოს“.

აი, ასე ნათლად, გასაგებად და საინტერესოდ მსჯელობს რუსუდან გორგილაძე, რის გამოც ეს ნიგნი მხატვრული ტექსტისთვის დამხასიათებელი ინტერესით იკითხება (თითქოს რომანი იყოს, ჩნდება კითხვები: მერე რა მოხდება? რით დამთავრდება?..), ამავე დროს ავტორი მკითხველს სთავაზობს ძალზე საფუძვლიან სამეცნიერო გამოკვლევას, რომლის წყალობითაც საკუთარი კულტურა და ისტორია სრულიად განსხვავებული კუთხით შეიძლება დაინახო. ნიგნში საოცრად დიდი მასალაა თავმოყრილი: ავტორი შემთხვევით არ იხსენიებს ისტორიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის სპეციალისტებს – განხილული და დამონშებული ლიტერატურის სიისათვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის გასაცნობიერებლად, ამ ნაშრომის შესაქმნელად რაოდენ დიდი სამეცნიერო ლიტერატურაა შესწავლილი და გათვალისწინებული. არ ვიცი, რა მეთოდებს იყენებენ ჩვენი მეცნიერები დღეს, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის თაობა კი სწორედ ასე მუშაობდა: მთავარი იყო განსახილველი საკითხის შესახებ არსებული მთელი სამეც-



ნიერო ლიტერატურის შესწავლა და ყველა წყაროს გათვალისწინება, დანარჩენი კი უფრო მარტივი იყო. ამ თვალსაზრისით რუსუდან გორგილადის ნიგნი სწორედ იმ თაობის (განსაკუთრებით ვიქტორ ნოზაძის) ნაშრომების ასოციაციას იწვევს, თუმცა უფრო იოლი და საინტერესო საკითხავია (აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს ნიგნის მთავარი რედაქტორის, ცისანა თოდუა-კარტოზიასა და რედაქტორის, თამარ ლონღაძის, დამსახურება).

ამ ნიგნის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს უმაღლესი ხარისხის ილუსტრაციებიც, რომელთა მხოლოდ ნაწილია საქართველოში გადაღებული, მათი დიდი უმრავლესობა კი მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კულტურის უნიკალურ ექსპონატებს ასახავს (ზოგიერთი მათგანი პირველად ქვეყნდება საქართველოში). და მაინც: როგორი სიზუსტითაც არ უნდა აღვწეროთ ნიგნის შედგენილობა თუ მაღალი პოლიგრაფიული დონე, მთავარი და უმნიშვნელოვანესი მაინც ავტორის ანალიზისა და მსჯელობის უნარია – იგი ძალზე თავისებურად და ორიგინალური ხედვით წარმოგვიდგენს საქართველოს კავშირს სხვადასხვა ქვეყანასა თუ კულტურასთან და ამის შესაბამისად ჩვენი ქვეყნის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. თავში „სტუმართმოყვარეობა“ ავტორი წერს:

„თუ ადამიანთა მოდგმის სხვადასხვა კულტურებისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობისა და მისი გამოვლენის ფორმის, ნადიმის, ისტორიის გადავხედავთ, ბევრ საინტერესოსა და ჩვენთვის ახლობელს აღმოვაჩენთ. უნდა აღინიშნოს, რომ სტუმართმოყვარეობის განსაკუთრებული და ძველი კულტურაა ირლანდიელებთან. უძველეს დროში ირლანდიაში სტუმართმოყვარეობა და მისი წესები დაკანონებული იყო. სტუმრის მიღება პრივილეგიად ითვლებოდა. სტუმარი ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მოსულიყო და იმდენ ხანს დარჩენილიყო, რამდენ ხანსაც მოისურვებდა. სიმდიდრე ირლანდიაში იმით იზომებოდა, თუ რამდენს გასცემდი და არა იმით, თუ რამდენს მოიხვეჭდი“.


ბუნებრივია, რომ ამ დროს ქართველს გაახსენდეს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“; ფრანგს კი, ალბათ, ანტუან დე სენტ ეკვიუპერის „ციტადელში“ გადმოცემული მსჯელობა გაახსენდება სიმდიდრისა და სიღარიბის შესახებ.

„რაც შეეხება გაზიარების სურვილს, ჯერ კიდევ მესოპოტამიაში მოქმედებდა მაქსიმა

„საკვები სიცოცხლე“ და ამიტომ საკვების გაზიარება სიცოცხლის გაზიარებას ნიშნავდა. „სწორედ ამამა საკვების შეფარული და ფუნდამენტური აზრი“ (Bottero Jean, „The Oldest Cuisine in the World“. 2004).“

ძალიან კარგია, როდესაც ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა უცხო კულტურას შეუდაროს საკუთარი ტრადიციები, რადგან ძალიან ხშირად ჩვენ არასწორ წარმოდგენებს ვიქმნით – გვეონია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ (როგორც გამორჩეულ ხალხს) გვახასიათებს სტუმრის განსაკუთრებული მიღების უნარი ან სუფრის განსაკუთრებული სიუხვე.

„რაც შეეხება სუფრაზე კერძების განსაკუთრებულ სიუხვეს, ეს ადამიანის მოდგმის უძველესი ტრადიციაა, რაც, ძირითადად, უცხოთა და უცხოელზე შთაბეჭდილების მოხდენას და მისთვის იმის შეტყობინებას ემსახურება, თუ რა შესაძლებლობების პატრონია მასპინძელი. ასე გადავცემთ ინფორმაციას სხვას ჩვენ შესახებ (კ. ლევი-სტროსი). წრეგადასული სუფრებისა თუ ბანკეტების მაგალითები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილებასთან, მრავლად მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში“.

ამგვარ მსჯელობას ნიგნში ყოველთვის თან ახლავს უამრავი მასალა ნათქვამის დასასაბუთებლად. შთამბეჭდავი ნადიმების ისტორიები აშურნასირფალ მეორით (883-859) იწყება და 1900 წლის 22 სექტემბერს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე გამართული „მერების ბანკეტი“ მთავრდება. თუმცა ასეთ საინტერესო ამბებს რომ მივყვეთ, მთელი ნიგნის შინაარსის გადმოცემა მოგვიწევს, ამიტომ აჯობებს, მკითხველს მივანდოთ მისი საბოლოო შეფასება და ამჯერად, როგორც გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, მივულოცოთ პირველად ნაკითხვის ბედნიერება. 



Popiashvili Gvaberidze Window Project

ანა გაბელია

თუ თბილისის სახელოვნებო ცხოვრებას იცნობთ, და გამოფენებსაც ხშირად სტუმრობთ, შეამჩნევდით, რომ გამოფენებზე ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები დადიან. ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ ხელოვნება, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში, ან, უბრალოდ, მოყვარულები. თუმცა, მათი რაოდენობა არც ისე დიდია და მათ გარდა არსებობს ხალხი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ/ვერ დადიან გამოფენებზე: არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, დრო ან ინტერესი.

თუმცა, თბილისში არის ერთი საგამოფენო სივრცე, რომელიც განურჩევლად ყველასთვისაა განკუთვნილი. ეს სივრცე გათვლილია ნებისმიერ თბილისელზე ან ტურისტზე, ფეხით მოსიარულეზე თუ ავტომანქანით ან ავტობუსით მგზავრ ადამიანზე – მას ყველა დაინახავს, თუმცა აღქმის ნერტილი ყველასათვის განსხვავებული იქნება. ეს არის პოპიაშვილი/ღვაბერიძის ვიტრინა-გალერეა, რომელიც საჯარო ხელოვნების წარმოდგენის ფუნქციას ითავსებს.

თუ რუსთაველის 37-თან ჩაივლით, აუცილებლად შეამჩნევთ ვიტრინას, რომელშიც ვიტრინისთვის უჩვეულო საგნებია გამოფენილი. ეს არ არის არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი ან აქსესუარები – ეს ხელოვნებაა.

ვიტრინა-გალერეის პროგრამა წარმოადგენს როგორც ახალგაზრდა ქართველ ხელოვანებს, რომელთა სახელები და ნამუშევრები უცნობია ფართო საზოგადოებისთვის, ასევე უცხოეთიდან ჩამოსულ არტისტებსაც. ვიტრინის მიზანია, რომ საზოგადოებასა და ქალაქის სტუმრებს გააცნოს და დააინტერესოს თანამედროვე ხელოვნების ახალი ფორმებითა და სახეებით.

ამ მხრივ ვიტრინა საგანმანათლებლო და ტვირთვასაც იძენს.



ვიტრინა-გალერეა 9 აგვისტოს ანდრო ერადის „ბუკოვსკით“ გაიხსნა.

ანდრო ერადე ფოტოგრაფია, რომელიც ქუჩის ხელოვნებაშიც მუშაობს. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ერთ საღამოს სეირნობისას ანდრო მიხვდა, რომ ქალაქში არაფერი იყო მისი. ქალაქის ფასადებზე წერა ხალხთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა. არტისტმაც გადაწყვიტა, რომ ხალხისთვის მისი საყვარელი პოეტების ციტატები გაეზიარებინა. თბილისის ქუჩებში შეხვედებით ამონარიდებს ანდროს



საყვარელი პოეტების: ჩარლზ ბუკოვსკის, ანა ახმატოვას, პაბლო ნერუდას და სხვათა ლექსებიდან. სწორედ ბუკოვსკის ერთ-ერთი ციტატა, რომელიც არტისტმა ძველებურ ქალაქზე გადაიტანა, იყო პირველი, რაც გამოიფინა პოპიაშვილი/ღვაბერიძის გალერეა-ვიტრინაში.

სექტემბერში, გამვლელები ვიტრინაში ორხის ქანდაკებას და ერთ ძველებურ პოსტერს დაინახავდნენ. ესენი იყო გიორგი ხანიაშვილის „ვენერები“ და არსენ ბერიაშვილის 90-იანების ეროტიკული ფილმების პოსტერი.

გიორგი ხანიაშვილის პირველი შეხება ხელოვნებასთან სხვადასხვა ყვითელი პრესიდან, ეროტიკული ფილმებიდან და პორნოგრაფიული ჟურნალებიდან სურათების გადახატვასთანაა დაკავშირებული. ეს სახეები მის მესხიერებაში დღემდეა დარჩენილი და ისინი გარკვეულწილად განაპირობებენ მისი ხელოვნების ვიზუალურ მხარეს. არტისტის თქმით, მისი შემოქმედების ერთ-ერთი პრინციპი ეკლექტიურობა და ყველაფრისადმი ტოლერანტულობაა. აქ ერთი სკულპტურა თავის თავში



შეიძლება მოიცავდეს კლასიკური განონასწორებული ანტიკური ხელოვნების დეტალებს, მთავარანგელოზის ნაკვეთებს ბიზანტიური იკონოგრაფიიდან და ამავდროულად, თანამედროვე ყვითელი პრესისა და პორნოჟურნალებისათვის დამახასიათებელი აგრესიული ქალის გამოსახულების ნიშნებს.

სწორედ ასეთი ჰიბრიდული კულტურის პროდუქტია არსენ ბერიაშვილის მიერ კინოთეატრ “აპოლოსთვის” 1990-95 წლებში შესრულებული ეროტიკული ფილმების პლაკატები. ამ პლაკატებსა და ხანიაშვილის მიერ ხეში შესრულებულ სკულპტურებს შორის საინტერესო მხატვრული და ისტორიული კონტექსტი იკვეთება: საბჭოთა ესთეტიკის მატარებელი პლაკატის ხელოვნება ეროტიკული კინოს ახალ იკონოგრაფიებს ერწყმის და შედეგად ეკლექტურ და საინტერესო სანახაობას წარმოგვიდგენს.


ამ ორი არტისტის ნამუშევრები იმდენად ჰარმონიულად ავსებდნენ საგამოფენო სივრცეს, გამვლელს შეიძლება ეფიქრა, რომ ხის ვენერები და პლაკატი 90-იანებიდან ერთი და იმავე არტისტის ნამუშევარი იყო.

თუ დღეს მელიკ აზარიანცის სახლთან ჩავივლით, თვალს მოგვჭრის ფერადი ფიგურები, რომლებიც ვიტრინაშია გამოფენილი. ეს

„აღფრედ ეპიტაშვილის საოცარი სამყარო“. გამოყენებითი გეომეტრიის სპეციალისტს სამასამდე ქალაქის გეომეტრიული ფიგურა აქვს შექმნილი. მოდელები წარმოადგენენ ერთი ქალაქის ფორმატივს, გეომეტრიული სიზუსტით დაკვირვებულ სიბრტყეს, რომელიც საბოლოო ჯამში სივრცულ ფიგურას ქმნის. თითოეული მათგანი უნიკალურია.

აღფრედ ეპიტაშვილის მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე მისი პედაგოგიური საქმიანობაა. სტუდენტების დამოკიდებულება ბატონი აღფრედის მიმართ ყველაზე კარგად სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ კედელზე წაწერილ ფრაზაში ამოიკითხება: „აღფრედ ეპიტაშვილის საოცარი სამყარო“.

Popiashvili Gvaberidze Window Project, სწორედ ამ საოცარი სამყაროს მცირე ნაწილს გთავაზობთ.

საგამოფენო გალერეის ვიტრინის ფორმატში დატევა ინოვაციური ფორმატია თბილისში ხელოვნების და დიზაინის გამოსაფენად. ვიტრინა-გალერეის ავტორები ცდილობენ ქალაქი გაამდიდრონ საზოგადოებრივი-საჯარო ხელოვნების იდეებითა და პროექტებით და საზოგადოებას ხელოვნების ფასეულობათა კრიტერიუმების ახლებური განსაზღვრა შესთავაზონ. 



www.ucnobifm.ge



WWW.LIBERALI.GE

გვიკავშირდით სოციალურ ქსელებში

გვიკავშირდით



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



გვიკავშირდით

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გვიკავშირდით



<http://youtube.com/LiberaliMagazine>